

გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია

# საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი

მეორე შეკრებული და გადამუშავებული გამოცემა

02 (03)

02(038) + 491.7—316.4 = 99.962.1:02 +

449.962.1—316.4 = 91.71:02

გ 512

ლექსიკონში წმინდა საბიბლიოთეკათმცოდნეო და საბიბლიოგრაფიო ტერმინებთან ერთად წარმოდგენილია ზოგიერთი ძირითადი ტერმინი მოსაზღვრე დისციპლინებიდან, როგორცაა: წიგნის ისტორია, წიგნის ბეჭდვა, საგამომცემლო საქმე, წიგნით ვაჭრობა და სხვ., რომელთა ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელია ბიბლიოთეკის მუშაკთათვის.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი — თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონია, მეორე ნაწილი კი რუსულ-ქართულ თარგმნით ლექსიკონს წარმოადგენს.

პირველ გამოცემასთან (1962 წ.) შედარებით ლექსიკონი საგრძნობლად შეესებულებული და გადამუშავებულია.

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974 წ.

Г  $\frac{70105}{M 607 (03)-74}$  161-73

## წინასიტყვაობა

„საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონის“ პირველი გამოცემიდან (1962 წ.) თორმეტი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა (რასაც ხელი შეუწყო მისმა მცირე ტირაჟმა). განვლილ პერიოდში დიდი ძვრები მოხდა საბიბლიოთეკო საქმიანობაში. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულმა ტემპებმა მოითხოვეს მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული ოპერაციების მექანიზაციასა და სამუშაოთა ავტომატიზაციას. დაგროვდა უმდიდრესი გამოცდილება სამეცნიერო ინფორმაციის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმოების მხრივ. ეს ცვლილებები სათანადოდ უნდა იყოს ასახული ისეთი ხასიათის ნაშრომში, როგორც ჩვენი ლექსიკონია, ყველაფერმა ამან განაპირობა წიგნის მეორედ გამოცემა.

მეორე გამოცემისათვის ლექსიკონი საგრძნობლად შეივსო და გადამუშავდა. წმინდა საბიბლიოთეკო ტერმინებთან ერთად მასში წარმოდგენილია ტერმინები სხვა მოსაზღვრე დისციპლინებიდანაც, როგორცაა: წიგნის ისტორია, წიგნის ბეჭდვა, საგამომცემლო საქმე, წიგნით ვაჭრობა, ლიტერატურისმცოდნეობა და სხვ.

ლექსიკონი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი თარგმნით-განმარტებით ლექსიკონს წარმოადგენს. აქ თითოეულ ტერმინს მიწერილი აქვს სათანადო რუსული შესატყვისი, შემდეგ კი — განმარტება ქართულ ენაზე.

წიგნის მეორე ნაწილი თარგმნითი ლექსიკონია. აქ თითოეულ რუსულ ტერმინს მიწერილი აქვს სათანადო ქართული შესატყვისი.

გიორგი გიორგიძემ განმარტა ასოები: ა, ბ, ს — ჰ, გურამ კარტოზიამ — ასოები: გ — რ.

ტერმინების განმარტებისას მხედველობაში მიღებულია მხოლოდ ის მნიშვნელობანი, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მაგ. ტერმინ კო რ პ უ ს ი ს მრავალი მნიშვნელობიდან მოცემულია მხოლოდ ორი, სხვები კი უგულებელყოფილია.

სინონიმური ტერმინები ცალ-ცალკეა გაწყობილი ანბანის მიხედვით. თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს თავ-თავისი რუსული შესატყვისი. რაც შეეხება განმარტებას, იგი მხოლოდ ერთ, ძირითად ტერმინთან არის მოცემული, სინონიმებთან კი არის ზოგადი მითათება (იხ.) ძირითად ტერმინზე. ძირითადი ტერმინის განმარტების შემდეგ წარმოდგენილია ყველა სინონიმი (შემოკლებული აღნიშვნით: სი ნ.).

გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენენ ის სინონიმები, რომლებიც ანბანის რიგის მიხედვით უშუალოდ ემეზობლებიან ძირითად ტერმინს (ე. ი. მათ შორის სხვა ტერმინი არ ზის). ასეთ შემთხვევაში ძირითადი ტერმინის გვერდით მოყვანილია მისი სინონიმიც. იხ., მაგ., ასტრონომი, ასტრონომი; გლოსარი, გლოსარიუმი.

როცა ძირითად ტერმინს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და ყველა ეს მნიშვნელობა აქვს სინონიმსაც, მაშინ სინონიმი (სინონიმები) მითითებულია ძირითადი ტერმინის ყველა მნიშვნელობის განმარტების შემდეგ.

როცა ძირითად ტერმინს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, სინონიმი კი ამ მნიშვნელობათა მხოლოდ ნაწილს გადმოგვცემს, მაშინ ეს სინონიმი მიეწერება ძირითადი ტერმინის სათანადო მნიშვნელობის განმარტების შემდეგ. უდრ., მაგ., ტერმინები: ლიგატურა, პალეოგრაფია.

თავის მხრივ, ამგვარ არასრულ სინონიმთან არის მითითება ძირითადი ტერმინის შესაბამის მნიშვნელობაზე. უდრ., მაგ., ასოკაზმული — руквица — იხ. ი ნ ი ც ი ა ლ ი (2).

როცა ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობას სხვადასხვა შესატყვისი აქვს რუსულად, ტერმინები ცალკე ერთეულებადაა წარმოდგენილი სათანადო ნომრებით. მაგ. კვირეული<sup>1</sup> — еженедельник, კვირეული<sup>2</sup> — неделя.



## თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი

5

**აზაცი — аздац** — 1) ტექსტის ნაწილი, ლოგიკურად დამთავრებული, აღებული როგორც ტექსტის ერთეული. 2) კიდევანი ტექსტის დასაწყის სტრიქონში.

**აბონემენტი — абонемент** — 1) ბიბლიოთეკის ლიტერატურით შინ სარგებლობის უფლება. 2) ბიბლიოთეკის განყოფილება, სადაც წარმოებს ლიტერატურის გაცემა საშინაოდ. სააბონემენტო. 3) ტექნიკური მოწყობილობა, სადაც წარმოებს გაცემისა და დაბრუნების ფაქტების აღნიშვნა.

**აბონემენტის დაჯგაფა, აბონემენტის მაგიდა — абонементный прилавок, абонементный стол** — მაგიდა, რომელზეც არის გაწყობილი სააბონემენტო საბუთების ყუთები და რომელთანაც მუშაობს მებაბონემენტე.

**აბონემენტის წესები — правила абонемента** — ბიბლიოთეკიდან ლიტერატურის მიღებისა და სარგებლობის წესები.

**აბონემენტის წიგნი — абонементная книга** — წიგნი, რომელშიც ანბანურად ჩაწერილია აბონენტების გვარები, სახელები, მამის სახელები და მათი სააბონემენტო ნომრები.

**აბონენტების კარტოთეკა — картотека абонентов** — მკითხველთა ფორმულარები, ცალკე ყუთებში გაწყობილი ნომრების მიხედვით.

**აბონენტი — абонент** — პირი, რომელიც ჩაწერილია ბიბლიოთეკაში და საშინაოდ იღებს ლიტერატურას.

**აბონენტის ვალდებულებანი — обязанности абонента** — წესები, რომლებიც უნდა დაიცვას აბონენტმა ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის ლიტერატურით სარგებლობის დროს.

**აბრევიატურა — абривиатура** — სიტყვების პირობითი შემოკლება.

**აბრეჟე — абреже** — ნაწარმოების მოკლე შინაარსი ან მისი ნაწყვეტი.

**ადაპტაცია — адаптация** — ნაწარმოების გამარტივებული ტექსტის შედგენა.

**ადგილის აღუნიშვნელად (ა. ა.) — без указания места (б. м.)** — პირობითი ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ ბეჭდვით ნაწარმოებზე დასახელებული არ არის გამოცემის ადგილი.

**ადგილისა და წლის აღუნიშვნელად (ა. წ. ა.) — без указания места и года (б. м. и г.)** — ფორმულა, რომლითაც აღინიშნება შემთხვევა, როდესაც წიგნზე არ არის აღნიშნული გამოცემის ადგილი და წელი.

**ადგილის მხაზღვრელი — определитель места** — კლასიფიკაციაში პირობითი ნიშანი, რომელიც გვიჩვენებს, რომელ ადგილს შეეხება ნაწარმოები. სინ. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ს ა ზ ლ ე ვ რ ე ლ ი.

ადგილობრივი ბიბლიოგრაფია — местная библиография — ბიბლიოგრაფია, რომელშიც შეტანილია ლიტერატურა, დაბეჭდილი რომელიმე განსაზღვრულ ადგილას.

ადგილობრივი გამოცემა — местное издание — გამოცემა, დაბეჭდილი პერიფერიამში.

ადგილობრივი გაცემა — местная выдана — ბიბლიოთეკის მიერ ლიტერატურის გაცემა იქვე სარგებლობისათვის.

ადენდა — адденда (addenda) — ტექსტზე დართული დამატებები, დაბეჭდილი წიგნის ბოლოს, ზოგჯერ ძირითადი ტექსტის წინ, ნაკრებ ფურცელში.

ადრეს-კალენდარი — адрес-календарь — ცნობარი, რომელიც შეიცავს კალენდარს და აგრეთვე განსაზღვრული ტერიტორიის დაწესებულებათა ან მოქალაქეთა მისამართებს.

ავანტიტული — авантюл — ფურცელი თავფურცლის წინ, რომელზეც დაბეჭდილია გამოცემლობის ნიშანი, სერიული სათაური, ნაწარმოების მოკლე დასახელება ან სხვა ცნობები.

ავთრათი — ярык — ქაღალდის პატარა ოთხკუთხი ან სხვა მოყვანილობის ნაპერი, რომელიც იწყება წიგნის ყდაზე, კანზე ან ყუაზე ინდექსის დასაწერად.

ავტობიოგრაფია — автобиография — საკუთარი ბიოგრაფია, შედგენილი ამა თუ იმ პირის მიერ.

ავტოგრაფიურა — автографюра — გრაფიურა, გადაბეჭდილი კლიშედან, რომელიც სურათის ავტორის მიერ არის შესრულებული.

ავტოგრაფი — автограф — 1) ავტორის ხელნაწერი. 2) ავტორის ხელმოწერა ან რაიმე წარწერა მისსავე დაბეჭდილ ნაწარმოებზე.

ავტოგრაფული გამოცემა — автографное издание — გამოცემა, რომელშიც ფორთოქალიანო ან სხვა

გზით ზუსტად არის აღბეჭდილი ავტოგრაფი.

ავტოლითოგრაფია — автолитография — ლითოგრაფია, შესრულებული ავტორის მიერ.

ავტონიმი — автоним — ავტორის ნამდვილი გვარი, რომლითაც დაიბეჭდა მისი ნაწარმოები (განსხვავებით ფსევდონიმისაგან).

ავტორეფერატი — автореферат — ნაწარმოების რეფერატი, შესრულებული თვით ავტორის მიერ.

ავტორთა კატალოგი — авторский каталог — კატალოგი, რომელშიც შეტანილია აღწერილობები, შედგენილი ავტორზე, აგრეთვე თანავტორებზე, რედაქტორებზე, შემდგენლებზე და სხვ.

ავტორთა კოლექტივი — авторский коллектив, коллектив авторов — ნაწარმოების ერთობლივად შემქმნელი რამდენიმე პიროვნება.

ავტორთა საძიებელი — указатель авторов, авторский указатель — წიგნში ნახსენებ ავტორთა ანბანური სია, რომელშიც თითოეულ დასახელებასთან მითითებულია წიგნის ის გვერდები, სადაც ეს ავტორია მოხსენებული.

ავტორი — автор — 1) პირი, რომელმაც (ერთმა ან სხვა პირთა მონაწილეობით) შექმნა ნაწარმოები. 2) კოლექტივი, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ოფიციალური მასალები.

ავტორიზებული გამოცემა — авторизованное издание — გამოცემა, რომლის ტექსტი შემოწმებული და დადასტურებულია ავტორის მიერ.

ავტორიზებული თარგმანი — авторизованный перевод — თარგმანი, წაკითხული და დადასტურებული ავტორის მიერ.

ავტორითი აღწერილობა — авторское описание — ნაწარმოების აღწერილობა, რომელიც იწყება მისი ავტორის (ან ავტორების) დასახელებით.

ავტორის კორექტურა — авторская корректура — საკორექტურო ფურც-

ლები, წაითხული და შესწორებული ავტორის მიერ.

ავტორის სახელწოდება — наименование автора — ის სიტყვები (გვარი, ფსევდონიმი, დაწესებულება, ორგანიზაცია), რომლითაც ცნობილია აღსაწერი ნაწარმოების ინდივიდუალური ან კოლექტიური ავტორი.

ავტორის სერია — авторская серия — სერია, რომლის ყველა ნაკვეთი ერთ ავტორს ეკუთვნის.

ავტორის წოდება, ავტორის წოდებულება — звание автора — ავტორია თანამდებობა, პროფესია, ხარისხი და სხვა ცნობები, რომლებიც შეიტანება აღწერილობის შენიშვნებში.

ავტორის ხელნაწერი — авторская рукопись — ნაწარმოების ტექსტი, წარდგენილი ავტორის ხელნაწერის სახით.

ავტოტიპია — автотипия — 1) რეპროდუქციის ფოტომექანიკური ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა აღიბეჭდოს ნახევარტონები. 2) ამ წესით დამზადებული სურათი.

ათწილადი სისტემა — десятичная система — საკლასიფიკაციო სისტემა, რომლის ინდექსები აგებულია ათწილადი ნაწევრების პრინციპზე. სინ. დეციმალური სისტემა.

ათწილადობა — десятичность — საკლასიფიკაციო ნიშნების შედგენის მეთოდი თითოეული ნიშნის თავის მხრივ ათად გაყოფით.

აკადემიური ბიბლიოთეკა — академическая библиотека — 1) სამეცნიერო დაწესებულების ან უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკა. 2) სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

აკადემიური გამოცემა — академическое издание — 1) ნაწარმოების ისეთი გამოცემა, როდესაც ტექსტი დამზადდება მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდების გამოყენებით. 2) აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი.

აკადემიური შრიფტი — академический

шрифт — ერთ-ერთი ქართული შრიფტი, რომელიც ჩამოსხმულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბისათვის XIX საუკუნის 40-იან წლებში.

აკეფალური წიგნი — акефалическая книга — ძველი წიგნი, რომლის დასაწყისი ფურცლები დაკარგულია.

აკვარელი — акварель — ნახატი, შესრულებული წყლის ფერადებით.

აკვატინა — акватинта — ლითონზე გრავირების სახეობა, რომლის შედეგად ვილებთ სურათს, მთლიანად შეესებულს სხვადასხვა ტონის ბინდით.

აკვატიპია — акватипия — ბეჭდვა უზეთო, წყლის ფერადებით.

აკონვა — аконировка, брошюровка — წიგნის ბეჭდვითი ფურცლების დაკეცივის შემდეგ ერთად შეკვრა. სინ. ბროშურა.

აკრძალული გამოცემა — запрещенное издание — ნაწარმოები, რომელიც აკრძალულ იქნა დაბეჭდვის შემდეგ განსაკუთრებით ბევრი წიგნი და ბროშურა. აიკრძალა 1907—1917 წლებში.

ალბომური გამოცემა — альбомное издание — წიგნის ფორმატი, როდესაც სიგანე მეტია სიმაღლეზე.

ალბომური კატალოგი — альбомный каталог — იშვიათად ხმარებული კატალოგი. წარმოადგენს ალბომს, რომელშიც ჩაწებებულია წიგნების აღწერილობანი.

ალდები — альды, альдины — წიგნები, დაბეჭდილი ცნობილი იტალიელი გამომცემლების ალდების სტამბაში (XV—XVI სს.).

ალდინე — альдины — შრიფტი, შემოღებული ცნობილი იტალიელი გამომცემლების ალდების მიერ.

ალექსანდრიული ქაღალდი — александринская бумага — სქელი, მტკიცე თეთრი ქაღალდი, რომელსაც ხმარობენ ნახაზებისა და ნახატებისათვის.

ალიგატი — аллигат — წიგნი, შეკაზმული რომელიმე სხვა წიგნთან.

ალმანახი — **АЛМАНАХ** — სხვადასხვა. განსაკუთრებით მხატვრული, ნაწარმოებებისაგან შედგენილი კრებული, ერთდროული ან გრძელდობადი.

ალოგრაფი — **АЛОГРАФ** — 1) სხვისი ხელით ნაწერი. 2) ყალბი ხელნაწერი.

ალონიმი — **АЛОНИМ** — ავტორის მიერ ფსევდონიმად გამოყენებული სხვისი გვარი.

ალტერნატიული ხათური — **АЛТЕРНАТИВНОЕ ЗАГЛАВІЕ** — იხ. ნ ა ც ვ ა ლ ს ა თ ა უ რ ი.

ამონაბეჭდი — **ОТТИСК** — წიგნის ან ეურნალის ნაწილი, ტექსტიდან ამოღებული და ცალკე გამოშვებული.

ამონაკრები — **СОКРАЩЕНИЕ** — რომელიმე ნაწარმოების მნიშვნელოვანი ადგილები, ამოკრებილი და დაბეჭდილი.

ამონაღები — **ИЗВЛЧЕНИЕ** — ნაწარმოების ნაწილი ან ნაწილები, შეტანილი რომელმე სხვა გამოცემაში.

ამონაკერი — **ВЫРЕЗКА** — 1) გაზეთის სტატია, ამოკრილი ამონაკრების ალბომში მოსათავსებლად. 2) წიგნის ან ეურნალის სტატია, მექანიკურად ამოკრილი თავისი ადგილიდან ცალკე გამოსაყენებლად.

ამონაკრების ალბომი — **АЛБОМ ВЫРЕЗОК** — ალბომი, რომელშიც ჩაწებებულია თემების შესატყვისად მასალები, ამოკრილი გაზეთებიდან.

ანაბეჭდი — **ОТТИСК** — 1) ტექსტის ანაწყობიდან ან სურათის კლიშედან ტვიფრას მეშვეობით გამოსახულების ქალაღზე გადატანა. 2) ანაწყობიდან ან კლიშედან ნიმუშის ქალაღზე აღება შესამოწმებლად და კორექტურისათვის.

ანალიტიკური აღწერილობა — **АНАЛИТИЧЕСКОЕ ОПИСАНИЕ** — წიგნის ან პერიოდული გამოცემის შემადგენელი ნაწილის — სტატიის ცალკე აღწერა.

ანალიტიკური ბარათი — **АНАЛИТИЧЕСКАЯ КАРТОЧКА** — ბარათი, რომელ-

ზეც შესრულებულია ანალიტიკური აღწერილობა.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია — **АНАЛИТИЧЕСКАЯ БИБЛИОГРАФИЯ** — ბიბლიოგრაფია, რომელიც შეიცავს პერიოდულ გამოცემებში, კრებულებსა და წიგნებში მოთავსებული ცალკეული მასალების აღწერილობებს.

ანალიტიკური მსაზღვრელი — **АНАЛИТИЧЕСКИЙ ОПРЕДЕЛИТЕЛЬ** — მსაზღვრელი, რომელიც შემოღებულია მეცნიერების ერთი რომელიმე დარგის ლიტერატურის კლასიფიცირებისათვის (მედიცინა, ლიტერატურა და სხვ.). სინ. ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი.

ანანიმი — **АНАНИМ** — ფსევდონიმის ნაირსახეობა. წარმოადგენს ავტორის გვარს ან სახელს, შებრუნებულად დაწერილი. მაგ., ე ს ო მ = მოსე (ჟანაშვილი).

ანასტატიკური ბეჭდვა — **АНАСТАТИЧЕСКОЕ ПЕЧАТАНИЕ** — ხერხი წინანდელი ნაბეჭდის გადაღებისა ქვაზე ან ლითონზე შემდგომი ხელახალი გამრავლებისათვის. სინ. გ ა დ ა ტ ა ნ ი თ ი ბ ე ჯ დ ვ ა .

ანაწყობი — **НАДОП** — ხელნაწერის მიხედვით შრიფტის ნიშნების თანამიმდევარი გაწყობა და შეკვრა.

ანბანთქება — **ТАПОГРАММА** — ძველებური ლექსი, რომელშიც თითო ტაეპი ან ხანა იწყებოდა ერთი და იმავე ასოთი ანბანური თანამიმდევრობით.

ანბანი — **АЛФАВИТ** — ამა თუ იმ ენაში ხმარებული ბგერათა ნიშნების — ასოების ერთობლიობა, გარკვეული თანამიმდევრობით გაწყობილი.

ანბანური გაწყობა — **АЛФАВИТНАЯ РАССАТОВКА** — ბეჭდვითი ნაწარმოებების ან მათი აღწერილობების გაწყობა ავტორებისა და სათაურების ანბანის მიხედვით.

ანბანური კატალოგი — **АЛФАВИТНЫЙ КАТАЛОГ** — კატალოგი, რომელშიც ბეჭდვითი ნაწარმოებების აღწერილობა

გაწყობილია ავტორთა გვარების ან სათაურების ანბანზე.

**ანბანური კატალოგიზაცია** — анфавитная каталогизация — ბექლდითი ნაწარმოებების აღწერილობის შედგენა ანბანური კატალოგისათვის, შესატყვისი დამატებითი აღწერილობებით და საცნობო ბარათებით.

**ანბანური მაჩვენებელი** — анфавитный указатель произведений — წიგნების და სტატიების აღწერილობათა ანბანური სია.

**ანბანური საძიებელი** — анфавитный указатель — წიგნის ან კატალოგის და ბიბლიოგრაფიის ყოველგვარი ანბანური დანართი, რომელიც შეიცავს ავტორების, სათაურთა, გეოგრაფიულ და სხვა სახის სახელებს და ცნობებს, მითითებით — სად არის იგი ნახსენები.

**ანგარიში** — отчет — რომელიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის მოქმედების აღწერა, გარკვეული წესით შედგენილი და ბექდურად გამოცემული.

**ანგარიშწარმოება** — отчетность — წარმოების ან ორგანიზაციის მოქმედების ასახვა საადრიცხვო დოკუმენტებში სპეციალური ტერმინებისა და რიცხობრივი მაჩვენებლებით მეშვეობით.

**ანდერძი<sup>1</sup>** — завещание — ვისინე მიერ განკარგულების დატოვება მისი სიკვდილის შემდეგ შესრულებისათვის.

**ანდერძი<sup>2</sup>** — наследство — წიგნის ბოლოში მინაწერი დამწერის ვინაობის, დაწერის დროის, ადგილის და სხვა გარემოებათა შესახებ.

**ანზე სით მოხვალ** — ძველებური საპაექრო ლექსი, რომელშიც ანბანის მიხედვით ერთ ასოზე უნდა დაესახლებინათ საგნები გარკვეული თანმიმდევრობით.

**ანთოლოგია** — антология — რომელიმე ეპოქის ან ხალხის ავტორთა საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების კრებული.

**ანკეტა** — анкета — 1) სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით

ცნობებს, პასუხების შეკრება რომელიმე საკითხზე. 2) ფურცელი კითხვებით, ანკეტის ჩატარებისათვის გამოზნული.

**ანკეტური მეთოდი** — анкетный метод — საკითხის შესწავლა ანკეტის მეშვეობით.

**ანონიმი** — аноним — 1) ავტორი, რომელიც თავის გვარს არ ამჟღავნებს. 2) ნაწარმოები, რომლის ავტორი უცნობია.

**ანონიმური გამოცემა** — анонимное издание — ბექლდითი ნაწარმოები, რომელზეც არ არის ავტორის გვარი.

**ანონიმური ნაწარმოები** — анонимное произведение — ნაწარმოები, გამოქვეყნებული ანონიმის მიერ (ე. ი. ავტორის გვარის მოუწერლად).

**ანონისი** — анонс — წინასწარი არაზუსტი განცხადება წარმოდგენის ან სხვა სანახაობის შესახებ, აგრეთვე ახალი წიგნების გამოშვების შესახებ.

**ანონისთოგრაფი, ანონისთოგრაფული გამოცემა** — анонистограф, анонистографическое издание — ბექლდითი ნაწარმოები, რომლის ტექსტი ფურცლების მხოლოდ თითო გვერდზეა დაბეჭდილი. სინ. ცალ გვერდ ნ ა ბ ე ქ დ ი გამოცემა.

**ანოტაცია** — аннотация — ბექლდითი ნაწარმოების მოკლე, სხარტი დახასიათება იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული, ფორმალური თვალსაზრისით.

**ანოტირება** — аннотирование — ბექლდით ნაწარმოებზე ანოტაციის შედგენა.

**ანოტირებული ბარათი** — аннотированная карточка — ბარათი ნაწარმოების აღწერილობით, რომელსაც თანსდევს ანოტაცია.

**ანოტირებული ბიბლიოგრაფია** — аннотированная библиография — ბიბლიოგრაფია, რომელშიც აღწერილობებს დართული აქვს ანოტაციები.

**ანოტირებული გამოცემა** — аннотированное издание — ბექლდითი ნაწარ-

მოები, რომელსაც დართული აქვს ანოტიაცია.

ანოტირებული კატალოგი — аннотированный каталог — კატალოგი, რომელშიც აღწერილობანი ანოტირებულია. კატალოგი, რომელიც შედგენილია ანოტირებული ბარათებისაგან.

ანტიკვა — антиква — ძველებური ლათინური შრიფტი მომრგვალებული ასოებით.

ანტიკვარი — антиквар — 1) სიძველეთა მკოდნე. 2) სიძველეთა კოლექციების შემდგენელი ან სიძველეებით მოვაჭრე.

ანტიკვარიატი — антиквариат — სიძველეებით სავაჭრო; კერძოდ, წიგნთსავაჭრო, რომელიც ყიდულობს და ყიდის ძველ, იშვიათ წიგნებს.

აპოგრაფი — апограф — ზუსტი ასლი.

აპოკონიმი — апоконим — ფსევდონიმი, მიღებული გვარიდან ზოგი ასოს ან მარცვლის ამოღებით.

აპოკრიფი — апокриф — 1) „დაფარული“, „ცრუ“ ნაწარმოები, ეკლესიის მიერ განდევნილი „საღვთო წერილიდან“. 2) საერთოდ — უალბი ნაწარმოები.

აპოსტროფი — апостроф — მძიმე, დასმული ასოების ზედა წელთან, ხმოვანი ასოს გამოტოვების ნიშნად.

აპრობირებული გამოცემა — апробированное издание — იხ. მოწონებული გამოცემა.

არაარსებითი დეტალები — несущественные подробности — თავფურცელზე მოთავსებული ცნობები, რომლებიც არ შეიტანება აღწერილობაში.

არაბესკი — арабеск, арабеска — 1) წიგნის მხატვრული სტილიზებული მოსართავი, ზოგჯერ არაბული წერისადმი მიმსგავსებული. 2) მოკლე ნაწარმოებები, თავმოყრილი კრებულში.

არალეგალური გამოცემა — нелегальное издание, подпольное издание — ნაწარმოები, ფარულად დაბეჭ-

დილი და გავრცელებული, მისი დაპატონების ასაცილებლად. ერთ-ერთი მეტოდი ბრძოლისა ცარიზმისა და სხვა რეაქციული მთავრობების წინააღმდეგ.

არალეგალური სტამბა — подпольная типография — იხ. საიდუმლო სტამბა.

არაპერიოდული კრებული — непериодический сборник — კრებული, რომლის ნაკვეთები გამოდის ერთი სათაურით, მაგრამ არათანაბარი ხანდაზმით. იგივეა, რაც გრძელდებადი გამოცემა.

არასრული აღწერილობა — неполное описание — აღწერილობა, რომელშიც არ არის შეტანილი ყველა ცნობა, რომლებიც საჭიროა ჩვეულებრივი „სრული“ აღწერილობისათვის.

არასრული კატალოგიზაცია — неполная каталогизация — ბარათების შედგენა არასრული აღწერილობებით.

არასრული კომპლექტი — неполный комплект — ბეჭდვითი ნაწარმოებების კომპლექტი (სერია, პერიოდული გამოცემა), რომელსაც ზოგი ნაკვეთი აკლია.

არე — поле, поля — წიგნის ან რვეულის გვერდზე ტექსტის გარშემო დატოვებული ცარიელი ადგილი. სიხ. არშია<sup>1</sup>, კალთა, კიდე.

არისტონიმი — аристоним — ფსევდონიმი, შედგენილი მაღალი წოდების, ტიტულის ამსახველი სიტყვისაგან, ზოგჯერ გვართან ან სხვა სიტყვასთან კომბინაციით (Барон Брамбегс. Граф Худой).

არშია<sup>1</sup> — поле, поля — იხ. არე.

არშია<sup>2</sup> — бордюр — ტექსტის ან ილუსტრაციის ირგვლივ შემოვლებული მოსართავი ნახატი.

ასაკობრივი ჯგუფები — возрастные группы — ბავშვების ან მოზარდების დაჯგუფება იმ ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნიშნებით, რომლებიც ქმნიან „ასაკობრივ თავისებურებებს“, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც

სკოლაში და ბიბლიოთეკაში, ისე ოჯახში.

ასლო — копия, список — ბეჭდური ან ხელნაწერი ნაწარმოების ხელით გადაღებული პირი.

ასლოთი პაგინაცია — буквенная пагинация — წიგნის გვერდების დანომრება ასოების მეშვეობით. სინ. ლიტერული პაგინაცია.

ასლოთი შიფრი — буквенный шифр — წიგნის შიფრი, შედგენილი ასოებისაგან. სინ. ლიტერული შიფრი.

ასოკაშული — буквица — იხ. ინიციალი (2).

ასომთავრული — იხ. მრგოლენი.

ასომთავრული შრიფტი — იხ. უნიკალური შრიფტი.

ასტერისკი — астериск — იხ. ვარსკვლავი.

ასტერონიმი, ასტრონიმი — астероним, астроним — ფსევდონიმი, რომელიც შედგენილია ვარსკვლავებით ან მათი კომბინაციით სხვა ნიშნებთან.

ასტრონომიული ნიშნები — астрономические знаки — პირობითი ნიშნები, რომლებიც გამოყენებულია კალენდრის ან ასტრონომიული რუკებისა და ცნობარების ბეჭდვისას. სინ. საკალენდრონიშნები.

ატლასის ქალაქი — атласная бумага — ქალაქი, რომლის ერთი პირი ატლასისებურად არის გაკეთებული.

ატრიბუცია — атрибуция — ნაწარმოების მიკუთვნება მისი ნამდვილი ავტორისათვის.

აუდიოვიზუალური მასალები — аудиовизуальные материалы — სასწავლო ლიტერატურა და საგნები, გათვალისწინებული სმენითი და ხედვითი აღქმისათვის (თვალსაჩინო მასალები, ბგერათიხანაწერი).

აუთვისებელი ფონდი — неосвоенный фонд — ფონდის ნაწილი, რომელიც არ არის შეტანილი ბიბლიოთეკის ოპერატიულ ფონდში.

აფიშა — афиша — ქუჩებში გასაკ-

რავი დიდი ფურცელი განცხადებით რაიმე გართობის (წარმოდგენის, კონცერტის, სპორტული გამოსვლის და სხვ.) შესახებ.

აქტივი — актив — მკითხველთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს ბიბლიოთეკის ღონისძიებების წარმოებაში.

აქტიური მკითხველი — активный читатель — მკითხველი, რომელიც მონაწილეობს აქტივისტების ჯგუფში, აქტივში.

აქციდენტური სამუშაო — акцидентная работа — წერილმანი სასტამპო პროდუქცია (განცხადებები, სადარბაზო ბარათები და სხვ.).

აკვეთილი გამოცემა — конфексионное издание — ბეჭდვითი ნაწარმოები, რომლის გავრცელება ხელისუფლების მიერ აკრძალულია და დარჩენილი ეგზემპლარები ამოღებულია წიგნსავეპრობიდან და ბიბლიოთეკებიდან. სინ. კონფისკებული გამოცემა.

აღწერილობა — описание — ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ რიგი ცნობების განსაკუთრებული წესით გაფორმება და გაწყობა კატალოგში შესატანად. ნაწარმოების სხვათაგან გამოსარჩევად.

აღწერილობა ავტორის სახელით — описание под автором — იხ. ავტორითი აღწერილობა.

აღწერილობის ელემენტები — элементы описания — ცნობები ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ, რომლებისგანაც შედგება აღწერილობა.

აღწერილობის ენა — язык описания — ენა, რომელზეც აიწერება კატალოგში ასასახავი სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი წიგნები.

აღწერილობის საწყისი — заголовок описания — ერთი ან რამდენიმე სიტყვა, რომლითაც იწყება ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობა. განსაზღვრავს აღწერილობის ადგილს ანბანურ კატალოგში.

აღწერილობის ტექსტი — текст опи-

саннн — აღწერილობის, ორითადი ცნობები, გარდა თავსათურისა და შენიშვნებისა.

აღწერის ხერხები — приемы описания — აღწერილობის ელემენტების სტანდარტულ ფორმამდე დაყვანა. იგივეა. რაც აღწერილობის წესები.

აწყობილი თავფურცელი — наборный титул — თავფურცელი შედგენილი აწყობით, გრაფიკულისაგან განსხვავებით.

აწყობილი კანი — наборная обложка — წიგნის კანი, შედგენილი აწყობით, გრაფიკულისაგან განსხვავებით.

ახალი (წიგნი) — новинка — ახლად დაბეჭდილი წიგნი.

ახალი გამოცემა — новое издание — 1) იგივეა, რაც განმეორებითი გამოცემა (1, 2), ხელახალი გამოცემა. 2) ბეჭდვითი ნაწარმოები, რომელიც მანამდე არ გამოუცია მოცემულ გამომცემლობას, ან, თუ გა-

მოსცა, სხვა რედაქციით და სხვა გაფორმებით.

ახალი სტრიქონი — новая строка — ტექსტის ნაწილის დასაწყისის აღნიშვნა აბზაცით ან მხატვრულად გაფორმებული ასომთავრულით.

ახალმინაღებთა კატალოგი — каталог новых поступлений — ცალკე კატალოგი, რომელშიც ჩართულია ახლად მიღებული წიგნების აღწერილობანი.

ახალმინაღები — новые поступления — ბიბლიოთეკის მიერ ახლად მიღებული წიგნები.

ახალშენაძენი — новые приобретения — იგივეა, რაც ახალმინაღები.

ახლადგამომავალი გამოცემა — вновь выходящее издание — ბეჭდვითი ნაწარმოები, რომელიც იბეჭდება და ახლო მომავალში გადაეცემა წიგნსავაჭროებს.

ბ

ბავშვთა განყოფილება — детское отделение — ბიბლიოთეკის განყოფილება, რომელიც მხოლოდ ბავშვებს მოემსახურება.

ბავშვი-მკითხველი — ребенок-читатель — ბავშვი, რომელიც სარგებლობს ბიბლიოთეკის წიგნებით და მომსახურების სხვა სახეებით.

ბაზრობის კატალოგი — ярмарочный каталог — ბაზრობაზე გასაყიდად გამოტანილი წიგნების კატალოგი.

ბანდეროლი — бандероль — წიგნის ფოსტით გაგზავნის ერთ-ერთი წესი.

ბარათების გაწყობა — расстановка карточек — აღწერილობების შემცველი ბარათების გაწყობა ამა თუ იმ კატალოგის წესის შესაბამისად.

ბარათების საყენი — кардодержатель — ხის ბჯენი, რომელიც მოთავსებულია საკატალოგო ყუთში ბარათების ვერტიკალურად დასაყენებლად

ბარათი — карточка — სტანდარტული ზომის და დახაზულობის ბარათი, განკუთვნილი ბეჭდვითი ნაწარმოების აღსაწერად.

ბარათის გადანაცვლება — застановка карточек — კატალოგში (კარტოთეკაში) ჩართვისას ბარათის სხვა ადგილას მოთავსება ნაცულად ნამდვილადკუთვნილი ადგილისა.

ბარათის ზურგი — оборотная сторона карточки — საკატალოგო ბარათის მეორე გვერდი.

ბარათის წინაპირი — лицевая сторона карточки — საკატალოგო ბარათის პირველი გვერდი, გარკვეული წესით დახაზული.

ბარათული კატალოგი — карточный каталог — კატალოგი, შედგენილი ერთი ზომის ბარათებისაგან, რომლებზეც მოთავსებულია ბეჭდვითი ნაწარმოებების აღწერილობები.



ბართული რეპერტუარი — карточный репертуар — ბექდვითი ნაწარმოებების აღწერილობათა სრული კომპლექტი, ბართების სახით შედგენილი.

ბგერითი ბიბლიოთეკა — звуковая библиотека — მაგნიტოფონით და სხვა საშუალებით დამზადებული ჩანაწერების კოლექცია.

ბელეტრისტული ნაწარმოები — беллетристическое произведение — სიტყვაჯამული ნაწარმოები, დაწერილი პროზად.

ბესტსელერი — бестселлер — კაბიტალისტურ ქვეყნებში — წიგნი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა, მალე საღდება.

ბექდვა — печатание — ნაწარმოების გამრავლება სტამბურად, ლითოგრაფიულად და სხვა მექანიკური საშუალებით.

ბექდვითი ერთეული — печатная единица — ნაწარმოები, შინაარსისა და ნაწილობის მიუხედავად, რომელსაც აქვს ინდივიდუალური სრული ან ნაწილობრივი ბექდილობითი ცნობები.

ბექდვითი ნაწარმოები — произведение печати — ნაწარმოები, გამრავლებული სტამბურად ან სხვა ანალოგიური საშუალებით.

ბექდვითი ნაწარმოების ენა — язык произведения печати — 1) ნაწარმოების ტექსტის ძირითადი ენა. 2) მხატვრულ გამოცემებში და აღბომებში — წარწერებისა და განმარტებითი ტექსტის ენა.

ბექდვითი ნიშანი — печатный знак — ყოველი ლიტერი, ნიშანი, რომელიც გამოიყენება ტექსტის აწყობის დროს. ბექდვითი ნიშანი არის ტექსტის რაოდენობის ერთეული. ერთეულად ითვლება სიტყვათა და ასოებს შორის ჩართული სახარვეზო ნიშნებიც.

ბექდვითი სიტყვა — печать — ბექდვითი ნაწარმოებების ერთობლიობა. ბექდვითი სიტყვა მსლავრი იარაღია მა-

სების იდეურ-პოლიტიკური და კულტურული აღზრდისათვის.

ბექდვითი სიტყვის დღე — день печати — დღე (5 მაისი), როდესაც წარმოებს საბჭოთა ბექდვითი სიტყვის მიღწევების შექამება და აღნიშვნა, აგრეთვე ფართო პროპაგანდა ბექდვითი ნაწარმოებებისა.

ბექდვითი ფურცელი — печатный лист — იხ. სტამბური ფურცელი.

ბექდვითი შეცდომა — опечатка — ტექსტის აწყობის დროს საკირო ნიშნის ნაცვლად სხვა ნიშნის ჩართვა. სინ. მცდარბექდილი.

ბექდვის საქმე — печатное дело — თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დაკავშირებული ბექდვის წარმოებასთან.

ბექდილობითი ცნობები — выходные данные — ნაწარმოების აღწერილობის ნაწილი, სადაც აღნიშნება გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და გამოცემის წელი.

ბექდვი — печать — ნიშანი დაწებულებისა და ორგანიზაციის ან პიროვნების აღნიშვნით, რომელიც დაისმება საქმიან საბუთებზე მათ დასადასტურებლად.

ბიბლაგოგია — библиогика — 1) ბიბლიოთეკის მიერ მოსახლეობის მომსახურების ფორმები და მეთოდები ერთობლივად. 2) ბიბლიოთეკური პედაგოგია.

ბიბლია — библия — ქრისტიანთა რელიგიური წიგნების კრებულა; იგუეა, რაც დაბადება.

ბიბლიოფუსი — библиофус — იხ. ბიბლიოთეკა-ავტომატილი.

ბიბლიოგრაფი — библиограф — სათანადო ცოდნისა და მომზადების მქონე პირა, რომელიც აწარმოებს ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

ბიბლიოგრაფია — библиография — 1) ცოდნის დარგი, რომლის დანიშნულება არის გამოავლინოს, აღრიცხოს.

და აღწეროს ბექდვითი ნაწარმოებები და დახარისხოს ისინი დარგების, სოციალური დანიშნულების, იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით სათანადო მაჩვენებლების შედგენისა და მკითხველებისადმი უშუალო დახმარების მიზნით. 2) ლიტერატურის ნუსხა.

**ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია** — **библиографическая библиография** — ბიბლიოგრაფია, რომელიც აღრიცხავს არსებულ ბიბლიოგრაფიებს საერთოდ ან დარგებისა და დანიშნულების შესაბამისად. სინ. **მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფია**.

**ბიბლიოგრაფირება** — **библиографирование** — ნაწარმოებზე ისეთი ოპერაციების წარმოება, რაც საჭიროა მისი მეტაინსათვის კატალოგში და ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში.

**ბიბლიოგრაფიული აღწერილობა** — **библиографическое описание** — ბექდვითი ნაწარმოების ისეთი აღწერილობა, რომელშიც ამომწურავად არის მოცემული ცნობები ნაწარმოების პოლიგრაფიული გაფორმების, მისი იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული ღირებულების, ცალკეული ეგზემპლარის ინდივიდუალური თავისებურების შესახებ.

**ბიბლიოგრაფიული ევრისტიკა** — **библиографическая эвристика** — ბიბლიოგრაფიული ძიების მეთოდისა და ამ ძიების ძირითადი საკითხები

**ბიბლიოგრაფიული ერთეული** — **библиографическая единица** — ბექდვითი ნაწარმოები, როგორც ბიბლიოგრაფიული შესწავლისა და აღწერის ობიექტი, მიუხედავად იმისა, ცალკე ერთეულად არის იგი გაფორმებული, თუ ერთავსებულა კრებულში ან პერიოდულ გამოცემაში.

**ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია** — **библиографическая информация** — ზეპირი, წერილობითი და სხვა საშუალებებით გადაცემული ცნობები ახლად მიღებული ან უკვე ნაქონი ლიტერატურ-

რის შესახებ დაინტერესებული ორგანიზაციების, მკითხველებისა და ფართო მასებისადმი მათი უკეთ მომსახურების მიზნით.

**ბიბლიოგრაფიული იშვიათობა** — **библиографическая редкость** — ბექდვითი ნაწარმოები, რომელიც მცირე ტირაჟითაა გამოცემული ან მცირე რაოდენობითაა დარჩენილი, რის გამოც ძნელი მისაგნებია და სპეციალურ დაცვასაც საჭიროებს.

**ბიბლიოგრაფიული კატალოგი** — **библиографический каталог** — 1) კატალოგი, რომელიც შედგება ბიბლიოგრაფიების აღწერილობებისაგან. 2) ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, ბარათული, გინდა დაბეჭდილი.

**ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია** — **библиографическая классификация** — მეცნიერებათა საკლასიფიკაციო ტაბულა, რომელიც მომარჯვებულია ბექდვითი ნაწარმოებების კლასიფიკაციისათვის.

**ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი** — **библиографический словарь** — საცნობო წიგნი, რომელიც შეიცავს ბიბლიოგრაფიული ტერმინების განმარტებებს.

**ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი** — **библиографический указатель** — რომელიმე დარგის ბექდვითი ნაწარმოებების აღწერილობებისაგან შედგენილი ცნობარი, რომლის დანიშნულება არის მკითხველს დაეხმაროს ლიტერატურის შერჩევაში.

**ბიბლიოგრაფიული ნიშნები** — **библиографические знаки** — პირობითი ნიშნები და შემოკლებანი, რომლებიც იხმარება ბიბლიოგრაფიულ შრომებსა და კატალოგებში.

**ბიბლიოგრაფიული რეპერტუარი** — **библиографический репертуар** — გარკვეული ქვეყნის ან დროის წიგნების სრული ბიბლიოგრაფია.

**ბიბლიოგრაფიული ტომი** — **библиографический том** — ბექდვითი ნაწარ-

მოები, რომელიც სხვა ნაწარმოებებისაგან განირჩევა თავფურცელზე აღნიშნული აღწერილობის თუნდაც ერთი ელემენტით.

**ბიბლიოგრაფიული შემოკლებანი** — библиографические сокращения — ი. ბ. ბ. ლ. ი. გ. რ. ა. ფ. უ. ლ. ი. ნ. ი. შ. ნ. ე. ბ. ი.

**ბიბლიოგრაფიული შენიშვნა** — библиографическая заметка — გაზეთში ან ჟურნალში მოთავსებული მოკლე ცნობა რომელიმე გამოცემის შესახებ.

**ბიბლიოგრაფიული შენიშვნები** — библиографические примечания — ტექსტში ან გვერდის, თავის ბოლოში მოთავსებული ბიბლიოგრაფიული ცნობები, დაკავშირებული ტექსტთან.

**ბიბლიოგრაფიული ცენტრი** — библиографический центр — ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს ბიბლიოგრაფიულ მუშაობას გარკვეული დაწესებულების, ქვეყნის ან საერთაშორისო მასშტაბით.

**ბიბლიოგრაფიული ცნობა** — библиографическая справка — ცნობა რომელიმე საკითხზე არსებული ლიტერატურის ან ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ.

**ბიბლიოგრაფიული ძიება** — библиографическое разыскание — მუშაობა ბეჭდვითი ნაწარმოებების შესახებ ისეთი ცნობების დადგენაზე, რომლებიც საკიროა მათი მოძებნის, აღწერისა და გამოყენებისათვის.

**ბიბლიოთეკა** — библиотека — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის დანიშნულება არის გარკვეული გეგმის შესაბამისად თავი მოუყაროს ბეჭდვით ნაწარმოებებს, დაამუშაოს ისინი ბიბლიოთეკურად, მოემსახუროს ამ ლიტერატურით მოსახლეობას და მისი მეშვეობით აწარმოოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მასების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით.

**ბიბლიოთეკა-ავტომობილი** — библиотечка-автомобиль — ავტომობილი, რომელშიც მოწყობილია ბიბლიოთეკა და რომელიც მომსახურებას უწევს შორეულ უბნებს სპეციალური გრაფიკის მიხედვით.

**ბიბლიოთეკათა კოოპერაცია** — кооперация библиотек — რამდენიმე ბიბლიოთეკის შეკავშირება ლიტერატურისა და ტექნიკური მასალების ერთად შექენისა და ერთადვე დამუშავების მიზნით.

**ბიბლიოთეკათა ქსელი** — библиотечная сеть — სხვადასხვა საფეხურის ბიბლიოთეკების გეოგრაფიული გაწყობა ისე, რომ ყველა დასახლებული წერტილი თანაბრად იყოს მომსახურებული და ყველა საფეხურის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყოს ინსტრუქციითა და მეთოდური ხელმძღვანელობით.

**ბიბლიოთეკათმცოდნეობა** — библиотечковедение — თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიბლიოთეკის ორგანიზაციისა და მისი მოქმედებისა. სინ. ბ. ბ. ლ. ი. თ. ე. კ. ო. ნ. ი. ა.

**ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი** — межбиблиотечный абонемент — ბიბლიოთეკებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც მათ ავალებს ერთმანეთს დროებით გაუგზავნონ ლიტერატურა ადგილობრივი მკითხველებისათვის.

**ბიბლიოთეკათშორისი გაცვლა** — межбиблиотечный обмен — ლიტერატურისა და ბიბლიოგრაფიული მასალების ურთიერთდამოხმობა ეკვივალენტური მასალებით ანაზღაურების პირობით.

**ბიბლიოთეკარი** — библиотечар — 1) სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნება, რომელიც მუშაობს ბიბლიოთეკაში. 2) ბიბლიოთეკის მუშაკთა ერთ-ერთი საკვალიფიკაციო თანრიგი.

**ბიბლიოთეკის ბირთვი** — библиотечное ядро — ლიტერატურის ფონდის ნაწილი, რომელიც აუცილებლად არის

სათანადო საფეხურის, ტიპის ბიბლიოთეკაში, როგორც მინიმუმი, რაც საჭიროა მკითხველთა მომსახურებისათვის.

ბიბლიოთეკის კონსულტანტები — **консультанты библиотек** — სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც ეხმარებიან ბიბლიოთეკას მკითხველთა მომსახურებაში ან უშუალოდ თვით ბიბლიოთეკის მუშაკებს არკვევენ მათი სპეციალობის საკითხებში.

ბიბლიოთეკის მეგობართა წრე — **кружок друзей библиотек** — მკითხველთა ჯგუფი, რომელიც ბიბლიოთეკას აქტიურად ეხმარება მკითხველთა მომსახურებაში, ფონდისა და შენობის დაცვაში, წესრიგის დამყარებაში და სხვ.

ბიბლიოთეკის მოწაფეობა (შეგიძლვა) — **библиотечное ученичество** — ახალი კადრების მომზადების ერთ-ერთი გზა, როდესაც ბიბლიოთეკაში ხელფასზე ჩაირიცხება პირი, რომელიც მუშაობასთან ერთად უნდა მოემზადოს გამოცდისათვის სათანადო პროგრამის მიხედვით.

ბიბლიოთეკის მოწყობილობა — **оборудование библиотек** — ყველა ის ნივთი, საგანი, რომელიც საჭიროა ბიბლიოთეკის ნორმალური მოქმედებისათვის. სი. ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ო მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა.

ბიბლიოთეკის მუშაკი — **библиотечный работник** — იხ. ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა რ ი (1).

ბიბლიოთეკის საბჭო — **библиотечный совет** — საბჭო, რომელიც შედგება ბიბლიოთეკის მუშაკებისა და მკითხველთა მიერ არჩეულ პირთაგან, რომელიც ეხმარება დირექციას ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

ბიბლიოთეკის ტექნიკოსი — **библиотечный техник** — ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც ასრულებს წიგნის დამუშავებისა და დაცვის ტექნიკური ხასიათის სამუშაოებს.

ბიბლიოთეკის ფონდი — **библиотечный фонд** — ბიბლიოთეკაში არსებუ-

ლი და მოქმედებაში მყოფი მთელი ლიტერატურის ერთობლიობა.

ბიბლიოთეკის შევსება — **пополнение библиотек** — მოქმენა და შექმენა ისეთი ბეჭდვითი ნაწარმოებებისა, რომლებმაც უნდა შეავსონ ხარვეზები, ლაკუნები და აგრეთვე მიუმატონ ახლად გამოსული ლიტერატურა.

ბიბლიოთეკის შენობა — **библиотечное здание** — ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი შენობა, აგებული ისე, რომ ყოველი განყოფილება უზრუნველყოფილი იყოს სათანადო მოცულობისა და მოყვანილობის ფართობით და ერთობ მომარჯვებული იყოს მოსახლეობის საუკეთესო მომსახურებისათვის, ბიბლიოთეკური შენობებისათვის არსებობს სპეციალური ნორმატივები და ტექნიკური პირობები.

ბიბლიოთეკის წესდება — **устав библиотек** — წესები, რომლებიც ზუსტად უნდა იქნას დაცული როგორც თანამშრომლების, ისე მკითხველების მიერ, რომ ბიბლიოთეკური მომსახურება და მისი დაცვა საუკეთესოდ იყოს წარმოებულ.

ბიბლიოთეკის ხარვეზები — **проблемы библиотек** — რომელიმე დარგის ლიტერატურის კომპლექტის ნაკლებობა, რაც შესაძლებლობის ფარგლებში შევსებული უნდა იქნას.

ბიბლიოთეკონომია — **библиотечно-экономия** — იხ. ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა.

ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული დამუშავება — **библиотечно-библиографическая обработка** — ბეჭდვითი ნაწარმოების სრული გამოწყობა და აღწერა ისე, რომ შეიძლებოდეს მისით მკითხველთა მომსახურება და ყოველგვარი ბიბლიოგრაფიული და ბიბლიოთეკური ოპერაციის წარმოება.

ბიბლიოთეკურ - ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია — **библиотечно-библиографическая классификация (ББК)** — კლასიფიკაცია, დამუშავებული საბ-

ქოთა კავშირის უდიდესი ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიებით. წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დამყარებულ სქემას, რომელიც სრულყოფილად ასახავს მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას.

**ბიბლიოთეკური აღრიცხვის წიგნები** — **книги библиотечного учета** — სტანდარტული ფორმის დავთრები, რომელთა მეშვეობით წარმოებს ბიბლიოთეკის მუშაობისა და წიგნების აღრიცხვა.

**ბიბლიოთეკური დამუშავება** — **библиотечная обработка** — ბიბლიოთეკური ოპერაციების სერია, რომლებიც უნდა გაიაროს ბეჭდვითმა ნაწარმოებმა ბიბლიოთეკის მიერ მიღებიდან თართზე მოთავსებამდე, რაც აუცილებელია მკითხველთა მომსახურებისათვის.

**ბიბლიოთეკური ერთეული** — **библиотечная единица** — ბეჭდვითი ნაწარმოები, ცალკე ნომრით შეტანილი საინვენტარო წიგნში.

**ბიბლიოთეკური კლასიფიკაცია** — **библиотечная классификация** — მეცნიერული კლასიფიკაცია, გადამუშავებული ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის ისე, რომ შესაძლებელი იყოს ასახვა ბეჭდვითი ნაწარმოებების ფორმის, ენისა და სხვ.

**ბიბლიოთეკური პედაგოგია** — **библиотечная педагогика** — მკითხველთა მომსახურების მეთოდია. პედაგოგიური ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება მკითხველთა მომსახურების პროცესში.

**ბიბლიოთეკური სტატისტიკა** — **библиотечная статистика** — 1) ბიბლიოთეკის მუშაობის აღრიცხვა სპეციალური ფურცლებისა და დავთრების მეშვეობით. 2) ბიბლიოთეკის მუშაობის სახეების რიცხობრივი მაჩვენებლები, კოეფიციენტები.

**ბიბლიოთეკური ტექნიკა** — **библиотечная техника** — 1) ტექნიკური ხერხები, ხელსაწყოები და მოწყობილობანი, რომელთა მეშვეობით სწრაფად და

უკეთესად წარმოებს როგორც წიგნების დამუშავება, ისე მკითხველთა მომსახურება. 2) მასალები, რომლებიც საჭიროა ბიბლიოთეკური წიგნის ტექნიკურად დამუშავებისათვის.

**ბიბლიოთეკური ტომი** — **библиотечный том** — ბეჭდვითი ნაწარმოები ან ნაწარმოებები, ერთ უღამი დაჯამული, რომელიც ერთეულად ითვლება საცავისა და ინვენტარინაიცის თელსაზრისთ.

**ბიბლიოთეკური ცნობა** — **библиотечная справка** — ცნობა რომელიმე ბეჭდვითი ნაწარმოების ბიბლიოთეკაში არსებობა-არარსებობისა და სხვ. შესახებ.

**ბიბლიოთეკური ხელი** — **библиотечный почерк** — სპეციალურად გამოუშვებული ხელი, რომლითაც იწერება საკატალოგო ბარათები, ხელნაწერი ბიბლიოგრაფიები და ბიბლიოთეკის განცხადებები.

**ბიბლიოთეკური წერის დედანი** — **прописи библиотечного почерка** — რვეული ან წიგნი ბიბლიოთეკური ხელის ნიმუშებით.

**ბიბლიოთერაპია** — **библиотерапия** — წიგნის გამოყენება სამკურნალო და ნიშნულებისათვის (წიგნით, კითხვით მკურნალობა).

**ბიბლიოლოგი** — **библиолог** — წიგნის მცოდნე.

**ბიბლიოლოგია** — **библиология** — წიგნმცოდნეობა.

**ბიბლიომანი** — **библиоман** — წიგნების შეგროვებით გატაცებული ადამიანი, რომელსაც შექმნის, შეგროვების მომენტი თვითმიზნად აქვს გადაქცეული.

**ბიბლიოპეგისტი** — **библиопегист** — 1) წიგნების ყდების მცოდნე. 2) წიგნების კაზმეის ხელოსანი.

**ბიბლიოფილი** — **библиофил** — წიგნის მოყვარული, პატივისმცემელი, წიგნის მეგობარი.

**ბიბლიოფსიქოლოგია** — **библиопсихология**

ХОЛОДИЯ — იდეალისტური მოძღვრება წიგნთ სარკვებლობასთან დაკავშირებული ფსიქიკური მოვლენების შესახებ.

ბიობიბლიოგრაფია — БИОБИБЛИОГРАФИЯ — ბიბლიოგრაფიული ცნობარი, რომელიც შეიცავს ვისსავე ბიოგრაფიას და მისი შრომებისა და მასზე არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას.

ბიობიბლიოგრაფიული ლექსიკონი — БИОБИБЛИОГРАФИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ — რომელიმე დარგის ან ზოგადი ხასიათის ცნობარი, რომელიც შეიცავს ანბანზე გაწყობილ ბიობიბლიოგრაფიებს.

ბლოკნოტი — БЛОКНОТ — სუფთა ფურცლების რკეული, ერთი მხრიდან დაჩერტილი (მოხვეის გასაადვილებლად), შენოსვებისა და ბარათებისათვის.

ბლოკნოტური კატალოგი — БЛОКНОТНЫЙ КАТАЛОГ — კატალოგი, სადაც აღწერილობანი დაწერილია ფურცლებზე, რომლებიც სათანადო თანამიმდევრობით ჩაერთიან. ფურცლები შეკრულია უაითნებით და ერთად ბლოკნოტს მოკვავონებენ. სინ. ფურცლადი კატალოგი.

ბოლოასო — КОНЦЕВАЯ БУКВА — ტექსტის უკანასკნელი ასო, რომელიც ზოგჯერ ცალკეა მოთავსებული და რაიმე მხატვრობას წარმოადგენს.

ბოლოვინიეტი — КОНЦЕВАЯ ВИНЬЕТКА — წიგნის ბოლოში მოთავსებული მოსართავი. ნაწარმოების დამთავრების ნიშანი.

ბოლოსიტყვა — КОНЦЕВОЕ СЛОВО — ტექსტის უკანასკნელი სიტყვა, ზოგჯერ ქვემოთ გატანილი და მხატვრულად შესრულებული.

ბოლოსიტყვაობა — ПОСЛЕСЛОВИЕ — ავტორის ან სხვა პირის მიერ ნაწარმოების ბოლოში დართული სტატია ავტორისა და ნაწარმოების შესახებ.

ბომბიცინი — БОМБИЦИНА — ძველებური ქაღალდი, ჩერებისაგან უხეშად მოხარშული.

ბორგესი — БОРГЕС — შრიფტი, რომ-

ლის კეგელი 9 პუნქტს უდრის. უფრო გაზეთების აწეობისას იხმარება.

ბოქსი — БОКС — ბიბლიოთეკაში პატარა კაბინეტი ინდივიდუალურად მეცადინეობისათვის.

ბრაილის შრიფტი — БРАЙЛЕВСКИЙ ШРИФТ — იხ. რელიეფური ბეჭდვა.

ბრევიარიუმი — БРЕВИАРИЙ — ერთი დარგის თხზულებებიდან ამონაწერების კრებულო.

ბრილიანტი — БРИЛЛИАНТ — წვრილი შრიფტი, რომლის კეგელი 3 პუნქტს უდრის.

ბრისტოლის მუყაო — БРИСТОЛЬСКИЙ КАРТОН — თეთრი მუყაო, მიღებული რამდენიმე თეთრი ქაღალდის შეწყობით.

„ბრმა“ წიგნი — «СЛЕПАЯ» КНИГА — წიგნი, რომელსაც ყდაზე არ აქვს წარწერა.

ბროშირება — БРОШИРОВКА, БРОШЮРОВКА — იხ. აკინძვა.

ბროშურა — БРОШЮРА — 1) მცირე სისქის წიგნი, 2—3 ბეჭდვითი ფურცლის ფარგლებში. 2) დაუკაზმავი წიგნი.

ბროშურული ლიტერატურა — БРОШЮРНАЯ ЛИТЕРАТУРА — ბროშურები, საერთო ფონდიდან გამოყოფილი ჯგუფური ინვენტარიზაციისა და დამუშავების მიზნით.

ბრტყელი ბეჭდვა — ПЛОСКАЯ ПЕЧАТЬ — ბეჭდვის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომლის დროსაც საბეჭდო ფორმაზე (ლითონის დაფაზე, ქვაზე) საბეჭდო და სახარვეზო ზედაპირი პრაქტიკულად ერთ სიბრტყეზე მდებარეობს და თანაბრად ეხება ქაღალდს.

ბუკინისტი — БУКНИСТ — ნახმარი და იშვიათი წიგნების მცოდნე და მოვაკე.

ბუკლები — БУКЛЕТ — ტექსტი ან სურათები, რომლის გვერდები დაბეჭდილია გრაფიკულად, რომელიც იყვება არა როგორც წიგნის ფურცლები, არამედ თანამიმდევრად და ინახება გაუქ-

რელი. კითხვისას ასეთი წიგნაკი გაიშლება გრძელ ფურცლად. უფრო ხშირად ასე ფორმდება საბავშვო სურათებიანი წიგნები.

**ბულვარული ლიტერატურა** — *бульварная литература* — კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებული მდაბიური მხატვრული ლიტერატურა, განუთვნილი დაბალი გემოვნების მკითხველისათვის.

**გაბასება** — *прене* — მხატვრული ნაწარმოები, დაწერილი ორი ან რამდენიმე პირის, საგნის თუ მოვლენის კამათის ფორმით.

**გაბშული პაგინაცია** — *сплошная пагинация* — გვერდების ერთიანი ნუმერაცია, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს წიგნს.

**გაგრძელება** — *продолжение* — 1) ყოველი მომდევნო მონაკვეთი თხზულებისა, რომელიც ნაწილ-ნაწილ იბეჭდება პერიოდულ გამოცემაში. 2) გრძელდებადი გამოცემის ყოველი მომდევნო ტომი (ნაკვეთი).

**გაგრძელებითი ბარათი** — *карточка продолжения* — საკატალოგო ბარათი, რომელზეც გაგრძელებულია (წინა ბარათიდან გადაღის) ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობა.

**გადაბეჭდვა**, **გადმობეჭდვა** — *перепечатка* — ადრე დაბეჭდილი ნაწარმოების უცვლელად გამოორება ახალი ანაწყობის მეშვეობით.

**გადაკეთება**, **გადმოკეთება** — *перделка* — 1) ნაწარმოების ტექსტის შეცვლა, შემოკლება-გამარტივება გარკვეული კატეგორიის მკითხველისათვის (მოზარდთათვის, მცირემკოდნეთათვის...). 2) ერთი ჟანრის ნაწარმოებისაგან სხვა ჟანრის ნაწარმოების შექმნა. მაგ., მოთხრობის (რომანის) გადაკეთება პიესად. 3) სხვა ენაზე დაწერილი თხზულების თარგმნა-გადმოღება შეცვლილი სახით.

**ბუსტროფედიონი** — *бустрофедон* — წერის ერთ-ერთი ძველი სახე, როდესაც ერთი სტრიქონი იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო მეორე სტრიქონი — მარჯვნიდან მარცხნივ.

**ბჯენი** — *книгодержатель* — ხის ან ლითონის მოწყობილობა ნაკლებ თაროზე წიგნების ვერტიკალურ მდგომარეობაში გასაჩერებლად.

8

**გადამუშავება** — *переработка* — თხზულების ტექსტის მეტ-ნაკლები მოცულობით შეცვლა მისი გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

**გადამუშავებული გამოცემა** — *переработанное издание* — თხზულების შეცვლილი, გაუმჯობესებული ტექსტის ხელახალი გამოცემა.

**გადასაცვლება** — *застановка* — იხ. ბარათის გადასაცვლება, წიგნის გადასაცვლება.

**გადასაწვეი თარო** — *откидная полка* — სტელაჟის ან კარადის თარო, რომელიც მოუხსნელად შეიძლება გადაიწიოს წინისაკენ ან გვერდზე.

**გადასიწული გამოცემა** — *пересмотренное издание* — ხელახალი გამოცემა ბეჭდვითი ნაწარმოებისა, რომელიც ავტორის მიერ გადახედულია საჭირო შესწორებათა შეტანის მიზნით.

**გადატანითი ბეჭდვა** — *переносная печать* — იხ. ანასტატიკური ბეჭდვა.

**გადაფასება** — *переоценка* — წიგნის ნომინალური ფასის შეცვლა (დაკლება ან მომატება) წიგნსაყპრო დაწესებულების მიერ.

**გადმობეჭდვა** — იხ. გადაბეჭდვა.

**გადმოკეთება** — იხ. გადაკეთება.

**გადმოხაზული ჩანაწები ფურცელი** — *выкидная вкладка* — წიგნში ჩაწებებული დიდი ფურცელი საილუსტრაციო მასალით (რუკა, დოკუმენტის ასლი...), რომელიც გაკეცილი ღვეს წიგ-

• ნში, კითხვის დროს კი უნდა გაიშალოს.

**გავრცობილი გამოცემა** — расшпренное издание — ხელახალი გამოცემა, რომელშიც სატექსტო და საილუსტრაციო მასალა უფრო მეტია, ვიდრე წინა გამოცემაში.

**გაზეთი** — газета — პერიოდული გამოცემა, რომელიც დროის უფრო მცირე შუალედით გამოდის, ვიდრე ყურნალი (ყვირაში ერთხელ, ყოველდღე...), წარმოადგენს ქალაქის ერთ ან რამდენიმე გაშლილ ფურცელს, რომლებზეც სვეტებად იბეჭდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი საინფორმაციო მასალები, ლიტერატურული, კრიტიკული, მეცნიერულ-პოპულარული და სხვა სახის წერილები.

**გაზეთის ამონაქერი** — газетная вырезка — იხ. ამონაქერი (1).

**გაზეთის ხარევისტრაცია ბარათი** — газетная регистрационная карточка — დადგენილი ზომისა და დახატულობის ბარათი, რომელზეც წლის განმავლობაში აღინიშნება ამა თუ იმ გაზეთის ყოველი ნომრის მიღება. საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ, არის თუ არა გაზეთის ყველა ნომერი მიღებული ბიბლიოთეკაში.

**გაზეთის ქალაქი** — газетная бумага — დაბალი ხარისხის, მეგრამ საკმაო სიმტკიცის რულონის ქალაქი, რომელზეც ბეჭდავენ გაზეთებს.

**გაზეთის შრიფტი** — газетный шрифт — იხ. საგაზეთო შრიფტი.

**გამარტივებული აღწერილობა** — упрощенное описание — იხ. შემოკლებული აღწერილობა.

**გამომთვლელი მანქანა** — вычислительная машина — ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, განკუთვნილი მათემატიკურ ამოცანათა გადასაწყვეტად.

**გამომცემელი** — издатель — 1) პირი, რომელიც ან კოლექტივი, რომელიც ეწევა ნაწარმოების გამოცემისათვის საჭირო ხარჯებს და მეთვალყურეობს მის

ბეჭდვას. 2) პირი, რომელიც დასაბეჭდად ამზადებს სხვა ავტორის თხზულებას, ადგენს ტექსტს, ურთავს სათანადო შენიშვნებსა და კომენტარს.

**გამომცემლობა** — издательство — დაწესებულება, რომელიც ეწევა ბეჭდვითი ნაწარმოებების გამოცემას.

**გამომცემლობის ანოტაცია** — издательская аннотация — 1) ბეჭდვითი ნაწარმოების ანოტაცია, დაბეჭდილი წიგნშივე (გარეყდაზე, თავფურცლის მეორე გვერდზე...). 2) ბეჭდვითი ნაწარმოების ანოტაცია, დაბეჭდილი საგამომცემლო კატალოგში ან თემატურ გეგმაში.

**გამომცემლობის მარკა, გამომცემლობის ნიშანი** — издательская марка, издательский знак — მცირე გრაფიკული გამოსახულება სათანადო წარწერით. წარმოადგენს გამომცემლობის, როგორც წარმოების, განმასხვავებელ ნიშანს და იბეჭდება გამომცემლობის მიერ გამოშვებულ წიგნებზე (ყდაზე, კანზე, თავფურცელზე).

**გამომცემლობის ყდა** — издательский переплет — ყდა, რომლითაც დაკაზმულია წიგნი გამომცემლობის მიერ. იხ. საგამომცემლო ყდა.

**გამოფენა** — выставка — სხვადასხვა საგნის (ნაქეთობის) გარკვეული წესით განლაგება მათი დათვლიერების მიზნით. იხ. აგრ. წიგნის გამოფენა.

**გამოშვების ცნობები** — выпускные данные — ცნობები ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ, დაბეჭდილი წიგნის ბოლოს ან თავფურცლის მეორე გვერდზე (რედაქტორის, კორექტორის, მხატვრის, ამწყობის გვარები, წიგნის ასაწყობად გადაცემისა და დასაბეჭდად ხელმოწერის თარიღები, ქალაქის ფორმირი, ანაწყობის ზომა, წიგნის მოცულობა, ტირაჟი, სტამბის დასახელება და მისამართი, შეკვეთის ნომერი, ფასი და სხვ.).

**გამოცემა** — издание — 1) ბეჭდვითი



თი ნაწარმოების გამოშვება დამოუკიდებელ ბეჭდვით ერთეულად. 2) ბეჭდვითი ნაწარმოების ყველა ეგზემპლარის ერთობლიობა. 3) იგივეა, რაც ბეჭდვითი ნაწარმოები.

გამოცემის ადგილი — место издания — გეოგრაფიული პუნქტი, სადაც იმყოფება ბეჭდვითი ნაწარმოების გამომცემელი დაწესებულება.

გამოცემის წელი — год издания — 1) ბეჭდვითი ნაწარმოების გამოშვების წელი, რომელიც წიგნშივეა აღნიშნული (თაფურცელზე, კანზე, ყდაზე, წინასიტყვაობაში, კოლოფონში...) ან დადგენილია სპეციალური კვლევა-ძიების შედეგად. 2) რიცხვი, რომელიც მიუთითებს, თუ მერამდენე წელია, რაც გამოცემის პერიოდული გამოცემა. სინ. წელი.

გამყოფი — разделитель — მუყაოს ფირფიტა, რომელსაც დებენ კატალოგში (კარტოთეკაში) რაიმე ნიშნით გაერთიანებული ბარათების ერთი ჯგუფის სხვებისაგან გამოსაყოფად და მოძებნის გასაადვილებლად. ზომით სკატალოგო ბარათის ტოლია, მხოლოდ ზემოკიდის გვერდითი (მარცხენა თუ მარჯვენა) მხარე ან შუა ნაწილი რამდენადმე წაგრძელებული აქვს. ამ შვერზე წერენ რუბრიკას, ინდექსს, ავტორის გვარს, ასოებს და სხვა მონაცემებს, რის საფუძველზეც არის გაერთიანებული გამოცოფთან გაწყობილი ბარათები.

გამყოფი ბარათი — разделительная карточка — სქელი ქაღალდის ან მუყაოს ბარათი ჩვეულებრივი ზომისა, რომელსაც დებენ რაიმე ნიშნით გაერთიანებული ბარათების ერთი ჯგუფის ბოლოს სხვა ჯგუფისაგან გამოყოფის მიზნით. გამოყოფისაგან განსხვავებით, არა აქვს შერი და რაიმე წარწერა.

განაცემბა უთი — ящик выдач — აბონემენტზე და სამკითხველო დარბაზში გაცემულ წიგნთა ფორმულარების კარტოთეკა, რომელშიც თვის ამა თუ იმ რიცხვში დასაბრუნებელ წიგნთა ფორ-

მულარები ანბანის რიგზეა გაწყობილი შესაბამის ვადის გამოყოფებთან. სინ. ვადების ყუთი.

განმარტებითი ლექსიკონი — толковый словарь — ლექსიკონი, რომელშიც ერთი ენის სიტყვები და გამოთქმები იმავე ენაზეა ახსნილი.

განმეორებითი გამოცემა — повторное издание — 1) წიგნის ხელმეორედ გამოცემა ახალი ანაწყობის ან სტერეოტიპების მეშვეობით. 2) საერთოდ, ყოველი მომდევნო გამოცემა ადრე დაბეჭდილი თხზულებისა. სინ. ახალი გამოცემა (1), ხელახალი გამოცემა. 3) გამოცემის ტირაჟის ნაწილი, რომელიც ამ გამოცემისათვის დადგენილი ტირაჟის ნორმის ზევითაა დაბეჭდილი.

გარდაცვალების შემდგომი გამოცემა — посмертное издание — 1) ნაწარმოების გამოცემა ავტორის გარდაცვალების შემდეგ. 2) ავტორის სიცოცხლეში დაუბეჭდავი ნაწარმოების გამოცემა.

გარე არე — внешнее поле — წიგნის გვერდზე ტექსტსა და გვერდით შემონაჭერს შორის არსებული ცარიელი ადგილი.

გარეკანი — 1) იგივეა, რაც კანი. 2) ზოგჯერ სინონიმი ტერმინებისა: გარე ყდა, ზეკანი, სუპერკანი.

გარეკანის სათაური — обложечное заглавие — იხ. კანის სათაური.

გარეკანის ქაღალდი — обложечная бумага — სქელი, მკვრივი ქაღალდი (თეთრი ან ფერადი), რომელსაც იყენებენ წიგნის კანის დასამზადებლად.

გარეულა — суперобложка — დაკაზმული წიგნის გარე საფარი — ქაღალდის ფურცელი, შემოცმული წიგნზე და შეკეცილი ყდის ფრთებთან. მასზე დაბეჭდილია თაფურცლის ზოგიერთა მონაცემი (ავტორი, სათაური) და ჩვეულებრივ გრაფიკულადაა გაფორმებული. შენაკეცებზე ზოგჯერ დაბეჭდილია გამომცემლობის ანოტაცია. სინ. გარეკანი (2), ზეგარეკანი, ზე-

კანი, სუპერკანი, წიგნის პერანგი.

გარეშე მკითხველი — посторонний читатель — მკითხველი, რომელიც არ არის მოცემული ბიბლიოთეკის აბონენტი.

გარნიტური — гарнитура — სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთნაირი მონაზულობის შრიფტთა სრული კომპლექტი.

გარსაკრი წიგნისა — манжетка книги — იხ. სამაჯური წიგნისა.

გასავლიანი წიგნი — ходкая книга, ходовая книга — წიგნი, რომელიც ხშირ ბრუნვაშია მასზე მკითხველთა დიდი მოთხოვნილების გამო.

გასაცემი პუნქტი — выдачный пункт, пункт выдачи — ადგილი ბიბლიოთეკის შენობაში ან მის გარეთ (ჩვეულებრივ, შორეულ უბანში), სადაც წარმოებს მკითხველებისათვის ლიტერატურის გაცემა და მათგან წაკითხული წიგნების მიღება.

გასაწეობი ინდექსი — расстановочный индекс — იხ. თაროს ინდექსი.

გაურჩეველი ფონდი — неразобранный фонд — აუთვისებელი ფონდის ნაწილი, რომელიც ბიბლიოთეკურად შეუსწავლელია (არ არის დადგენილი ოპერატიულ ფონდში მისი შეტანის საჭიროება).

გაშვება — завод — დიდტირაჟიანი გამოცემის ტირაჟის ნაწილი, რომელიც ერთჯერად იბეჭდება. ჩვეულებრივ აღინიშნება გამოშვების ცნობებში ტირაჟთან ერთად. მაგ., ტირაჟი 300.000 (100.001 — 200.000). სინ. ჯერ ი.

გაშლილი ანოტაცია — развернутая аннотация — ანოტაცია, რომელშიც დანეროლებითაა დახასიათებული ბეჭდვითი ნაწარმოები.

გაშლილი გვერდი — разворот книги — წიგნის ურთიერთმოსაზღვრე ორი გვერდი, აღებული როგორც ერთი მთლიანი ოდენობა, მასზე დაბეჭდილი

ილუსტრაციით ან ცხრილით, რომლებიც ჩვეულებრივ გვერდზე არ ეტევა.

გაშლილი თავფურცელი — развернутый титульный лист, распашной титул — წიგნის საწყისი ორი ფურცლის ურთიერთმოსაზღვრე გვერდები, რომლებზეც განწილებულია ის ძირითადი ბიბლიოგრაფიული ცნობები, რაც ჩვეულებრივ თავფურცლის ერთ გვერდზე იბეჭდება.

გაშლილი ილუსტრაცია — распашная иллюстрация — ილუსტრაცია, დაბეჭდილი გაშლილ გვერდზე.

გაშლილი ცხრილი — распашная таблица — ცხრილი, დაბეჭდილი გაშლილ გვერდზე.

გაცვლითი ფონდი — обменный фонд — ბიბლიოთეკის წიგნადი ქონების ნაწილი, ვანკუთვნილი სხვა ბიბლიოთეკებისათვის უფასოდ ვადასაცემად და მათგან სამაგეროს მისაღებად. შედგება ზედმეტი ცალებისაგან და ბიბლიოთეკის პროფილის შეუსაბამო გამოცემებისაგან, რომლებიც არაა გატარებული საინვენტარო წიგნში ან ამოღებულია ინვენტარიდან.

გეგმა — план — 1) ნახაზი, რომელზეც მოცემულია რაიმე ადგილის, ნაგებობის, საგნის სიბრტყითი გამოსახულება. 2) თხზულების წინასწარი მონასახი. 3) განზრახვა, ჩანაფიქრი, პროექტი.

გენერალური თავფურცელი — генеральный титульный лист — იხ. ზოგადი თავფურცელი.

გენერალური კატალოგი — генеральный каталог — ბიბლიოთეკის ძირითადი (ჩვეულებრივ, სამსახურებრივი ანბანური) კატალოგი, რომელშიც სრულადაა ასახული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

გენერალური რუკა — генеральная карта — მთელი დედამიწის ან მთლიანად აღებული რაიმე გეოგრაფიული ერთეულის (მაგ., კონტინენტის, ქვეყნის) რუკა.

გეოგრაფიული გაწეობა — географич-

ческая расстановка — წიგნების გაყობა გამოცემის ადგილის ან იმ გეოგრაფიული ადგილების მიხედვით, რომლებსაც შეეხება ბექდვითი ნაწარმოები.

გეოგრაფიული კატალოგი—географический каталог — კატალოგი, რომელშიც აღწერილობანი გაყობილია იმ გეოგრაფიული ადგილების მიხედვით, რომლებსაც ეხება ან სადაც გამოიცა ბექდვითი ნაწარმოებები. სინ. რეგიონალური კატალოგი.

გეოგრაფიული ლექსიკონი — географический словарь — ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია გეოგრაფიულ სახელწოდებათა მნიშვნელობა და გარკვეულია მათი წარმოშობა. სინ. ტოპონიმიკური ლექსიკონი.

გეოგრაფიული მსაზღვრელი — географический определитель — იხ. ადგილის მსაზღვრელი.

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ხაზივებული — указатель географических названий — წიგნში ნახსენები გეოგრაფიული სახელწოდებების ანბანური სია რომელშიც თითოეულ სახელწოდებასთან მითითებულია წიგნის ან გვერდები, სადაც ეს სახელწოდებაა მოხსენებული.

გეონიმი — геоним — საღაურობის აღმნიშვნელი სიტყვა, გამოყენებული ფსევდონიმად. მაგ., არაგვისპირელი.

გეორგია — георгия (Georgica) — ლიტერატურა საქართველოს შესახებ.

გეორგიკები — георгиики — ძველბერძნული და რომაული ლექსები, რომლებიც უძღვრიან, იდილიურად ასახავენ სოფლურ ყოფას, სოფლის მეურნეობას.

გვერდი — страница — ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნის ფურცლის (ყეფის) ცალი პირი.

გვერდითი გამოყოფი — боковой разделитель — გამოყოფი, რომელსაც შვერი ერთ-ერთ ნახევარზე (მარჯვენაზე ან მარცხენაზე) აქვს. შეერის სიგანე სხვა-

დასხვა (გამოყოფის 1/2, 1/3, 1/4, 1/5 და ა. შ.).

გვერდითი შემონაქერი — боковой индекс — შემოპირილი წიგნის გვერდითი ნაწიბერი.

გვერდულა — боковик, боковышка — იხ. მარგინალიები.

გზამკვლევ — путеводитель — იხ. მეგზური.

გლაგოლიცა — глаголица — სლავური დამწერლობის ერთ-ერთი სახე. წარმოიშვა IX საუკუნეში, როგორც ფიქრობენ, ბერძნული ნუსხური დამწერლობის საფუძველზე.

გლოსა — глосса — ტექსტში ნახმარი გაუგებარი სიტყვის (გამოთქმის) განმარტება, მიწერილი ხელნაწერის არშიაზე ან ჩამატებული თვით ტექსტში.

გლოსარი, გლოსარიუმი — глоссариум — ძველ ტექსტში ნახმარი გაუგებარი სიტყვების ლექსიკონი.

გოტიკური შრიფტი — готический шрифт — ლათინური შრიფტის ნაირსახეობა დამახასიათებელი წვეტიანი, კუთხოვანი ასოებით. XII საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც დღესაც იხმარება.

გოფირება — гофрирование — 1) ქალაღის, ქსოვილის, ლითონის იმგვარი დამუშავება, რომ მათზე წარმოიშვას ტალღისებრი ნაკეციები. 2) ქსოვილზე რელიეფური (ამობურტული) გამოსახულების ამოტიფრვა.

გრაგნალი — свиток — ძველი ხელნაწერი წიგნი. წარმოადგენს პაპირუსის ან პერგამენტის გრძელ ზოლს, მილიკებრ დახვეულს.

გრაგნილა ქალაღი — ролевая бумага — იხ. რულონის ქალაღი.

გრავიორი — гравёр — 1) ოსტატი, რომელსაც საბეჭდ ფორმაზე გადააქვს გასამრავლებელი გამოსახულება ხელით ამოქრის ან მკვითი ამოქმის გზით. 2) მხატვარი, რომელსაც თვითონ გადააქვს თავისი ნახატი საბეჭდ ფორმაზე.

**გრაფიკა** — гравирование — საბეჭდო ფორმაზე (ხის დაფა, ლინოლეუმში, ქვა, ლითონის ფირფიტა) გამოსახულების გადატანა მექანიკური წესით ამოკრა-ამოკაწრის ამ მეთაფით ამოკმის გზით.

**გრაფირებული თავფურცელი** — гравированный титульный лист — დამატებით თავფურცელი, გადაბეჭდილი გრაფირების წესით მომზადებული საბეჭდო ფორმიდან, მაშინ როცა ძირითადი თავფურცელი წარმოადგენს სტამბური ანაწყობის ანაბეჭდს.

**გრაფიურა** — гравюра — გამოსახულება, მიღებული საბეჭდო ფორმიდან (ხის დაფა, ლინოლეუმში, ქვა, ლითონის ფირფიტა), რომელზეც გასამრავლებელი სურათი ამოკრილ-ამოკმულია გრაფიურის მიერ.

**გრაფიურა ლითონზე** — гравюра на металле — ღრმა ბეჭდვის გრაფიურა, გადაბეჭდილი ლითონის (სპილენძის, ფოლადის, თუთიის) ფირფიტიდან, რომელზეც ამოკაწრულ-ამოკმულია გასამრავლებელი გამოსახულება.

**გრაფიურა ლინოლეუმზე** — гравюра на линолеуме — იხ. ლინოგრაფიურა.

**გრაფიურა მშრალი ნემსით** — гравюра сухой иглой — იხ. მშრალი ნემსი.

**გრაფიურა პუნქტირით** — гравюра пунктиром — იხ. პუნქტირული გრაფიურა.

**გრაფიურა საჭრისით** — гравюра резцом, резцовая гравюра — ღრმა ბეჭდვის გრაფიურა, გადაბეჭდილი ლითონის ფირფიტიდან, რომელზეც გასამრავლებელი გამოსახულება ამოკვეთილია საჭრისით. სინ. კლასიკური გრაფიურა.

**გრაფიურა ქვაზე** — гравюра на камне — ღრმა ბეჭდვის გრაფიურა, გადაბეჭდილი ლითონგრაფიული ქვიდან. მეთაფით დამუშავებულ, ცხიმოვანი საღებავის არმიღებ ქვაზე საგრაფიურო ნემ-

სით ამოკაწრვენ გამოსახულებას; გაკაწრულ ადგილებში ქვას სცილდება ცხიმშეუვალი ფენა, რის შედეგად ეს ადგილები იფარება საღებავით და იძლევა ანაბეჭდს.

**გრაფიურა შავი ყაილით** — гравюра черной манерой — იხ. შავი ყაილია.

**გრაფიურა ხეზე** — гравюра на дереве — იხ. ქსილოგრაფია.

**გრაფიურის ლეგენდა** — легенда гравюр — იხ. ლეგენდა.

**გრამატურა** — грамматура — ქალაღის წონა გრამებში.

**გრანტოლი** — грантоль — ყღის გადასაკრავი ტყავისებრი ქსოვილი, მუშამბის ნაირსახეობა.

**გრაფიკა** — графика — 1) მხატვრობის დარგი, რომელიც გამოსახვის საშუალებად იყენებს ხაზებს, შუქრდილებს, შავი საღებავისა და ქალღლის კონტრასტს. 2) ნახატები, რომლებიც სახეითი ხელოვნების აღნიშნულ დარგს განეკუთვნება. 3) ასოებისა და დამწერლობის სხვა ნიშნების მოხაზულობა.

**გრაფიკი** — график — 1) ნახაზი, რომელზეც ტეხილი ან მრული ხაზებით გამოიხატება სხვადასხვა პროცესის მიმდინარეობა და რაოდენობრივი დამოკიდებულება. 2) ტრანსპორტის მოძრაობის ან რაიმე საქმიანობის, ნაწარმო პროცესების განრგება, განაწილება დროის გარკვეული მონაკვეთების მიხედვით.

**გრაფიკოსი** — график — მხატვარი, რომელიც გრაფიკას (ი) მისდევს.

**გრაფიკული გამოცემა** — графическое издание — 1) სახეითი ხელოვნების ნაწარმოები, დაბეჭდილი ცალკე ფურცლად, როგორც დამოუკიდებელი ბეჭდვითი ერთეული (საკუთარი ბეჭდობისა და გამოშვების ცნობებით). 2) წიგნი ან ალბომი, რომელშიც სახეითი ხელოვნების ნაწარმოებებია დაბეჭდილი მკირეოღენი განმარტებითი ტექსტით.

გრაფომანი — графоман — ბევრი წერის მოყვარული, გრაფომანიით შეპყრობილი.

გრაფომანია — графомания — ავადმყოფური მიდრეკილება ბევრი წერილადმა.

გრეციზებული სახელი (გვარი) — грецизированное имя — ძველბერძნულ ყაიდზე გადაკეთებული გვარ-სახელი საშუალო საუკუნეების ევროპელი ავტორებისა.

გრიფი — гриф — 1) დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება, დაბეჭდილი ოფიციალური დოკუმენტის თავში, სათურს ზემოთ. 2) ოფიციალური დოკუმენტის დამამტკიცებელი წარწერა თანამდებობის პირის ხელმოწერით. 3) ბეჭედი, რომელზეც თანამდებობის პირის ხელმოწერა ამოკვეთილი.

გროტესკი — гротеск — 1) ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში — მხატვრული ხერხი, რომელიც ემყარება მოკლენის უარყოფითი, სასაცილო მხარეების განზრახ გაზვიადებას, მკვეთრი კონტრასტების შეხამებას. 2) ამ ხერხით შექმნილი ნაწარმოები. 3) მხატვრული ორნამენტი ცხოველთა და ადამიანთა უცნაური, ფანტასტიკური გამოსახულებებით, ნიღბებით. 4) რუსული და ლათინური შრიფტის ნაირსახეობა, რო-

მელშიც ასოთა ძირითადი და შერტიხაზები ერთი სისქისაა.

გრძელდება გამოცემა — продолжающееся издание — გამოცემა, რომელიც ერთნაირად გაფორმებულ, სათანადო რიგითი ნომრის მქონე ტომებად (ნაკვეთებად) გამოდის, მაგრამ, პერიოდული გამოცემისაგან განსხვავებით. არარეგულარულად, დროის სხვადასხვა შუალედებით. ასეთია, მაგ., სამეცნიერო დაწესებულებათა და საზოგადოებათა შრომები, ოქმები, ანგარიშები.

გუაში — гуашь — 1) წყალსა და წებოში გახსნილი საღებავები, რომელთაც თეთრა (белая) აქვს დამატებული, რაც გაუმკვირვალს ზღის მათ. 2) ასეთი საღებავებით შესრულებული ნახატი.

გუთური ანბანი — готский алфавит — ძველი გერმანული ტომების — გუთების ანბანი. ბერძნული უნციალური დამწერლობის საფუძველზე შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ ჩვ. წ. IV საუკუნეში.

გულანი — კრებული, რომელშიც თვითმთავრად საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის საჭირო ყველა წიგნი.

გუჟარი — грамота — 1) მეფის ან დიდი ფეოდალის მიერ ეკლესიისათვის მიცემული წყალობის საბუთი, სიგელი. 2) საერთოდ. იგივეა, რაც სიგელი.

## ღ

დაბადება — 1) ბიბლიის შემადგენელი პირველი წიგნი. 2) ჩვეულებრივ, სინონიმი ტერმინისა ბიბლია.

დაბეჭდვის ადგილი — место печати — გეოგრაფიული პუნქტი, სადაც იმყოფება ბეჭდვითი ნაწარმოების გამოშვები სტამბა.

დაგეროტიპი — дагерротип — დაგეროტიპის წესით გადაღებული ფოტოსურათი.

დაგეროტიპია — дагерротипия — ფოტოგრაფიის თავდაპირველი წესი, რომელსაც ორიგინალის პოზიტიური გამოსახელება გადადიოდა იოდოვანი ვერცხლის თხელ ფირფიტაზე. გამოიგონა ფრანგმა ლ. ჟ. დაგერმა (1787—1851).

დავითნი — იხ. ფსალმუნთა.

დაზიმეტრიული რუკა — дазиметрическая карта — მოსახლეობის სიმჭიდროვის ამსახველი რუკა.

**დათარილება** — датировка — თხზულების დაწერის დროის ან ბეჭდვითი ნაწარმოების გამოცემის წლის დადგენა სპეციალურა ბიბლიოგრაფიული ძიების წყევად.

**დათევა** — штемпелование — ბეჭდვითი ნაწარმოების დაშუაგების დროს თავფურცელსა და მე-17 გვერდზე ბიბლიოთეკის ბეჭდის დასმა.

**დაკაბადონება** — верстка — კაბადონების (2) შედგენა სვეტებისაგან (2) სტამბური ანაწყობის სათანადო ადგილებში კლიშეების ჩასმისა და სტრიქონების გადაჯგუფების გზით.

**დაკაშვა** — переплет. переплетение — წიგნის ჩასმა ყდაში.

**დაკანვა** — крытые — იხ. შემოსვა.

**დაკიდებული სტრიქონი** — всякая строка — 1) აბზაცის ბოლო უსრული სტრიქონი, გადატანილი მომდევნო გვერდზე (სვეტზე). 2) ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობის პირველი სტრიქონი, რომელიც მომდევნო სტრიქონების საერთო ხაზიდან ერთი სანტიმეტრითაა გამოწეული მარცხნივ. იხმარება მაშინ, როცა აღწერა სათაურზე წარმოებს.

**დაკომპლექტება** — комплектование — ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გვერდობრივი და სისტემატური შესება მისი პროფილისა და ხასიათის შესაბამისი ბეჭდვითი ნაწარმოებებით.

**დამატება** — приложение — 1) წიგნის ნაწილი, დაბეჭდილი ძირითადი ტექსტის შემდეგ, როგორც დანართი. 2) ცალკე გამოცემული წიგნი, რომელიც მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას და წარმოადგენს სხვა გამოცემის დანართს (მაგ., საძიებელი). 3) პერიოდული გამოცემა, რომელიც იბეჭდება სხვა პერიოდული გამოცემის ფაიანი ან უფასო დანართის სახით და გამოდის დროის უფრო დიდი შუალედით, ვიდრე ძირითადი გამოცემა. მაგ., ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთის საკვირაო ლიტერატურული დამატება. 4)

ბეჭდვითი ნაწარმოები (ხშირად მრავალტომეული), რომელიც პერიოდულ გამოცემასთან ერთად ვრცელდება ხელმოწერის გზით.

**დამატებიანი გამოცემა** — издание с приложением — პერიოდული გამოცემა, რომელსაც დამატება (3, 4) ახლავს.

**დამატებითი აღწერილობა** — дополнительное описание — დამხმარე აღწერილობა, რომელსაც ძირითადისაგან განსხვავებული საწეისი აქვს და მასზე ნაკლებ სრულია.

**დამატებითი ბარათი** — добавочная карточка — დამატებითი აღწერილობის შემცველი ბარათი.

**დამატებითი ბარათი** — дополнительная карточка — სისტემატური კატალოგის ბარათი, რომელზეც დამატებითი ინდექსია დასმული.

**დამატებითი თავფურცელი** — дополнительный лист — თავფურცელი, რომელიც იმავე ცნობებს შეიცავს, რასაც ძირითადი თავფურცელი, მაგრამ განსხვავდება მისგან ერთ (პარალელური თავფურცელი), გაფორმებით (გრავირებული თავფურცელი) ან სხვა რაიმე ნიშნით. როგორც წესი, უძღვრის ძირითად თავფურცელს.

**დამატებითი ინდექსი** — дополнительный индекс — სრული ინდექსის შემადგენელი მეორე, შესაბამე და მომდევნო რიგის ინდექსი.

**დამატებითი ტომი** — дополнительный том — მრავალტომიანი გამოცემის ტომი (ნაკვეთი), რომლის გამოშვება თავდაპირველად გეგმით გათვალისწინებული არ იყო.

**დამატებითი ცნობები** — дополнительные сведения — ცნობები ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ, რომლებიც თავფურცელზე არ არის წარმოდგენილი და აღწერილობაში შეტანილია წიგნის სხვა ნაწილებიდან ან გარეშე წყაროებიდან. თავფურცლის მონაცემებისაგან განსასხვავებლად სვამენ ნახევარკავებსა და კავებში.

დამწერლობათმცოდნეობა — იხ. 3 ა-  
ლ ე ო გ რ ა ფ ი ა (1).

დამხმარე აპარატი — вспомогатель-  
ный аппарат — იხ. სამეცნიერო  
აპარატი.

დამხმარე აღწერილობა — вспомога-  
тельное описание — ძირითადი აღწერი-  
ლობისაგან განსხვავებული აღწერილობა,  
რომლის მიზანია გააადვილოს ბეჭდვი-  
თი ნაწარმოების მოძებნა კატალოგში.  
მისი სახეობა: ანალიტიკური, დამატები-  
თი და სერიული აღწერილობა.

დამხმარე ბარათი — вспомога-  
тельная карточка — საკატალოგო ბარა-  
თი, რომელზეც ბეჭდვითი ნაწარმოები  
კი არ არის აღწერილი, არამედ მოცე-  
მულია რაიმე ცნობა, რაც აადვილებს  
ამ ნაწარმოების მოძებნას კატალოგში.  
მისი სახეობა: მითითებითი და საცნო-  
ბო ბარათი.

დამხმარე თავფურცელი — вспомо-  
гательный титульный лист — გვერ-  
დი, რომელზეც მოთავსებულია წიგნის  
შემადგენელი ნაწილის (თავის, კარის,  
განყოფილების) სათაური. იხ. შ მ უ ც-  
ტ ი ტ უ ლ ი (2).

დამხმარე ფონდი — подписный фонд  
— ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ნა-  
წილი (ლექსიკონები, ცნობარები, ბიბ-  
ლიოგრაფიული გამოცემები), გამოყოფი-  
ლი სამკითხველო დარბაზისათვის ან  
ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამსახუ-  
რებრივი საჭიროებისათვის.

დანართი — приложение — ყოველ-  
გვარი დამატებითი მასალა, მოთავსებუ-  
ლი ტექსტის შემდეგ, რომლის მიზანია  
დამხმარება გაუწიოს მკითხველს ტექსტ-  
ზე მუშაობისას. დანართების კომპლექ-  
სი შეადგენს წიგნის სამეცნიერო აპა-  
რატს.

დანაწევრება — дробление — კლა-  
სიფიკაციის დროს სავნის ან დისციპ-  
ლინის ეიწრო შინაარსით აღება.

დანომრილი გვერდი — нумерован-  
ная страница — გვერდი, რომელზეც  
დასმულია კოლონიფიფერი.

დარგობრივი ბიბლიოგრაფია — от-  
раслевая библиография — ცოდნის  
ერთი დარგის ლიტერატურის ბიბლიო-  
გრაფია.

დარგობრივი ბიბლიოთეკა — отрас-  
левая библиотека — ბიბლიოთეკა, რო-  
მელშიც თავმოყრილია ცოდნის ერთი  
ან რამდენიმე მოსახლვრე დარგის ლი-  
ტერატურა.

დარგობრივი კატალოგი — отрасле-  
вой каталог — კატალოგი, რომელშიც  
ასახვლია ცოდნის ერთი დარგის ლი-  
ტერატურა.

დარგობრივი სამკითხველო დარბაზი —  
отраслевой читальный зал — ბიბლიო-  
თეკის სამკითხველო დარბაზი, რომე-  
ლოც მკითხველებს ემსახურება ცოდნის  
ერთი ან რამდენიმე მოსახლვრე დარ-  
გის ლიტერატურით.

დარბაზი ბიბლიოგრაფია — при-  
книжная библиография — ბიბლიო-  
გრაფია, დაბეჭდილი წიგნის ბოლოს.

დასახეობა — предметизация — იხ.  
რ უ ბ რ ი კ ა ც ი ა (1).

დასტა — десть — ქალაქის საზომი  
ერთეული. მეტრული ზომების შემოღე-  
ბამდე უდრდა 24 ფურცელს. მეტრუ-  
ლი დასტა შეადგენს 50 ფურცელს.

დაუკაშმავი — без переплета —  
ბეჭდვითი ნაწარმოები, რომელიც ყდა-  
ში არ არის ჩასმული.

დამუშავებელი გამოცემა — неза-  
конченное издание — 1) მრავალტო-  
მეული ან სერია, რომლის გამოცემა  
დასრულდა წინასწარ გათვალისწინებუ-  
ლი ნაკვეთების მხოლოდ ნაწილის გა-  
მოქვეყნებით. 2) მრავალტომეული ან  
სერია, რომლის შემადგენელი ნაკვეთე-  
ბის ნაწილია გამოქვეყნებული, დანარ-  
ჩენთა გამოცემაზე კი მუშაობა გრძელ-  
დება.

დამუშავებელი ფონდი — неопра-  
ботанный фонд — წიგნადი ფონდის  
ნაწილი, რომელიც ბიბლიოთეკურად  
ჯერ არ არის დამუშავებული და მკით-  
ხველებზე არ გაიცემა.

დაუნომრავი გვერდი — ненумерованная страница — გვერდი, რომელზეც დასმული არ არის კოლონიფერა.

დაუსწრებელი აბონემენტი — заочный абонемент — აბონემენტის სახე, როდესაც მკითხველი ფოსტით იღებს წიგნებს ბიბლიოთეკიდან და ფოსტითვე აბრუნებს მათ.

დაუჭდომელი — акафист — 1) საეკლესიო სახობტო საგალობელი, რომლის შესრულების დროს მლოცველებს დაჯდომა ეკრძალებათ. 2) ასეთი საგალობლების კრებული.

დაშლილი წიგნი — разрозненная книга — წიგნი, რომელსაც აკლია ერთი ან რამდენიმე რვეული.

დახრილი შრიფტი — наклонный шрифт — შრიფტი, რომლის ძირითადი ხაზები გადახრილია მარჯვნივ. კურსივისაგან განსხვავდება იმით, რომ ასოები მონახულობით არ წააგავს ხელნაწერს. შდრ. ი რ ი ბ ი შ რ ი ფ ტ ბ.

დახურული ბიბლიოთეკა — закрытая библиотека — ბიბლიოთეკა, რომლითაც მკითხველთა განსაზღვრული ვიწრო წრე სარგებლობს.

„დედაენის“ გარნიტური — гарнитура „Дедаена“ — ქართული შრიფტის ერთ-ერთი ძირითადი გარნიტური, რომელშიც ასოთა ძირითადი და მეორეო ხაზები სისქით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დედანი — оригинал — 1) ტექსტი, რომლიდანაც გადააქვთ ასლი, პირი. 2) ტექსტი იმ სახით, როგორც თავდაპირველად დაიწერა ავტორის მიერ, განსხვავებით თარგმანისა და გადამუშავებისაგან. 3) თხზულების ხელნაწერი (ჩვეულებრივ, საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი), რომლის მიხედვით იწყობა და იბეჭდება წიგნი. 4) ნახატი ან ნახაზი, რომელიც სტამბური წესით უნდა გამოაეღდეს. სინ. ო რ ი გ ი ნ ა ლ ი.

დევანაგარი — деванагари — ინდური დამწერლობის ყველაზე გავრცე-

ლებული სახე. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ანბანი.

დევიზი — девиз — 1) მოკლე გამოხატვაში, რომელიც მოქმედების მთავარ სახელმძღვანელო აზრს გადმოსცემს. 2) სიტყვა ან მოკლე გამოხატვაში, რომელსაც თავისი გვარ-სახელის ნაცვლად აწერს ნაწარმოებს დახურული კონკურსის მონაწილე ავტორი. 3) წარწერა გერბზე ან ფარზე.

დე ვი ვუ — де визу (de visu) — იხ. ხ ი ლ ვ ი თ ა დ წ ე რ ა.

დეზიდერატი — desiderat — ბექდვითი ნაწარმოები, რომლის შექმნასურს ბიბლიოთეკას.

დეზინსექცია წიგნებისა — дезинсекция книг — წიგნების უვნებელყოფა მავნებელი მწერების განადგურების გზით.

დეზინფექცია წიგნებისა — дезинфекция книг — წიგნების უვნებელყოფა დაავადების გამომწვევ მკერობთა მოსპობის გზით.

დეკალკომანია — декалькомания — 1) გადასაღებ გამოსახულებათა (მაგ., საბავშვო სურათების) დამზადების პოლიგრაფიული ხერხი. გამოსახულება ლითოგრაფიული წესით იბეჭდება წებოთი დაფარულ ქაღალდზე; გადაღებისას ნახატს ასეველებენ, რის შედეგად წებო წყალში იხსნება, გამოსახულება კი გადაღის ქაღალდზე ან სხვა მასალაზე, რაზეც გადააქვთ სურათი. 2) ამგვარად დამზადებული და გადაღებული სურათი.

დემოგრაფიული რუკა — демографическая карта — რუკა, რომელიც ასახავს მოსახლეობის განლაგებას, მოძრაობას, შედგენილობას.

დემონიზმი — демонизм — ჩვეულებრივი, საყოველღეო სიტყვა, გამოყენებული ფსევდონიმად. მაგ., მკითხველი.

დეპოზიტორიუმი — депозиторий — ბიბლიოთეკა, რომელიც სხვადასხვა ბიბლიოთეკიდან იღებს მკვლარ ლიტე-



რატურას, იცავს მას და ბიბლიოთეკებ- სვე გასცემს საკურობის შემთხვევაში.

ლექსიკონი — дескриптор — ცოდნის ამა თუ იმ დარგისათვის მიღებული ელემენტარული ტერმინი, რომლის საშუალებით აიწერება დოკუმენტის შინაარსი ინფორმაციული ანალიზის დროს.

დერმატინი — дерматин — ლედერინის ნაირსახეობა. იხმარება ყდის გადასაყრად.

დეტერმინანტი — детерминант — იგივეა, რაც მს ა ზ ლ ე რ ე ლ ი.

დეტექტორი ლიტერატურა — детективная литература — სათავგადასავლო ლიტერატურის სახე, რომელშიც მოთხრობილია დეტექტივების — პოლიციის მძებართა საქმიანობა, მათ მიერ აღმწავლეთა ძებნა და გამოაშკარავება.

დეფექტური ეგზემპლარი — дефектный экземпляр — 1) წიგნის ცალი, რომელსაც აქვს უხარისხო ბეჭდვითა და აკინძვით გამოწვეული რამე ნაკლი. 2) ეგზემპლარი, დაზიანებული ცუდი მოედის ან სიძველის გამო.

დექსიგრაფი — дeксиграф — სკატალაგო ბარათების გასამრავლებელი ფოტოაპარატი.

დეშიფრაცია — дешифрация — 1) შიფრით დაწერილის წაითხვა, გაგება. 2) თავფურცელზე შემოკლებულად წარმოდგენილი ძირითადი ცნობების სრულად გადმოცემა ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობაში.

დეციმალური სისტემა — десятичная система — იხ. ა თ წ ი ლ ა დ ი ს ი ს ტ ე მ ა.

დიაგრამა — диаграмма — ნახაზი, რომელიც სხვადასხვა სიდიდის ხაზების, გეომეტრიული ფიგურების ან გრაფიკული გამოსახულებების საშუალებით გადმოსცემს თანაფარდობას რეალურ ოდენობებს შორის.

დიაკრიტიკული ნიშნები — диакритические знаки — ზოგიერთი ენის ანბანში გამოყენებული ნიშნები (წერტილები, რკალები, ხაზები...), რომლებიც და-

ისმის ასოს ზემოთ ან ქვემოთ და მიუთითებს მის სხვაგვარ წაითხვაზე.

დიალექტოლოგიური ლექსიკონი — диалектологический словарь — ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ენის ერთი გარკვეული დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები.

დიალოგი — диалог — 1) ორი ან მეტი პირის საუბარი. 2) ნაწარმოები, დაწერილი ორი ან რამდენიმე პირის საუბრის სახით.

დიაშანტი — диамант — შრიფტი, რომლის კეგელი 4 პუნქტს უდრის. ქართულ სტამბებში არ იხმარება.

დიაპოზიტივი — диапозитив — ორიგინალის პოზიტიურის ასლი, გადაღებული გამჭვირვალე მასალაზე (მინაზე, ფირზე), განკუთვნილი საპროექციო აპარატით დემონსტრირებისათვის. ფართოდ გამოიყენება პოლიგრაფიულ მრეწველობაში საბეჭდი ფორმის ფოტომექანიკური წესით მომზადებისას.

დიდგანა წიგნი — продолговатая книга — წიგნი, რომლის განი სიმაღლეს სჭარბობს.

დივანი — диван — აღმოსავლეთის ქვეყნებში — ერთი ან რამდენიმე პოეტის ლექსების კრებული.

დიფირამბი — дифирамб — 1) ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს სადიდებელი საგუნდო სიმღერა ძველ საბერძნეთში. 2) სახოტბო ლექსი ძველ ბერძნულ პოეზიაში. 3) უზომო, გადაჭარბებული ქება.

დილოგია — диалогия — ეპიური ან დრამატული ენარის ნაწარმოები, შედგენილი ორი ნაწილისაგან, დამოუკიდებელი თხზულებებისაგან, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს თემატიკა, საერთო პერსონაჟები და დროული თანმიმდევრობა.

დიპლომატიკა — дипломатика — ისტორიული დოკუმენტების შემსწავლელი მეცნიერება. სინ. ს ი გ ე ლ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა.

ლიბტიკი — дилитик — 1) ხის ორი გაციკლოლი დაფისაგან შედგენილი უძველესი ხელნაწერი წიგნი, კოდექსის (2) პირველსაზე. 2) სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, შედგენილი ორი სურათისაგან, რომლებიც ერთმანეთთან საერთო იდეით ან სიუჟეტით არის დაკავშირებული.

ლიხერტაცია — диссертация — სამეცნიერო შრომა, რომელსაც ავტორი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად უღვეს სათანადო სამეცნიერო დაწესებულებას და შემდეგ იცავს საჯარო პაექრობაზე.

ლისკოგრაფია — дискография — 1) გრამოფონის ფირფიტების აღწერა. 2) გრამოფონის ფირფიტების სია.

ლისკოთეკა — дискоотека — გრამოფონის ფირფიტების კოლექცია.

ლისციპლინა — дисциплина — ცოდნის დარგი, სასწავლო საგანი.

ლიუის ათწილადი კლასიფიკაცია — Десятичная классификация Дьюи — ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია, დაფუძნებული ათწილადობის პრინციპზე. 1876 წ. შექმნა ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა მელვილ დიუიმ (1851—1931). საფუძვლად დაედო უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციას.

ლიფერენცირებული კატალოგიზაცია — дифференцированная каталогизация — ბექვლითი ნაწარმოებების აღწერა, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების შესაბამისად, სხვადასხვა ვადაში ან სხვადასხვა წესით.

ლიფერენცირებული მომსახურება — дифференцированное обслуживание — მკითხველთა სხვადასხვაგვარი მომსახურება, მათი მომზადების, კვალიფიკაციისა და ინტერესების შესაბამისად.

ლიქოტომია — дихотомия — მთელის დაყოფა ორ ნაწილად, შემდგომ ამ ნაწილთა დაყოფა ორიდ და ა. შ.

ლიქოტომიური კლასიფიკაცია — дихотомическая классификация — კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად

უღვეს ლიქოტომია — საგნების, მოკლენების, ცნებების თანმიმდევრული დანაწევრება ორად.

ლიქსიონერული კატალოგი — диക്ഷионерный каталог — იხ. ლექსიკონური კატალოგი.

ლოკუმენტალისტი — документалист — სპეციალისტი, რომელიც ამუშავებს ლოკუმენტებს.

ლოკუმენტაცია — документация — 1) იგივეა, რაც ლოკუმენტირება. 2) ლოკუმენტების ერთობლიობა.

ლოკუმენტი — документ — 1) იურიდიკული მნიშვნელობის ფაქტის ან უფლების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი. 2) წერილობითი ცნობა რაიმე ფაქტის შესახებ.

ლოკუმენტირება — документировать — ლოკუმენტებით დასაბუთება რისამე; სათანადო საბუთის მოტანა. სინ. ლოკუმენტაცია.

ლოკუმენტური ინფორმაცია — документальная информация — 1) ინფორმაცია, გადატანილი (დამაგრებული) რაიმე მატერიალურ მტარებელზე. 2) ლოკუმენტის, ტექსტის შინაარსი.

ლოკუმენტური ლიტერატურა — документальная литература — მასლები, რომლებშიც ასახულია დაწესებულების, ორგანიზაციის, თავყრილობის საქმიანობა, მუშაობის შედეგები. მაგ., ოქმები, ანგარიშები, რეზოლუციები.

ლოსიე — досье — 1) ერთობლიობა ლოკუმენტებისა, რომლებიც ეხება ამა თუ იმ საქმეს, საკითხს ან პირს. 2) კაბრა, რომელშიც აღნიშნული მასალა მოთავსებული.

დრამა — драма — 1) მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი გვარი. აერთიანებს დიალოგის ფორმით დაწერილ, სცენაზე დასადგმელად განკუთვნილ ნაწარმოებებს. 2) ასეთი გვარის თხზულება, რომელიც მძაფრი სიტუაციები, მოქმედ პირთა რთული კონფლიქტი და ბრძოლა გადმოცემული.

დრამატული ნაწარმოები — драматическое произведение — სცენაზე დასადგმელად განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოები.

დრამატურგი — драматург — 1) დრამატული ნაწარმოების ავტორი. 2) მწერალი, რომელიც დრამატულ ნაწარმოებებს ქმნის.

დრამატურგია — драматургия — 1) დრამატულ ნაწარმოებათა შექმნის ხელოვნება. 2) დრამატულ ნაწარმოებათა ერთობლიობა.

დროკამოშვებითი გამოცემა — современное издание — იხ. პერიოდული გამოცემა.

დროის მსაზღვრელი — определитель времени — ზოგადი მსაზღვრელი, რომელიც აღნიშნავს დროს (წლებს, საუკუნეს), რომელსაც ეხება ბექვდითი ნაწარმოები. სინ. ქრონოლოგიური მსაზღვრელი.

დუბლეტების ფონდი — дублетный фонд — ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ნაწილი, რომელიც ზედმეტი ცალეებისაგან შედგება და განკუთვნილია გაცვისათვის ან სხვა ბიბლიოთეკისათვის გადასაცემად.

დუბლეტი — дублет — ბექვდითი

ნაწარმოების მეორე ცალი. ფართო მნიშვნელობით — მესამე, მეოთხე და სხვა მომდევნო ცალი.

დუბლირება — дублирование — ანბანური კატალოგისათვის შედგენილი ძირითადი ბარათის გადაწერა სხვა კატალოგში ჩასართავად.

დუბუაჰის გარნიტური — гарнитура Думбадзе — ქართული შრიფტის უახლესი გარნიტური, შექმნილი მხატვარ ა. დუმბაძის მიერ.

დუოდეციმა — дуодецима — წიგნის ფორმატი. შეადგენს ქალაქის ფურცლის მეთორმეტედ ნაწილს. მიიღება ფურცლის 24-გვერდიან რვეულად დაკეცვის შედეგად. პირობითი აღნიშვნა: 12°.

დღიური — дневник — 1) ყოველდღიური ჩანაწერები, რომლებშიც ავტორის ფიქრები, თავს გადამხდარი ამბები ა გამოცემული. 2) მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ავტორის ან ლიტერატურული გმირის ყოველდღიური ჩანაწერების ფორმითაა წარმოდგენილი. 3) დოკუმენტი, რომელიც ჩატარებული მუშაობის, დაკვირვების შედეგების ან მომხდარი ამბების ყოველდღიურ ჩანაწერებს წარმოადგენს.

მ

ეგზემპლარი — экземпляр — ბექვდითი ნაწარმოების ერთი ცალი.

ეგზემპლარის ნომერი — номер экземпляра — ეგზემპლარის რიგითი ნომერი, სტამბურად დაბეჭდილი ან ნუმერატორით დასმული ბექვდით ერთეულზე. ინომრება საუწყებო გამოცემის ცალი.

ეთნოგრაფიული მსაზღვრელი — этнографический определитель — ზოგადი მსაზღვრელი, რომელიც მიუთითებს ნაწარმოების ავტორის ეროვნებას.

ეკვივალენტური წიგნგაცემა — эквивалентный книгообмен — წიგნგაცე-

ვლის წესი, რომელიც ემყარება მიღებულ და გაცემულ წიგნების ღირებულების შესაბამისობას. სინ. პარტიტული წიგნგაცემა.

ელეგია — элегия — 1) ლირიკული ლექსი, რომელშიც ავტორის სევდიანი განწყობილება, მწუხარებაა გამოცემული. 2) მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, სევდიანი განწყობილებისა.

ელექტროგრაფიული აპარატი — электрографический аппарат — ტექსტისა და ნახაზების ასლის გადასადგები ხელსაწყო-დანადგარი. გადაღებას აწარმოებს სელენით დაფარული ლითონის ფირ-

ფრტის სამუალებით ჩვეულებრივს, არა-ფოტოგრაფიულ ქაღალდზე.

**ელექტრომაგნიტური ბეჭდვა** — **электромагнитная печать** — უკონტაქტო ბეჭდვა, რომლის დროსაც გამოსახულება საბეჭდი ფორმიდან ქაღალდზე გადადის ელექტრომაგნიტური ველის საშუალებით. სინ. **ფერომაგნიტოგრაფია**.

**ელექტროფილმი** — **электрофильм** — ელექტროგრაფიული აპარატის ნაირსახეობა.

**ელექტროფოტო** — **электрофот** — ელექტროგრაფიული აპარატის ნაირსახეობა.

**ელზევირები** — **эльзевиры** — წიგნები, დაბეჭდილი ცნობილი ჰოლანდიელი მესტამბეების ელზევირების (XVI—XVII სს.) მიერ. გამოირჩევა იშვიათი გაფორმებით, სინატიფითა და დახვეწილობით.

**ელზევირი** — **эльзевир** — შრიფტი, რომელიც შექმნეს და პირველად გამოიყენეს ცნობილმა ჰოლანდიელმა მესტამბეებმა ელზევირებმა (XVI—XVII სს.).

**ემბლემა** — **эмблема** — რაიმე ცნების, იდეის გამოხატველი სიმბოლური ნახატი, გამოსახულება.

**ენის მასშტერელი** — **языковый определитель** — ზოგადი მასშტერელი, რომელიც მიუთითებს, თუ რა ენაზეა დაწერილი ნაწარმოები. სინ. **ლინგვისტური მსაზღვრელი**.

**ენობრივი გაწყობა** — **языковая расстановка** — გაწყობის წესი, რომლის დროსაც ბეჭდვითი ნაწარმოებები ჭკუფდება გამოცემის ენათა მიხედვით, ენობრივი ჭკუფების შიგნით კი ნებისმიერი წესითაა განლაგებული (მაგ., ანბანურად, სისტემატურად, ქრონოლოგიურად და ა. შ.). სინ. **ლინგვისტური გაწყობა**.

**ენციკლოპედია** — **энциклопедия** — საცნობო გამოცემა (ჩვეულებრივ, მრავალტომიანი), რომელიც შეიცავს ცნო-

ბებს ცოდნის ყველა დარგიდან ან ცალკეული მეცნიერებიდან. მასში მასალა გაწყობილია ანბანის რიგზე ან თემატიკის მიხედვით.

**ენციკლოპედიური ლექსიკონი** — **энциклопедический словарь** — ენციკლოპედია, რომელშიც ახსნილ-განმარტებული მასალა გაწყობილია ანბანის რიგზე.

**ეპიგრამა** — **эпиграмма** — სატირული ხასიათის მცირე ლექსი, მიმართული ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ.

**ეპიგრაფიკისტი** — **эпиграфист** — 1) ეპიგრამის ავტორი. 2) ეპიგრამების მწერალი.

**ეპიგრაფი** — **эпиграф** — ციტატა სხვა თხზულებიდან ან რაიმე გამონათქვამი, რომელიც უძღვის ლიტერატურულ ნაწარმოებს ან მის ცალკეულ თავს და გამოხატავს ნაწარმოების (თავის) ძირითად აზრს, იდეას.

**ეპიგრაფია** — **эпиграфика** — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ქვაზე (კლდეზე, ნაგებობათა კედლებზე...), ლითონზე და სხვა მყარ საგნებზე გამოკვეთილ ძველ წარწერებს. სინ. **წარწერათმცოდნეობა**.

**ეპიზოდი** — **эпизод** — 1) შემთხვევა, ფაქტი. 2) დიდი ფორმის ლიტერატურული ნაწარმოების შემადგენელი, სიუჟეტურად დასრულებული მონაკვეთი, რომელიც რაიმე შემთხვევას, მომხდარ ფაქტს გადმოგვცემს.

**ეპიზოდური ბიბლიოგრაფია** — **эпизодическая библиография** — ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი, შემთხვევითი ხასიათის ბიბლიოგრაფიული სამუშაო.

**ეპილოგი** — **эпилог** — დიდი ფორმის ლიტერატურული ნაწარმოების ბოლო თავი, რომელშიც გადმოცემულია წინა თავებში აღწერილი ამბების დასასრული, მოქმედ პირთა შემდგომი ბედი.

**ეპისტოლე** — **эпистола** — ძვ. წე-

ეპისტოლური ლიტერატურა — эпис-  
толярная литература — 1) მწერლის,  
მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის წერი-  
ლები, პირადი მიწერ-მოწერა. 2) ლი-  
ტერატურული ნაწარმოები, დაწერილი  
წერალების, მიწერ-მოწერის ფორმით.

ეპიტაფია — эпитафия — 1) წარ-  
წერა საფლავის ქვაზე. 2) საფლავის  
ქვაზე წასაწერი ლექსი.

ეპოპეა — эпопея — 1) რომანი ან  
რომანების ციკლი, რომელიც ასახავს  
დიდ ისტორიულ ამბებს, მნიშვნელოვან  
მოვლენებს ხალხის ცხოვრებაში. 2) ხა-  
ლხური გადმოცემები მნიშვნელოვან ის-  
ტორიულ ამბებზე, სახალხო გმირთა  
ბრძოლაზე.

ეპოსი — эпос — 1) მხატვრული  
ლიტერატურის გვარი, რომელიც აერ-  
თიანებს თხრობითი უნარის ნაწარმოე-  
ბებს. 2) საგმირო ხასიათის ხალხური  
თქმულებები.

ერა — ЭРА — ელექტროგრაფიული  
აპარატის ნაირსახეობა.

ერთბარათიანი სისტემა აბონემენტი-  
სა — однокарточная система абоне-  
мента — აბონემენტზე გაცემული ლი-  
ტერატურის აღრიცხვის წესი, როცა  
წიგნის გაცემის შესახებ სათანადო ჩა-  
ნაწერი კეთდება მხოლოდ მკითხველის  
ფორმულარში.

ერთდროული გამოცემა — одновремен-  
ное издание — ყოველი ბეჭდვითი  
გამოცემა, გარდა პერიოდულისა და  
გრძელდებადისა.

ერთდღიურა — однодневка — ბეჭ-  
დვითი ნაწარმოები, რომელიც მცირე  
ხნით, რაიმე ფაქტთან დაკავშირებით  
ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ერთდღიური გაზეთი — однодневная  
газета — ღირსსახსროვარი დღისადმი  
ან მოვლენისადმი მიძღვნილი ერთდრო-  
ული გამოცემა, გამოშვებული გაზეთის  
სახით.

ერთიანი წესები — единые прави-  
ла — საერთო-სახელმწიფოებრივი ინს-  
ტრუქცია ბეჭდვითი ნაწარმოების აღწე-

რის შესახებ. უზრუნველყოფს ამ საქ-  
მეში ერთიანობის დაცვას და კატალო-  
გების სწორ ორგანიზაციას ქვეყნის ბიბ-  
ლიოთეკებში.

ერთტომეული, ერთტომიანი გამოცე-  
მა — однотомник, однотомное изда-  
ние — 1) რამდენიმე ტომის, ნაწილის  
ან ნაკვეთისაგან შედგენილი თხზულე-  
ბის გამოცემა ერთ წიგნად. 2) ავტორის  
რამდენიმე (ჩვეულებრივ, რჩეული) ნა-  
წარმოების გამოცემა ერთ წიგნად.

ერთტომიანი თხზულება — однотом-  
ное сочинение — თხზულება, რომე-  
ლიც არ იყოფა ტომებად, ნაწილებად  
ან ნაკვეთებად.

ერთუბრი მითითება — перекрест-  
ная ссылка — კერძო მითითება, რო-  
მელიც ერთმანეთთან აკავშირებს აღწე-  
რილობის ორ საწყისს, კეთდება რა რო-  
გორც ერთიან, ისე მეორესთანაც. სინ.  
ჭ ვ ა რ ე დ ი ნ ი მ ი თ ი თ ე ბ ა .

ეროვნული ბიბლიოგრაფია — нацио-  
нальная библиография — 1) ერთი  
ეროვნების ავტორთა ნაწარმოებების  
ბიბლიოგრაფია; 2) ამა თუ იმ ხალხის ან  
სახელმწიფოს ენაზე გამოსული ლიტე-  
რატურის ბიბლიოგრაფია. სინ. ნ ა ც ი ო ნ ა  
ლ ლ რ ი ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

ეროვნული ბიბლიოთეკა — нацио-  
нальная библиотека — 1) ქვეყნის  
უდიდესი ბიბლიოთეკა, რომელიც სა-  
ერთო-სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფე-  
ბა; 2) ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომ-  
პლექტებულია თავისი ქვეყნის ენაზე გა-  
მოსული ლიტერატურით. სინ. ნ ა ც ი ო ნ ა  
ლ ლ რ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა .

ესეი — эссе — ლიტერატურულ-  
პუბლიცისტური ან სამეცნიერო ხასია-  
თის ნარკვევი.

ესეისტი — эссеист — 1) ესეის ავ-  
ტორი. 2) ესეების მწერალი.

ესკიზი — эскиз — 1) მხატვრული  
ნაწარმოების წინასწარი გეგმა. 2) სახ-  
ვითი ხელოვნების ნაწარმოების წინა-  
სწარი მონახაზი. 3) დაუმთავრებელი  
ნაწარმოები. 4) პატარა მოთხრობა.

ესპერანტო — эсперанто — ევე-  
ლაზე გავრცელებული ხელოვნური სა-  
ერთაშორისო ენა. შექმნა 1887 წ. პო-  
ლონელმა ექიმმა ლ. ზამენჰოფმა.

ესტამპი — эстамп — გრავეურა,  
რომელიც ავტორის უშუალო მონაწი-  
ლეობით არის გადაბეჭდილი მის მიერ-  
ვე მომზადებული საბეჭდი ფორმიდან  
(ხე. ლინოლეუმი, ლითონის ფირფიტა,  
ლითოგრაფიული ქვა).

ეტკეტი — этикетка — საგანზე, ნა-  
კეთობაზე ან საქონელზე დაკრული ქა-  
ღალდის პატარა ნაჭერი საცნობო ხა-  
სიათის წარწერით. სინ. ი ა რ ლ ი ყ ი.  
იხ. ავრ. ა ვ თ რ ა თ ი.

ეტმოლოგიური ლექსიკონი — эти-  
мологический словарь — ლექსიკონი,  
რომელშიც გარკვეულია ერთი ენის სიტ-  
ყვების წარმომავლობა, თავდაპირველი  
მნიშვნელობა და მითითებულია შესატ-  
ყვისები სხვა ენებიდან.

ეტუდი — этюд — 1) მცირე ფორ-  
მის ლიტერატურული ან სამეცნიერო  
თხზულება, ნარკვევი. 2) ჩანახატი ნა-  
ტურიდან. სახვითი ხელოვნების ნაწარ-  
მოების ცალკეული დეტალის წინასწარ  
მონახაზი. 3) მუსიკალური ნაწარმო-  
ები, რომელიც მიზნად ისახავს შემსრუ-  
ლებლის ოსტატობის სრულყოფას ან  
მოთხოვს მაღალ სამეცნიერულ ხე-  
ლოვნებას. 4) კადრაცხა და შაშვი —  
ხელოვნურად შექმნილი პოზიცია, რო-  
მელშიც ერთ-ერთმა მოთამაშე მხარემ  
უნდა მოიგოს ან მიადლოს ყაიმს. ამას-  
თან წინასწარ განსაზღვრული არ არის  
ამისთვის საჭირო სელების რაოდენო-  
ბა.

ეტრატი — пергамент — იხ. პ ე რ-  
გ ა მ ე ნ ტ ი.

ეტრატის ქაღალდი — пергаментная  
бумага — იხ. პ ე რ გ ა მ ე ნ ტ ი ს ქ ა-  
ღ ა ლ დ ი.

ეფემერიდები, ეფემერული ლიტერა-  
ტურა — эфемериды, эфемерная ли-  
тература — ბეჭდვითი ნაწარმოებები,

რომლებიც მალე კარგავენ მნიშვნელო-  
ბას.

ექსლიბრისი — экслибрис (ლათ. ex  
libris — წიგნებიდან) — წიგნის მფლო-  
ბელის ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა,  
ზოგჯერ გრაფიკულად გაფორმებული,  
რომელიც დაბეჭდილი ეტიკეტის სახით  
დაიწებება წიგნზე (ყდის ან კანის მე-  
ორე გვერდზე). სინ. წ ი გ ნ ი ს ნ ი შ ა-  
ნ ი.

ექსპლიკაცია — эспликация — 1)  
ახსნა, განმარტება. 2) იგივეა, რაც რუ-  
კისა და გრაფიურის ლეგენდა.

ექსპოზე — экспозе — 1) თხზულე-  
ბის, დოკუმენტის მოკლე შინაარსი. 2)  
ამონაწერი თხზულებიდან, დოკუმენტი-  
დან.

ექსპოზიცია — экспозиция — წიგნე-  
ბის, სურათებისა და სხვა სამუზეუმო  
მასალის შერჩევა და გამოფენა გარ-  
კვეული სისტემის მიხედვით.

ექსპონატი — экспонат — გამოფენა-  
ზე გამოტანილი საგანი, ნივთი.

ექსპონენტი — экспонент — ცალკე-  
ული პირი ან დაწესებულება, რომელიც  
მონაწილეობს გამოფენის მოწყობაში  
და გამოსაფენად გამოაქვს თავისი ნივ-  
თები.

ექსპონირება — экспонировать —  
გამოფენაზე გამოტანა, ჩვენება რაიმე  
საგნის ან ნივთისა.

ექსპრეს-ინფორმაცია — экспресс-ин-  
формация — 1) ბიბლიოგრაფიული ინ-  
ფორმაცია ახალგამოსული ლიტერა-  
ტურის შესახებ, რომელიც დაინტერესე-  
ბულ ორგანიზაციებს და ცალკეულ  
მკითხველებს ბიბლიოთეკის ან ბიბლიო-  
გრაფიული დაწესებულების მიერ სას-  
წრაფოდ, დაუყოვნებლივ გადაეცემა. 2)  
სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმა-  
ციის საკვშირო ინსტიტუტის ბიულეტენ-  
ის სახელწოდება.

ექსტენზო — экстензо — თხზულე-  
ბის თავის მოკლე შინაარსი, დაბეჭდი-  
ლი თავის დასაწყისში, სათაურის ან რი-  
გითი ნომრის ქვეშ.

## 3

ვაგონ-ბიბლიოთეკა — вагон-библиотечка — რკინიგზის ვაგონში მოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც სადგურებსა და სასაჩინოებო ხაზზე მდებარე დასახლებულ პუნქტებში ემსახურება ადგილობრივ მცხოვრებ რკინიგზელებს და მათს ოჯახებს.

ვადაგასული წიგნი — просроченная книга — აბონემენტზე გაცემული და ბიბლიოთეკისათვის დაწესებულ ვადაზე დაუბრუნებელი წიგნი.

ვადების ფურცელი — листок сроков — დაწესებული ფორმის ქაღალდის ფურცელი, რომელსაც აწებებენ ყდის ან კანის მეორე გვერდზე. წიგნის თითოეული გაცემისას მასზე ბიბლიოთეკარი მკითხველის საყურადღებოდ აღნიშნავს დაბრუნების ვადას. ზოგჯერ მის მაგივრობას სწევს სათანადოდ დახატული და გაფორმებული წიგნის ჟიბე.

ვადების ყუთი — ящик сроков — იხ. განაცემთა ყუთი.

ვადემეკუში — вадемекум (ლათ. vade mecum — იარე ჩემთან ერთად!) — ჭიბის ფორმატის ცნობარი, მეგზური.

ვადის გამყოფი — закладка дня — განაცემთა ყუთში ჩადებული მუყაოს ფირფიტა თვის რომელიმე რიცხვის აღნიშვნით. თითოეულ გამყოფთან ანბანის რიგზე გაწყობილია იმ წიგნთა ფორმულარები, რომლებიც აღნიშნულ რიცხვში უნდა დაუბრუნდეს ბიბლიოთეკას.

ვაკატი — вакат — სუფთა, ცარიელი გვერდი წიგნში.

ვარიანტი — вариант — 1) თხზულების ტექსტი, რომელიც ფორმით, მოცულობით, შინაარსობრივად თუ ენობრივად მნიშვნელოვნად განსხვავდება ამავე თხზულების ძირითადი ან სხვა ნაცნობი ტექსტისაგან. სინ. ვერსია (2), რედაქცია (3). 2) სხვა ნუსხებისაგან (გამოცემებისაგან) განსხვავებული წაკითხვა ტექსტის ცალკეული ადგი-

ლისა თხზულების ხელნაწერში (გამოცემაში).

ვარსკვლავი — звездочка — სტამბური ნიშანი \*. ძირითადად იხმარება ტექსტზე შენიშვნის ჩამოსატანად. სინ. ასტერისკი.

ვარსკვლავიანი ხიგნატურა — сигнатура со звездочкой — სტამბური ფურცლის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრი თითოეული ფურცლის შესამე გვერდის ქვედა კიდეზე. ძირითადი (პირველი გვერდის) სიგნატურისაგან განსხვავებით, ვარსკვლავითაა წარმოდგენილი. მაგ., 9\*. სინ. მეორე სიგნატურა.

ვატმანი, ვატმანის ქაღალდი — ватман, ватманская бумага — უმაღლესი ხარისხის სქელი, ხორკლიანი ზედაპირის მქონე სახაზავი და სახატავი ქაღალდი.

ვაგა — Вага — ელექტროგრაფიული აპარატის ნაირსახეობა.

ველენი — велень — საუკეთესო ხარისხის პერგამენტი.

ველენის ქაღალდი — веленевая бумага — ველენის მსგავსი გლუვზედაპირიანი სქელი ქაღალდი.

ვენჯელი — вензель — ხლართულად დაწერილი ინიციალები (1).

ვენური შრიფტი — венский шрифт — ქართული შრიფტის ყველაზე გავრცელებული გარნიტური, რომელშიც ასოს ძირითადი და შერთი ხაზები სისქით უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩამოსახეს ვენაში 1864 წ. მიხეილ ყიფიანის ნახაზების მიხედვით. თანამედროვე საშრიფტო მეურნეობაში ცნობილია „ჩვეულებრივის“ სახელწოდებით.

ვერიტაიპერი — веритайпер — საამწყობო-საწერი მანქანა საცვლელი შრიფტით.

ვერჟე — верже — მაღალხარისხოვანი საბეჭდი და სახატავი ქაღალდი,

რომელზეც კვირინაშენები განლაგებულია პარალელური ხაზების ურთიერთმერპუნდიკულარულ ორ კონად, რომელთაგან ერთში ხაზები მცირე ინტერვალითაა ერთმანეთისაგან დაშორებული, მეორეში კი — მოზრდილით.

ვერსია — версия — 1) ამა თუ იმ ფაქტის, ამბის სხვადასხვაგვარად ახსნის ან გადმოცემის ნაირსახეობა. 2) იგივეა, რაც ვარიანტი (1).

ვერსო — verso (verso) — წიგნის ფურცლის უკანა მხარე, ზურგი; გვერდობლივი პაგინაციის დროს — ლუწი გვერდი.

ვერტიკალური შენახვა — вертикальное хранение — წვრილი ნაბეჭდი პროდუქციის (ფურცლების, რეპროდუქციების, ამონაკრებების...) შენახვის წესი. საქალაქებში, ალბომებსა და კონვერტებში ჩალაგებული ფურცლადი მასალა იწყობა მუყაოს ბრტყელ ყუთში, რომელიც წიგნის მსგავსად იდგმება თაროზე.

ვერცხლვარაუიანი შემონაპერი, ვერცხლის შემონაპერი — серебряный обреш — წიგნის შემონაპერი, დაფარული ვერცხლის სიფრიფანათი.

ვინიეტი — виньетка — მცირე გრაფიკული გამოსახულება (ნახატი, ორნამენტი), რომელიც ახლავს ინიციალს (2) ან დამოუკიდებლად იხმარება ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნის ან მისი შემადგენელი ნაწილების თავ- და ბოლოსამკაულად.

ვიტრინა — витрина — 1) წიგნების გამოსათენი მინებოანი კარადა, განჯინა ან ყუთი. 2) მაღაზიის ფანჯარა, გამოყენებული წიგნების გამოსათენად.

ვიუერი — виуер — მიკროფილმე-

ბისა და მიკრობარათების საკითხავი პორტატიული აპარატი.

ვიწრო გარნიტური — узкая гарнитурა — ქართული შრიფტის ერთ-ერთი უახლესი გარნიტური.

ვიწრო შრიფტი — узкий шрифт — შრიფტი, რომელშიც ლიტერის განი სიმაღლის 65-50%-ს შეადგენს ან კიდევ უფრო ნაკლებია.

ვიწრო წიგნი — узкая книга — წიგნი, რომლის განი სიმაღლის 2/3-ზე ნაკლებია.

ვოდევილი — водевиль — 1) მსუბუქი ხასიათის მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოები სასიმღერო კუბლეტებითა და ცეკვებით. 2) სასიმღერო კუბლეტები, რომლებსაც თეატრალური წარმოდგენის დასასრულს ასრულებენ მსახიობები.

ვოკაბულა — вокабула — 1) ლექსიკონში განმარტებული სიტყვა-ერთეული. 2) ერთი ენის სიტყვა, განმარტებული სხვა ენაზე.

ვოკაბულარი — вокабулярий — ქრესტომათიას, სახელმძღვანელოს ან სასწავლო წიგნს დართული მოკლე ლექსიკონი.

ვოკალური მუსიკა — вокальная музыка — მუსიკა, რომელიც სიმღერით სრულდება, მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით ან მათ გარეშე.

ვოლაპიუკი — волापюк — ხელოვნური საერთაშორისო ენა, შედგენილი 1880 წ. გერმანელი მღვდლის მარტინ შლაიერის მიერ.

ვულგარიზაცია — вульгаризация — რაიმე მოსღერების, შეხედულების ან საკითხის გაუბრლოებულად, გაყალბებულად გადმოცემა.

## ზ

ზამში — замша — რბილი, ხვევრდოვანი ტყავი. იხმარება ყდის გადასაკრავად. სინ. ნ ა ტ ი.

ზანდუკი — ძვ. იგივეა, რაც სარჩევი.

ზატკი — цветная триодь — აღდგომის დროს წარმოსათქმელი საგალობლების კრებული.

ზეგარეკანი — суперобложка — იხ. გ ა რ ე ყ დ ა.



ზედა შემონაჭერი — верхний обрез — შემოჭრილი წიგნის ზემო ნაწიბუ-  
რი.

ზეიანი — суперобложка — იხ. გა-  
რეკლე.

ზეიბრი ბიბლიოგრაფიული ცნობა —  
устная библиографическая справка —  
მკითხველთა მომსახურების ფორმა, რო-  
ცა შეკითხვაზე ზეპირად, სიტყვიერად  
პასუხობენ.

ზეიბრი ვაზეთი — устная газета —  
იხ. ცოცხალი ვაზეთი.

ზესათური, ზესათურული ცნობები —  
надзаголовок, надзаголовочные дан-  
ные — 1) ცნობები ბეჭდვითი ნაწარმო-  
ების შესახებ, რომლებიც ჩვეულებრივ  
სათურისა და ავტორის გვარის ზემოთ  
იბეჭდება თავფურცელსა და კანზე  
(ყდაზე). მათ რიცხვში შედის: იმ ორ-  
განზიარების, უწყების, დაწესებულების  
დასახელება, რომლის სახელითაცაა გა-  
მოცემული წიგნი; სერიის, ქვესერიის  
სახელწოდება; ტომის, ნაკვეთის რიგი-  
თი ნომერი და სხვა. 2) ბეჭდვითი ნა-  
წარმოების აღწერილობის ნაწილი, რო-  
მელშიც აღნიშნული ცნობებია მოყვა-  
ნილი.

ზოგადი ბიბლიოგრაფია — общая  
библиография — 1) ბიბლიოგრაფია,  
რომელიც აღწესსახვს ბეჭდვით ნაწარმო-  
ებებს, მათი შინაარსისა და გამოცემის  
ტიპის მიუხედავად. 2) ამა თუ იმ ქვეყ-  
ნის ტერიტორიაზე გამოსული ყველა  
ბეჭდვითი ნაწარმოების ბიბლიოგრაფია.

ზოგადი ენციკლოპედიური ლექსიკო-  
ნი — общий энциклопедический сло-  
варь — ენციკლოპედიური ლექსიკონი,  
რომელშიც თავმოყრილია ცნობები ცო-  
დნის ყველა დარგიდან.

ზოგადი თავფურცელი — общий ти-

тульный лист — მრავალტომიანი,  
გრძელდებადი ან სერიული გამოცემის  
საერთო თავფურცელი, რომელიც შეი-  
ცავს ცნობებს მთელი გამოცემის შესა-  
ხებ. მეორდება თითოეულ შემადგენელ  
ტომში (ნაკვეთში) კერძო თავფურცლის  
წინ. სინ. გენერალური თავ-  
ფურცელი.

ზოგადი მითითება — общая указ-  
ка — კატალოგში, ბიბლიოგრაფიაში,  
საძიებელში, ლექსიკონსა და საცნობო  
ხასიათის სხვა გამოცემაში აღწერილო-  
ბის საწყისთან, რუბრიკასთან ან სიტყ-  
ვა-ერთეულთან გაკეთებული წერილო-  
ბითი აღნიშვნა, რომელიც მკითხველის  
ყურადღებას მიაქცევს აღწერილობის  
იმ საწყისზე, რუბრიკასა და სიტყვა-  
ერთეულზე, სადაც თავმოყრილია ის  
ცნობები, რომლებიც მკითხველს შეიძ-  
ლება მითითების ადგილას ეგულებო-  
დეს. აღნიშვნება ასე: იხ. (=იხილეთ) ან  
ნ. (=ნახეთ).

ზოგადი მსაზღვრელები — общие оп-  
ределители — მსაზღვრელები, რომ-  
ლებიც გამოიყენება ათწილადი კლასი-  
ფიკაციის ყველა განყოფილებაში. ასე-  
თებია, მაგ., დროის (ქრონოლოგიური),  
ადგილის (გეოგრაფიული), ფორმის, ენის  
(ლინგვისტური), ეთნიკური, მიმართე-  
ბის, თვალსაზრისის მსაზღვრელები.

ზოგადი სათური — общее загла-  
вие — საერთო სათური მრავალტომი-  
ანი, გრძელდებადი ან სერიული გამო-  
ცემისა, რომლის ცალკეულ შემადგენელ  
ტომებს (ნაკვეთებს) თავ-თავისი კერძო  
სათური აქვს.

ზომა (გამოცემისა) — размер (из-  
дания) — ბეჭდვითი ნაწარმოების სი-  
მადლე, ზოგჯერ განიც, გამოხატული  
სანტიმეტრებით. მაგ., 25 სმ, 25×18 სმ.

0

თაბახი — лист — იხ. ფურცე-  
ლი.

თავი — глава — თხზულების ტექს-

ტის ნაწილი, წარმოდგენილი საკუთარი  
რიგითი ნომრით, ზოგჯერ სათაურითაც.  
თავისუფალი დაშვება თაროებთან —

свободный доступ к полкам, открытый доступ к полкам — ბიბლიოთეკური მომსახურების წესი, როცა მკითხველებს უფლება ეძლევათ უშუალოდ თაროებზე შეარჩიონ საჭირო ლიტერატურა.

თავისუფალი თარგმანი — **вольный перевод** — თარგმანი, რომელიც დედანს ზუსტად არ მიჰყვება, მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან (ფორმით, სიტყვიერი მასალით, ზოგჯერ შინაარსობრივ-იდუურადაც).

თავსათური — **авторский заголовок** — აღწერილობის საწყისი, როდესაც ნაწარმოები აღიწერება ინდივიდუალური ან კოლექტიური ავტორის სახელით.

თავფურცელი — **титульный лист** — წიგნის საწყისი გვერდი, რომელზეც აღნიშნულია ავტორი, სათაური და სხვა ბიბლიოგრაფიული (ზესათაური, ქვესათაურული, ბეჭდილობის) ელემენტები. სინ. სასათაურო ფურცელი, სატიტულო ფურცელი.

თათები — **тапки** — ბრჭყალების ნაირსახეობა: „ „.

თანავტორი — **соавтор** — პირი, რომელმაც სხვასთან (სხვებთან) ერთად დაწერა ნაწარმოები; ავტორთა კოლექტივის წევრი.

თანათვფურცელი — **იხ. კონტრატი** უ ლ ი.

თანბეჭდელი თხზულება — **იხ. მინაბეჭედი**.

თანშლები დოკუმენტები — **сопроводительные документы** — დოკუმენტები (ანგარიში, ზედნაღები და სხვ.), რომლებიც ახლავს ბიბლიოთეკაში მიღებულ ბეჭდვით ნაწარმოებებს.

თანშლები ფურცელი — **контрольная записка** — ფურცელი, რომელიც თან ახლავს ბეჭდვით ნაწარმოებს ბიბლიოთეკური დამუშავების პროცესში. მასზე თანმიმდევრულად აღინიშნება ყველა ის ოპერაცია რასაც გაივლის წიგნი თაროზე მოთავსებამდე.

თარგმანება — **толкование** — ძე. ტექსტის განმარტება, კომენტირება.

თარგმანებითი ლექსიკონი — **толковый словарь** — ძე. იგივეა, რაც განმარტებითი ლექსიკონი.

თარგმანი — **перевод** — 1) ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი. 2) ძე. ტექსტის განმარტება, კომენტარი.

თარგმანა — **перевод** — ტექსტის გადაღება ერთი ენიდან მეორეზე.

თარგმნითი ლექსიკონი — **переводный словарь** — ლექსიკონი, რომელშიც ერთი ენის სიტყვებს მიწერილი აქვს შესატყვისი ფორმები ერთ ან რამდენიმე ენაზე. სინ. პარალელური ლექსიკონი.

თაროს გამყოფი — **полочный разделитель**, **разделитель на полках** — ფანერის ან მუყაოს ფირფიტა წიგნადი ფონდის განყოფილების ინდექსის აღნიშვნით. სისტემატური გაწყობის დროს იდება თაროზე იმ წიგნებთან, რომლებიც ამ განყოფილებას განეკუთვნება. ეხმარება წიგნსაცავის მუშაეებს საჭირო ბეჭდვითი ერთეულის სწრაფად მოძებნაში.

თაროს იარღი — **полочный ярлык** — წიგნის თაროზე დამაგრებული ფირფიტა, რომელზეც აღნიშნულია თაროზე განლაგებული წიგნების ინდექსი. ეხმარება წიგნსაცავის მუშაეებს საჭირო ბეჭდვითი ერთეულის სწრაფად მოძებნაში.

თაროს ინდექსი — **полочный индекс** — ძირითადი ინდექსი, რომელიც შედის შიფრში და განსაზღვრავს ბეჭდვითი ნაწარმოების ადგილს თაროზე სისტემატური გაწყობის დროს. სინ. შიფრის ინდექსი, გასაწყობი ინდექსი.

თეგო — **штемпель** — ხის ან რეზინის პატარა ნაჭერი, რომლის ერთ გვერდზე შებრუნებულად არის ამოკვეთილი რამე ტექსტი ან გამოსახულება, რაც საღებავით ან მელნით დაფარვის შემ-

დგ იძლევა ანაბეჭდს. სინ. შტე მ-პ ე ლ ი.

თეზაურუსი — тезаурус — ცოდნის ერთი ან რამდენიმე დარგის ლექსიკონი-ცნობარი. წარმოადგენს ცნებების წესხას, სადაც თითოეულ ცნებასთან მიწერილია სათანადო სიტყვები და შესიტყვებები ერთ ან რამდენიმე ენაზე. საშუალებას იძლევა მნიშვნელობის მიხედვით მოკვებნით ამა თუ იმ ენის სიტყვები.

თეზისები — тезисы — სამეცნიერო შრომის, მოხსენების, სტატიის ძირითადი დებულებანი.

თეთრი ლექსი — белый стих — ურითმო ლექსი.

თეთრი შემონაკერი — белый обрез — წიგნის შემონაკერი, რომელსაც დამატებითი დამუშავება (შეღებვა, მოვარაყება, მოხატვა) არ განუცდია.

თემა — тема — 1) საუბრის, მსჯელობის საგანი. 2) ცხოვრებისეული მოვლენა ან საკითხი, ასახული ნაწარმოებში.

თემატიკა — тематика — თემების ერთობლიობა.

თემატური ანოტაცია — тематическая аннотация — ანოტაცია, რომელიც ბეჭდვითი ნაწარმოების შინაარსს კი არ გადმოსცემს, არამედ მხოლოდ არკვევს მის თემატიკას.

თემატური ბიბლიოგრაფია — тематическая библиография — ერთ გარკვეულ თემაზე არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

თემატური გამოფენა — тематическая выставка — რაიმე მნიშვნელოვან თემაზე შერჩეული ბეჭდვითი ნაწარმოებების გამოფენა.

თემატური გაწყობა — тематическая расстановка — ბეჭდვითი ნაწარმოებებისა და მათი აღწერილობების გაწყობა თემების მიხედვით.

თემატური კარტოთეკა — тематическая картотека — იგივეა, რაც თემატური კატალოგი.

თემატური კატალოგი — тематический каталог — კატალოგი, რომელშიც ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობანი ცალკეული თემების მიხედვითაა გაწყობილი.

თემატური მიმოხილვა — тематический обзор — რაიმე მნიშვნელოვან თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

თეორიული ბიბლიოთეკათმკოდნეობა — теоретическое библиотечное ведение — იხ. საბიბლიოთეკო თეორია.

თვალსაზრისის მხაზღვრელი — определитель точки зрения — ზოგადი მხაზღვრელი, რომელიც არკვევს, თუ რა ასპექტშია განხილული მოცემული საკითხი ბეჭდვით ნაწარმოებში.

თვეული — ежемесячник — პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოდის თვეში ერთხელ; ყოველთვიური გამოცემა.

თვითმასწავლებელი — самоучитель — სახელმძღვანელო წიგნი ენის ან რაიმე საქმის (ხელობის, თამაშის, მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვირვება...) დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

თხზულებათა კრებული — собрание сочинений — გამოცემა, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით თავმოყრილია ერთი ავტორის ან თანავტორების ნაწარმოებები.

თხზულებათა სრული კრებული — полное собрание сочинений — გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ერთი ავტორის ან თანავტორების ბეჭდური თუ ხელნაწერი სახით ცნობილი ყველა ნაწარმოები.

თხრობა -- рассказы — ბიბლიოთეკარის მიერ წიგნის შინაარსის მოყოლა მკითხველებისათვის. მასობრივი მუშაობის ფორმა, რომელსაც უშთავრესად საბავშვო ბიბლიოთეკებში მიმართავენ. სინ. მბოზა.

0

იაპონური ქალაღი — японская бумага — თხელი, რბილი და ამასთანავე მეტად გამძლე კრიალა ქალაღი, დამზადებული თუთის ხის ხრალისაგან — ქერქის შიდა ნაწილისაგან.

იარლიყი — ярылык — იბ. ეტიყეტი

იდეოგრაფია — идеограмма — გარკვეული ცნების აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი.

იდეოგრაფია, იდეოგრაფიული დამწერლობა — идеография, идеографическое письмо — დამწერლობის სახე, რომელიც იუენებს ცალკეული ცნებების აღმნიშვნელ პირობით ნიშნებს — იდეოგრაფებს. ასეთია, მაგ., თანამედროვე ჩინური დამწერლობა.

იდიომატური ლექსიკონი, იდიომების ლექსიკონი — идиоматический словарь, словарь идиом — ლექსიკონი, რომელშიც ანბანის რიგზე დალაგებული და განმარტებულია ერთი ენის იდიომები (1).

იდიომა — идиом — 1) ერთი ენისათვის დამახასიათებელი ხატოვანი გამოთქმა, რომელიც სხვა ენაზე სიტყუასიტყუით არ ითარგმნება. 2) ეუთხური მეტყუება, დიალექტი.

იღო — идо — ხელოვნური საერთაშორისო ენა, ესპერანტოს გართულებული სახეობა, შექმნილი 1907 წელს ლ. დე ბოფრონის მიერ.

იეროგლიფი — иероглиф — 1) სურათი, პირობითი ნიშანი, რომელიც აღნიშნავს ცალკეულ ცნებას, მარცვალს ან ბგერას ძველ ეგვიპტურ, ჩინურ და რიგ სხვა დამწერლობაში. 2) გადატ. გაურკვეველად ნაწერი ასო.

იზოგრაფია — изография — 1) ტექსტის ან გამოსახულების ასლის გადაღება მექანიკური წესით. 2) ხატწერა, ხატების ხატვა.

იკონოგრაფია — иконография — 1) ერთობლიობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებისა, რომლებზეც გამოსახუ-

ლია ესა თუ ის პირი, საგანი თუ სიუჟეტი. 2) სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა აღწერა, მათი შინაარსისა და სიმბოლური მნიშვნელობის გარკვევა. 3) წესები, რომელთა დაცვა აუცილებლად სავალდებულოა ამა თუ იმ პირის, საგნის ან სიუჟეტის გამოსახვისას (უმთავრესად საეკლესიო მხატვრობაში).

ილუმინატორი — иллюминатор — მხატვარი, რომელიც ძველ ხელნაწერებსა და ძველებურ წიგნებში ფერადი საღებავებით ხატავდა ინიციალებს (2) და სხვადასხვა ფერწერულ სამკაულებს (მინიატურებს, ორნამენტებს).

ილუმინირება — иллюминирование — ინიციალებისა და სხვა გრაფიკული სამკაულების გაფერადება-მოვარაუება ხელნაწერებსა და ძველებურ წიგნებში.

ილუსტრატორი — иллюстратор — მხატვარი, რომელიც შინაარსის შესაფერის სურათებს ურთავს თხზულების ტექსტს.

ილუსტრაცია — иллюстрация — 1) გამოსახულება (ნახატი, ფოტოსურათი, პორტრეტი, გრაფიურა, რუკა, ნახაზი...), რომელიც თხზულების შინაარსთან არის დაკავშირებული და თვალსაჩინოების მიზნით დაბეჭდილია ტექსტთან ერთად. 2) რაიმე მტკიცების, მოსაზრების დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითი.

ილუსტრირებული გამოცემა — иллюстрированное издание — ილუსტრაციების (1) შემცველი გამოცემა. სინ. სურათებიანი გამოცემა.

ილუსტრირებული კანი — иллюстрированная обложка — კანი, რომელზეც (უმთავრესად პირველ გვერდზე, ზოგჯერ — მეოთხეზეც) რაიმე გრაფიკული გამოსახულებაა დაბეჭდილი. თხელჟურნალებში, ჩვეულებრივ, კანის ოთხივე გვერდია ილუსტრირებული.

ილუსტრირებული კარტოტეკა — иллюстрированная картотека — საბავშვო ბიბლიოთეკებში გამოყენებული

კარტოთეა. შედგება სტანდარტულზე უფრო დიდი ზომის ბარათებისაგან, რომლებზეც წიგნების სათაურებთან და ავტორთა გვარებთან (ზოგჯერ აგრეთვე მოკლე ანოტაციებთან) ერთად მოთავსებულია ილუსტრაციები.

ინგლისური მუყაო — **АНГЛИЙСКИЙ КАРТОН** — იხ. პ რ ე ს შ ა ნ ი.

ინგლისური ყდა — **АНГЛИЙСКИЙ ПЕРПЛЕТ** — ინგლისური ყუის შქონე ყდა.

ინგლისური ყუა — **АНГЛИЙСКИЙ КОРЕШОК** — ყდის ფრთებისადმი პერპენდიკულარული, მოუმრგვალებელი ყუა. სინ. ს წ ო რ ი ყ უ ა.

ინდექსატორი — **ИНДЕКСАТОР** — იგივეა, რაც კლასიფიკატორი (1).

ინდექსაცია — **ИНДЕКСАЦИЯ** — 1) ბიბლიოთეკურ და ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციაში გამოყენებული ინდექსების სისტემა. 2) ინდექსების დასმა ბექვლით ნაწარმოებებსა და მათს აღწერილობებზე.

ინდექსი — **ИНДЕКС** — 1) პირობითი ნიშანი (ასო, ციფრი ან ორივე ერთად), რომელიც შეესაბამება კლასიფიკაციის ცხრილის გარკვეულ დანაყოფს (კლასს, ქვეკლასს და ა. შ.) და მიუთითებს ცოდნის იმ დარგზე, რომელსაც განეკუთვნება ბექვლითი ნაწარმოები. დაიშობს როგორც წიგნზე, ისე საკატალოგო ბარათზე და განსაზღვრავს მათს ადგილს: პირველისას — თაროზე (სისტემატური გაწობისას), მეორისას — სისტემატურ კატალოგში. სინ. ს ა კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ო ნ ი შ ა ნ ი. 2) იგივეა, რაც ს ა მ ი ე ბ ე ლ ი.

ინდივიდუალური ავტორი — **ИНДИВИДУАЛЬНЫЙ АВТОР** — წიგნის ერთპიროვნულად დაწერი ან დაწერის მონაწილე პირი. სინ. პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი ა ვ ტ ო რ ი.

ინდივიდუალური აღრიცხვა — **ИНДИВИДУАЛЬНЫЙ УЧЕТ** — ბიბლიოთეკაში შემოსული ბექვლითი ნაწარმოებების აღრიცხვა თითოეული მათგანის ინვენტარში (საინვენტარო წიგნში) გატარებით.

ინდივიდუალური აღწერილობა — **ИНДИВИДУАЛЬНОЕ ОПИСАНИЕ** — აღწერილობა მრავალტომიანი, გრძელდებიანი ან სერიული გამოცემის იმ ტომისა (ნაკვეთის, წიგნისა), რომელიც ამავე დროს აღნიშნული გამოცემის კრებსით აღწერილობაშიცაა ასახული.

ინდივიდუალური ბიბლიოგრაფია — **ИНДИВИДУАЛЬНАЯ БИБЛИОГРАФИЯ** — 1) ერთი პირის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია. 2) იგივეა, რაც პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.

ინდივიდუალური დამუშავება — **ИНДИВИДУАЛЬНАЯ ОБРАБОТКА** — ბექვლითი ნაწარმოების აღწერა და ასახვა კატალოგში, როგორც დამოუკიდებელი ერთეულისა. შდრ. ჭ გ უ ფ უ რ ი დ ა მ უ შ ა ე ე ბ ა.

ინდიკატორი — **ИНДИКАТОР** — საბიბლიოთეკო მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა თაროსთან მიუსვლელად გავიგოთ, არის თუ არა ადგილზე ესა თუ ის წიგნი. წარმოადგენს დაფას, რომელზეც განლაგებულია ხის პატარა მორაკები წიგნების დასახელებითა და შიფრით. ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების შესაბამის მორაკებს უკეთდება სათანადო განმასხვავებელი პირობითი ნიშანი.

ინვენტარი — **ИНВЕНТАРЬ** — დოკუმენტო, რომლითაც წარმოებს ბიბლიოთეკაში შემოსული ბექვლითი ნაწარმოებების ინდივიდუალური აღრიცხვა. წარმოადგენს დაწესებული ფორმის დფთარს, რომელშიც სათანადო რიგითი ნომრით ატარებენ თითოეულ წიგნს. სინ. ს ა ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ო წ ი გ ნ ი.

ინვენტარიზატორი — **ИНВЕНТАРИЗАТОР** — ბიბლიოთეკის მუშაკი, რომელიც აწარმოებს ინვენტარიზაციას.

ინვენტარიზაცია — **ИНВЕНТАРИЗАЦИЯ** — ბექვლითი ნაწარმოების შეტანა საინვენტარო წიგნში სათანადო რიგითი ნომრით და ამ ნომრის დაწერა ბექვლით ნაწარმოებზე.

ინვენტარის ნომერი — инвентарный номер — იხ. საინვენტარო ნომერი.

ინვენტარული გაწყობა — инвентарная расстановка — ბექდვითი ნაწარმოებების განლაგება თაროებზე ინვენტარის ნომრების თანმიმდევრობის მიხედვით.

ინვენტარული კატალოგი — инвентарный каталог — ტერმინი, რომლითაც ზოგჯერ აღნიშნავენ საინვენტარო წიგნს.

ინვენტარული ფურცელი — инвентарный лист — ინვენტარიზაციის სისტემა, როდესაც ბიბლიოთეკის ქონება, კერძოდ, ბექდვითი ნაწარმოებები, ჩაიწერება არა დავთარში, არამედ ცალკეულ ფურცლებზე.

ინვერსია — инверсия — 1) შესიტყვებაში სიტყვათა ჩვეულებრივი რიგის შეცვლა წინ გადმოტანილი სიტყვის აქცენტირების მიზნით. 2) პიროვნების გვარის დაწერა სახელისა და მამის სახელის წინ.

ინვერსიული ლექსიკონი — инверсионный словарь — ლექსიკონი, რომელშიც ერთი ენის სიტყვები დალაგებულია ბოლო ასოების ანბანზე, ე. ი. სიტყვათა ანბანურად გაწყობისას მხედველობაში მიღებულია მათი შებრუნებული წაკითხვები.

ინციალი — инцинал — 1) გვარის, სახელის, მამის სახელის საწყისი ასო. 2) მთავრული ასო, რომლითაც იწყება ბექდური და ხელნაწერი წიგნის ტექსტი ან მისი ცალკეული ნაწილი (თავი, პარაგრაფი, აბზაცი). წიგნის ძირითადი შრიფტისაგან განსხვავდება ზომით, მოხაზულობით. ზოგჯერ ორნამენტებითაა შემკული და ფერადი მელნითაა დაწერილი. პირველნაბეჭდ წიგნებში ხელით იხატებოდა. სინ. ასოკაზმული.

ინკუნაბული — инкунабул — 1500 წლამდე (ჩათვლით) მოძრავი ლიტერებით დაბეჭდილი წიგნი.

ინსტრუმენტული მუსიკა — инстру-

ментальная музыка — მუსიკა, რომელიც მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკრით სრულდება.

ინსტრუქცია — инструкция — სახელმძღვანელო მითითებები; წესები, რომლებიც უნდა დაიცვან რაიმე საქმიანობის დროს.

ინსცენირება — инсценировка — არადრამატული ლიტერატურული ნაწარმოების გადაკეთება სცენაზე დასადგმელად.

ინტერვიუ — интервью — პრესის ან რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლის საუბარი ცნობილ პირთან.

ინტერვიუერი — интервьюер — პრესის ან რადიო-ტელევიზიის წარმომადგენელი, რომლის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ეწყობა ინტერვიუ.

ინტერლინგვა — интерлингва — ხელოვნური საერთაშორისო ენა, შექმნილი 1903 წ. იტალიელი მეცნიერის ჯ. პეანოს მიერ.

ინტერპოლატორი — интерполятор — ინტერპოლაციის ავტორი.

ინტერპოლაცია — интерполяция — მეტ-ნაკლები მოცულობის ტექსტი, მომდევნო ხანის ავტორის მიერ ჩართულ-დამატებული ლიტერატურულ ნაწარმოებში.

ინფორმატიკა — информатика — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დოკუმენტური ინფორმაციის შეგროვების, დაცვის, გამოვლენისა და გავრცელების რაციონალურად ორგანიზების საქმეს. სინ. სამეცნიერო ინფორმაციის თეორია.

ინფორმაცია — информация — 1) რაიმე ამბის, ფაქტის შეტყობინება, ცნობება. 2) ცნობა რაიმეს შესახებ.

ინფორმაციული ანალიზი — информацияльный анализ — დოკუმენტების შესწავლა და დამუშავება მათგან ყველაზე არსებითი ცნობების მიღებისა და განზოგადების მიზნით.

ბრიბი შრიფტი — косой шрифт — შრიფტი, რომლის ძირითადი ხაზები გადახრილია მარცხნივ. შღრ. დახრილი შრიფტი.

ბრონიმი — ироним — ბრონიული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა, გამოყენებული ფსევდონიმად. მაგ., მოლაყბე, ინტრიგანი.

იუმორესკა — юмореска — 1) იუმორისტული ხასიათის მცირე ფორმის ლიტერატურული ნაწარმოები. 2) სახუმარო ხასიათის მუსიკალური პიესა.

იუმორისტული ნაწარმოები — юмористическое произведение — მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ავტორი სასაცილოდ ასახავს, უბოროტოდ დას-

ცინის ცხოვრებისეულ ფაქტებს, პიროვნებებს.

ოშვიათი ცალი — редкий экземпляр — ბექვდითი ნაწარმოების ცალი, რომელიც რაიმე გარეგნული ნიშნით განსხვავდება ამ გამოცემის სხვა ეგზემპლარებისაგან (ეთქვათ, შემონახული აქვს ცენზურის მიერ სხვა ცალებიდან ამოღებული და შეცვლილი ფურცლები, შეიცავს გამოჩენილი პირის ფაქსიმილეს, დაბეჭდილია ძვირფას ქაღალდზე, ჩამულია მდიდრულ ყდაში...).

ოშვიათი წიგნი — редкая книга — წიგნი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ცალადაა შემონახული. სინ. უნიკალური წიგნი.

კ

კაბადონი — полоса — 1) იგივეა, რაც გვერდი. 2) სტამბური ანაწყობი, რომელიც სტრიქონთა მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობას შეიცავს და შეესაბამება მომავალი წიგნის გვერდს. 3) ასეთი ანაწყობის საკორექტურო ანაბეჭდი.

კაბრა — папка — 1) მუყაოს ან სქელი ქაღალდის გარე საფარი, რომელშიც ინახავენ ქაღალდის ფურცლებს და წვრილ ნაბეჭდ მასალას (რეპროდუქციებს, გაზეთის ამონაწერებს, ბროშურებს...). 2) ყდა, დამზადებული მთლიანი მუყაოსაგან, რომელზეც არავითარი საფარი მასალა არ არის გადაკრული. 3) სქელი და მძიმე მუყაო.

კავები — ис. კვადრატული ფრჩხილები.

კალთა — იგივეა, რაც არე.

კალიგრაფი — каллиграф — 1) ლამაზი ხელწერის მქონე პირი. 2) კალიგრაფიის მკოდნე, სპეციალისტი.

კალიგრაფია — каллиграфия — ლამაზად წერის ხელოვნება.

კალკი — калька — 1) ნახაზის გადასაღები გამკვირვალე ქაღალდი ან გახა-

მებული თხელი ქსოვილი. სინ. ლივი. 2) ნახაზის ასლი, გადღებული აღნიშნულ მასალაზე. 3) საკუთარი ენობრივი მასალით სხვა ენის ყაიდაზე წარმოებული სიტყვა ან შესიტყვება. მაგ., დღის წესრიგი = порядок дня.

კამერული მუსიკა — камерная музыка — ვოკალური ან ინსტრუმენტული მუსიკა, დაწერილი შემსრულებელთა მცირერიცხოვანი შემადგენლობისათვის (სოლო, დუეტი, ტრიო, ანსამბლი).

კანი — обложка — წიგნის (ძირითადად ბროშურის) გარე საფარი, დამზადებული სქელი, ჩვეულებრივ ფერადი ქაღალდის ფურცლისაგან, რომელიც მიწებებულია ან მავთულის კავებით მიკრულია წიგნის ბლოკის ყუაზე. იმეორებს (რაც შემთხვევაში შემოკლებული და შეცვლილი სახით) თავფურცელზე წარმოდგენილ ცნობებს და ზოგჯერ გრაფიკულად არის გაფორმებული. სინ. გარეკანი.

კანის სათაური — обложечное заглавие — წიგნის სათაური, დაბეჭდილი კანზე. ზოგჯერ განსხვავდება თავფურცელზე წარმოდგენილი სათაურისაგან. სინ. გარეკანის სათაური.

კანონი — закон — შრიფტი, რომლის კეველი 36 პუნქტს უდრის.

კაპიტელი — капитель — მთავრულის მოხაზულობისა და ნუსხურის ზომის მქონე ასოები რუსულ, ლათინურ და სხვა ენათა შრიფტში.

კაპტალი — капитал — ფერადი ქსოვილის ან ზონრის ნაქერი, რომელიც დაწებებულია წიგნის ბლოკის ყუის ზემო და ქვემო კიდეზე ისე, რომ ოდნავ გამოშვრილია გარეთ. კრავს ფურცელთა ბოლოებს და ამტობს წიგნს. სინ. ყუის თავსაკრი.

კარაბადინი — лечебник — ძველი ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნი, რომელშიც აღწერილია ავადმყოფობანი და მათი მკურნალობის ხალხური წესები, წამლების რეცეპტები.

კარიკატურა — карикатура — 1) პიროვნების ან საგნის განგებ დამახინჯებული, სასაცილო გამოსახულება. 2) გადატ. სასაცილოდ, უხეიროდ მიმსგავსებული რამ.

კარიკატურისტი — карикатурист — მხატვარი, რომელიც კარიკატურებს ხატავს.

კარტავი — იგივეა, რაც საკატავლო გო ბართი.

კარტოგრაფია — картограмма — რუკა ან გეგმა, რომელზეც პირობითი ნიშნებით გადატანილია სტატისტიკური ცნობები შესაბამისი ტერიტორიის შესახებ.

კარტოგრაფი — картограф — 1) კარტოგრაფიის სპეციალისტი. 2) გეოგრაფიული რუკების შემდგენი. 3) გეოგრაფიული რუკების მხაზველი.

კარტოგრაფია — картография — 1) მოძღვრება გეოგრაფიული რუკების შედგენის მეთოდებისა და ტექნიკის შესახებ. 2) გეოგრაფიული რუკების ხაზვა.

კარტოგრაფიული გამოცემა — картографическое издание — კარტოგრაფიული მეთოდით შედგენილი ბეჭდვითი ნაწარმოები (გეოგრაფიული და ას-

ტრონომიული რუკა, კარტოგრამა, კარტოდიագრაფია...).

კარტოგრაფიული ქაღალდი — картографическая бумага — მაღალხარისხოვანი ლითოგრაფიული ქაღალდი, რომელზეც ბეჭდავენ რუკებსა და სხვა კარტოგრაფიულ გამოცემებს.

კარტოდიագრაფია — картодиаграмма — გეოგრაფიულ რუკაზე დიագრაფიული ფიგურების გამოყენებით ასახვა ვარკვეული მოვლენის ტერიტორიის ცალკეული რაიონების მიხედვით.

კარტოთეკა — картотека — ერთობლიობა გარკვეული წესით დალაგებული და სისტემატიზებული ბარათების ან ფურცლებისა, რომლებზეც რაიმე ერთგვაროვანი ცნობებია აღნიშნული.

კარტონაჟი — картонаж — 1) მუყაოსაგან დამზადებული წერილმანი ნაკეთობანი (კოლოფები, სათამაშოები, ბუტაფორია). 2) წიგნის ბუდე, დამზადებული მუყაოსაგან.

კარტონი — картон — იხ. მუყაო.

კარტუში — картуш — მხატვრული ჩარჩო, რომელიც შემოვლებული აქვს ძველ რუკებსა და გრაფიურებს, ზოგჯერ აგრეთვე მათზე მოთავსებულ წარწერებსაც (სათურს, განმარტებით ტექსტს და სხვ.).

კატალოგი — каталог — 1) ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდვითი ნაწარმოებების სისტემატიზებული ნუსხა, რომელიც ასახავს რა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს, ხელს უწყობს მკითხველების მიერ მის მიზანშეწონილად და მაქსიმალურად გამოყენებას, უადვილებს მკითხველებს ლიტერატურით სარგებლობას, ბიბლიოთეკის მუშაეებს კი — მათთან მუშაობას. 2) სისტემატიზებული ნუსხა ნებისმიერი სახის ერთგვაროვანი საგნებისა (მონეტების, მინერალების, მედიკამენტებისა და ა. შ.).

კატალოგიზატორი — каталогизатор — 1) ბიბლიოთეკის მუშაი, რომელიც ადგენს კატალოგს ან მონაწილეობს მის



შედგენაში. 2) ბექდვითი ნაწარმოებების აღმწერი.

კატალოგიზაცია — каталогизация — 1) საბიბლიოთეკო კატალოგის შედგენა. 2) იგივეა, რაც ბექდვითი ნაწარმოებების აღწერა.

კატალოგიზაციის ცენტრალიზაცია — централизация каталогизации — ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე ახლად-გამოცემული ბექდვითი ნაწარმოებების აღწერა და საკატალოგო ბარათების გამ-რავლება სტამბური წესით სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. საბჭოთა კავშირში ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენენ საკავშირო წიგნის პალატა, მოკავშირე რესპუბლიკათა წიგნის პალატები და ე. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკა.

კატალოგია — каталогика — ბიბლიოთეკოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის საბიბლიოთეკო კატალოგებს და მათი შედგენის მეთოდებს.

კატალოგრაფი — каталограф — ბექდვითი ნაწარმოების აღწერილობის შემდგენი.

კატალოგრაფია — каталография — 1) დისციპლინა ბექდვითი ნაწარმოებების აღწერის შესახებ. 2) ბექდვითი ნაწარმოებების აღწერა.

კაშირებული ყუა — кашированный корешок — მრგვალი ყუის ნაირსახეობა, რომელსაც სპეციალური დამუშავების შედეგად კოდეები გამოწეული აქვს, ყუის გვერდითი შვერილები ებჯინება ყდის ფრთებს, რაც სიმტკიცეს მატებს წიგნს.

კეველი — кегль, кегель — შრიფტის ზომა. გამოიხატება სტამბური საზომი ერთეულებით — პუნქტებით ან კვადრატებით.

კედლის გაზეთი — стенная газета — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სხვა რომელიმე კოლექტივის ორგანო, რომელიც ხელით იწერება ან საწერ მანქანაზე იბეჭდება ერთ ცალად

და თვალსაჩინო ადგილას იკვრება კედელზე.

კედლის კატალოგი — настенный каталог — აბ. პლაკატური კატალოგი.

კერძო ბიბლიოთეკა — частная библиотека — კაპიტალისტურ ქვეყნებში — ბიბლიოთეკა, რომელიც კერძო პირის საკუთრებას და შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

კერძო გამოცემა — частное издание — კერძო პირის ხარჯით განხორციელებული გამოცემა, რომელიც მკითხველთა ვიწრო წრეში ვრცელდება და გასაყიდად არ გამოდის ბაზარზე. სინ. პ რ ი ვ ა ტ უ ლ ი გამოცემა.

კერძო თავფურცელი — частный титульный лист — მრავალტომიანი, სერიული ან გრძელდებადი გამოცემის შემადგენელი ცალკეული ტომის (ნაწილის, ნაკვეთის) თავფურცელი, რომელზეც მოცემულია ცნობები საკუთრივ ამ ტომის (ნაწილის, ნაკვეთის) შესახებ, განსხვავებით ზოგადი თავფურცლისაგან, რომელიც საერთოა ყველა ტომისათვის და შეიცავს ცნობებს მთელი გამოცემის შესახებ.

კერძო მითითება — частная ссылка — კატალოგში, ბიბლიოგრაფიაში, ლექსიკონში, სძიებელსა და სხვა საცნობარო გამოცემაში აღწერილობის საწყისთან. რუბრიკასთან ან სიტყვა-ერთეულთან გაკეთებული წერილობითი აღნიშვნა, რომელიც მკითხველს ყურადღებას მიაქცევს იმ საწყისზე, რუბრიკასა და სიტყვაზე, რომელთანაც აგრეთვე თავმოყრილია ცნობები მკითხველისათვის საინტერესო საკითხზე. აღინიშნება ასე: ნ. ა გ რ. (= ნ ა ხ ე ა გ რ ე თ ვ ე) ან ი ხ. ა გ რ. (= ი ხ ი ლ ე ა გ რ ე თ ვ ე). სინ. ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ი თ ი თ ე ბ ა.

კერძო სათაური — частное заглавие — ზოგადი სათაურის მქონე მრავალტომიანი, გრძელდებადი ან სერიული გამოცემის ცალკეული ტომის (ნა-

ვეთის) საკუთარი სათური. სინ. სპეციალური სათური.

კეტერიზაცია — кеттеризация — ბექდვითი ნაწარმოების საავტორო ნიშნის დადგენა საავტორო ტაბულების მიხედვით და მისი დაწერა თვით ბექდვით ერთეულზე.

კეტერის ნიშანი — кеттерский знак — იგივეა, რაც საავტორო ნიშანი. სახელწოდება მომდინარეობს საავტორო ნიშანთა სისტემის შემქმნელის ამერიკელი ბიბლიოთეკოლოგის ჩ. კეტერის გვარისაგან.

კეტერის ტაბულები, კეტერის ცხრილები — таблицы Кеттера — იგივეა, რაც საავტორო ტაბულები.

კეთი — ძვ. ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნის ფურცელი. შეიცავს ორ კაბადონს.

კვადრატი — квадрат — 1) სტამბური ზომის ერთეული. შეიცავს 48 პუნქტს (დაახლოებით 18 მმ). 2) სტამბური სახარვეზო მასალა, რომლის გაბნი 48 პუნქტს შეადგენს.

კვადრატული ფრჩხილები — квадратные скобки — ფრჩხილების ნაირსახეობა: [ ]. ბექდვითი ნაწარმოების აღწერისას მათში სვამენ იმ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც თავფურცელზე არ არის, არც წიგნის სხვა ნაწილებშია მითითებული და კატალოგოზატორის მიერ გარეშე წყაროებიდანაა დამატებული. სინ. კავები, სწორი ფრჩხილები.

კვარტალური გამოცემა — квартальное издание — პერიოდული გამოცემა, რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოდის. სინ. სამთვიური გამოცემა.

კვარტა — кварта — წიგნის ფორმატი. შეადგენს ფურცლის მეოთხედს. მიიღება ფურცლის ორგზის გაკეცვის, ე. ი. რვაკვერდიან რვეულად გადაქცივის გზით. პირობითი აღნიშვნა: 4°.

კვირეული — еженедельник — პერიოდული გამოცემა (ყურნალი, გაზეთი,

ბიულეტენი), რომელიც გამოდის კვირაში ერთხელ.

კვირეული — неделя — კულტურულ-საზოგადოებრივი ღონისძიება, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ტარდება. მაგ., წიგნის კვირეული, მეგობრობის კვირეული.

კილე — იგივეა, რაც არც.

კილეპერფორირებული ბარათი — краперфорированная карта — იხ. პერფორირებული კილეური პერფორაციით.

კითხვადობა — читаемость — მკითხველებზე წიგნთა გაცემის რაოდენობა.

კითხვის ინდივიდუალური გეგმა — индивидуальный план чтения — სია იმ წიგნებისა, რომლებიც უნდა წაიკითხოს მკითხველმა. დგება მასობრივ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის მიერ ყოველი მკითხველისათვის ცალკე, მისი მოთხოვნილებებისა და მომზადების დონის გათვალისწინებით.

კითხვის კოეფიციენტი — коэффициент читаемости — ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც მიიღება გაცემათა საერთო რაოდენობის გაყოფით ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობაზე.

კითხვის კულტურა, კითხვის ჩვევები — культура чтения, навыки чтения — ერთობლიობა იმ ჩვევებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მკითხველს წაკითხულის ჭეროვნად ათვისებაში, უადვილებენ წიგნზე მუშაობას, თვით წიგნს კიცავენ დაზიანებისაგან, უღროდ გაცვეთისაგან.

კირილიცა — кириллица — სლავური ანბანის ერთ-ერთი სახე. წარმოიშვა ბერძნული მთავრული დამწერლობის საფუძველზე. მისი შექმნა მიეწერება IX საუკუნის ბიზანტიელ მისიონერ კირილეს (აქედან სახელწოდება).

კლავირი, კლავირაუსსუგო — клавира, клавираусуг — ვოკალურ-სიმფონიური მუსიკალური ნაწარმოების

პარტიტურის გადმოღება ფორტეპიანოსათვის ან ხმისა და ფორტეპიანოსათვის.

**კლასიკური გრაფიკა** — классическая графика — იხ. გ რ ა ვ ი უ რ ა ს ა კ რ ი ს ი თ.

**კლასიფიკატორი** — классификатор — 1) ბიბლიოთეკის მუშაი, რომელიც ახდენს ბიბლიოთეკაში შემოსული ბეჭდვითი ნაწარმოებების კლასიფიკაციას. სინ. ინ დ ე ქ ს ა ტ ო რ ი, ს ი ს ტ ე მ ა ტ ი ზ ა ტ ო რ ი. 2) იგივეა, რაც კლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს ც ხ რ ი ლ ი (1).

**კლასიფიკაცია** — классификация — 1) საგნების, მოვლენების, ცნებების დაწესება კლასებად, ქვეკლასებად და მომდევნო რიგის წვრილ დანაყოფებად რაიმე ნიშნის საფუძველზე. 2) ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით — ბეჭდვითი ნაწარმოებების განკუთვნილი ცოდნის ამა თუ იმ დარგის, ქვედარგისა და მომდევნო რიგის დანაყოფებისათვის.

**კლასიფიკაციის ცხრილი** — классификационная таблица, таблица классификации — 1) ნუსხა იმ კლასების, ქვეკლასებისა და მომდევნო რიგის წვრილი დანაყოფებისა, რომელთა მიხედვით დაწესდება საგნები, მოვლენები, ცნებები. სინ. კლ ა ს ი ფ ი კ ა ტ ო რ ი (2). 2) ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით — ცოდნის ცალკეული დარგების, ქვედარგების, განყოფილებების, ქვეგანყოფილებებისა და მომდევნო რიგის დანაყოფების ნუსხა.

**კლიშე** — клише — საილუსტრაციო მასალის (ნახაზის, ნახატის) გადასაღები საბეჭდი ფორმა, გამოყენებული მალაღი ბეჭდვის დროს. წარმოადგენს ლითონის (თუთიის, სპილენძის) ფირფიტას, რომელზეც ფოტომექანიკური წესით გადააქვთ ორიგინალის ასლი და შემდეგ შევავით ამოქმედის გზით აწარმოებენ სახარვეზო დეკორაციების ჩაღრმავებას (ფოტოციტოგრაფია), ან ხისა და ლინოლეუმის ნაკერს, რომელზეც ხელთ გადააქვთ ვასამრავლებელი გამოსახულება

და ხელთვე აწარმოებენ სახარვეზო მასალის ამოკრას (ქსილოგრაფია და ლინოგრაფიურა).

**კოდექსი** — кодекс — 1) კრებული სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა, რომლებიც სამართლის ამა თუ იმ სფეროს განუთვნიდა. მაგ, სისხლის სამართლის კოდექსი. 2) ძველი ხელნაწერი, რომელიც გრაგნილისაგან განსხვავებით წიგნადა შეკრული.

**კოდი** — код — ცნებათა, იდეათა, მნიშვნელობათა გამომხატველი პირობითი ნიშნების—სიმბოლოების სისტემა, გამოყენებული სხვადასხვა მიზნით (საიდუმლო ცნობის გადასაცემად, პერფორაბრატზე ინფორმაციის გადასატანად...).

**კოდირება** — кодирование — 1) კოდის შედგენა და გამოყენება. 2) პერფორაბრატზე ინფორმაციის გადატანა კოდური აღნიშვნების საშუალებით: ბარათის გარკვეული ადგილების დაჩერებით (პერფორაბრათი შიდა პერფორაციით), სათანადო ნაჩერებების შეერთებით ბარათის კიდესთან ან ერთმანეთთან (პერფორაბრათი კოდური პერფორაციით).

**კოდური აღნიშვნები** — кодовые обозначения — პერფორაბრატზე გაკეთებული ნაჩერებები და კრილები, რომლებიც შეესატყვისება გარკვეულ ცნებებს (მნიშვნელობებს, იდეებს) და რომელთა მიხედვით ხდება სათანადო ბარათების შერჩევა-გამოკრება კარტოთეკიდან.

**კოდური ველი** — кодовое поле — პერფორაბრათის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია კოდური აღნიშვნების გადასატანად.

**კოლაჯია** — коллация — იხ. რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა.

**კოლენკორი** — коленкор — ბამბის ფერადი ქსოვილი, საპეციალური ხსნარით გაქვნილი და განამბული. იხმარება ყდის გადასაქრავად.

**კოლექტიური ავტორი** — коллективный автор — დაწესებულება, ორგანიზაცია, უწყება ან სხვადასხვა სახის თაყვრილობა (კონფერენცია, თათბირი, სე-

სია...), რომლის სახელითაც არის წიგნი გამოქვეყნებული. სინ. კო რ პ ო რ ა ც ი ე უ ლ ი ა ე ტ ო რ ი.

კოლექტიური ნაწარმოები — коллективный произведение — რამდენიმე პირის მიერ დაწერილი ნაწარმოები. სინ. პ ო ლ ო ნ ი მ ი.

კოლექტიური ფსევდონიმი — коллективный псевдоним — რამდენიმე თანავეტროსი ანუ ავტორთა კოლექტივის მიერ გამოყენებული ფსევდონიმი.

კოლექტორი — коллектор — იხ. სა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო კ ო ლ ე ქ ტ ო რ ი.

კოლექცია — коллекция — ერთგვაროვანი საგნების სისტემატიზებული კრებული.

კოლექციონერი — коллекционер — პირი, რომელიც აგროვებს ერთგვაროვან საგნებს, ადგენს კოლექციას.

კოლექციონერული ალბომი — коллекционный альбом — კოლექციონერის ანუ მფლობელის ან ბიბლიოთეკის მიერ არის შედგენილი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ცალკეული რეპროდუქციებისაგან.

კოლონელი — колонель — იხ. მ ი ი ნ ო ნ ი.

კოლონსათური — колонтитул — იხ. კ ო ლ ო ნ ტ ი ტ უ ლ ი.

კოლონსახაზი — колонлинейка — წიგნის გვერდის დასაწყისში ძირითად ტექსტს ზემოთ გავლებული სტამბური ხაზი, რომლის ზემოთ იბეჭდება კოლონტიტული და კოლონციფრი.

კოლონტიტული — колонтитул — ცნობები ტექსტის შესახებ, მოთავსებული ნაბეჭდი გვერდის ზედა არეზე. შეიძლება წარმოადგენდეს: ავტორის გვარს, მთლიანად წიგნის ან მისი ცალკეული ნაწილის (თავის, პარაგრაფის, შემადგენელი თხზულების) სათაურს, ლექსიკონებში კი — მოცემულ გვერდზე განმარტებულ პირველ ან პირველსა და ბოლო სიტყვას (ზოგჯერ სიტყვათა საწყის ასოებს). ტექსტისაგან ზმო-

რად გამოყოფილია კოლონსახაზით. სინ. კ ო ლ ო ნ ს ა თ ა უ რ ი.

კოლონციფრი — колонцифра — ციფრი, რომელიც აღნიშნავს წიგნის გვერდის ან სვეტის რიგით ნომერს. დასმულია გვერდის (სვეტის) ზემო ან ქვემო კიდეზე.

კოლოფონი — коллофон — ცნობები ავტორის, მთარგმნელის, გამომცემლის, მბეჭდავის (გადამწერის), გამოცემის (გადაწერის) ადგილის, დროის შესახებ, რაც ხელნაწერებსა და ძველნაბეჭდ წიგნებში ძირითადი ტექსტის ბოლოს იყო მოთავსებული.

კომბინირებული პერფორირებული — комбинированная перфокарта — იხ. პ ე რ ფ ო რ ა რ ა თ ი კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი პ ე რ ფ ო რ ა ც ი ი თ.

კომედია — комедия — დრამატული ნაწარმოები, რომელშიც სასაცილოდაა ასახული საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეები, ადამიანთა ნაკლოვანებები.

კომენტარი — комментарий — 1) თხზულების ტექსტის გაუგებარი ან ძნელად გასაგები ადგილის ახსნა-განმარტება. ეკუთვნის გამომცემელს ან რედაქტორს და ჩვეულებრივ ძირითადი ტექსტის შემდეგ იბეჭდება. 2) რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის შეფასება, მისი ნამდვილი არსის გარკვევა პრესის ან რადიო-ტელევიზიის საშუალებით.

კომენტატორი — комментатор — კომენტარების ავტორი.

კომენტარება — комментировать — ტექსტის განმარტება, კომენტარების დართვა.

კომენტარებული გამოცემა — комментированное издание — გამოცემა, რომელშიც გამოქვეყნებულ ტექსტს თან ახსნა-განმარტება, კომენტარი ახლავს.

კომიქსები — комиксы — კაპიტალისტურ ქვეყნებში — სათავადასაელო-დრეტიტიური ხასიათის ილუსტრირებული გამოცემები.

**კომპენდიუმი** — КОМПЕНДИЙ, КОМПЕНДИУМ — მეცნიერების საფუძვლების ან ცალკეული გამოკვლევის ძირითად დებულებათა მოკლე გადმოცემა.

**კომპილატორი** — КОМПИЛЯТОР — კომპილაციის შემდგენი.

**კომპილაცია** — КОМПИЛЯЦИЯ — ნაწარმოები, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ავტორის თხზულებათა საფუძველზე და მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

**კომპიუტერი** — КОМПЮТЕР — გამოთვლელი მანქანა, რომელიც ავტომატურად აწარმოებს ინფორმაციის დამუშავებას.

**კომპლექტატორი** — КОМПЛЕКТАТОР — პირი, რომელიც ეწევა ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტებას.

**კომპლექტი** — КОМПЛЕКТ — მრავალტომიანი, გრძელდებადი, პერიოდული და სერიული გამოცემის შემადგენელი ტომების, ნაკვეთების ან ნომრების ერთობლიობა.

**კომპოსტერი** — КОМПОСТЕР — ხელსაწყო, რომლითაც პერფორატორზე კოდური აღნიშვნების გადატანისას ამოჭრიან ბარათის სათანადო ადგილებს (ნაჩვრეტებს უერთებენ ბარათის კიდეებს ერთმანეთს).

**კონგრეგული ტვიფრვა** — КОНГРЕГВОННОЕ ТИШЕННИЕ — ტვიფრვის ნაირსახეობა, რომლის დროსაც წიგნის ყდაზე ან კანზე მიიღება რელიეფური, ამბურტული გამოსახულება. სახელწოდება მომდინარეობს ინლისელი გამომგონებლის ვ. კონგრევის გვარისაგან. სინ. რელიეფური ტვიფრვა.

**კონდაკი** — СЛУЖЕБНИК — ღვთისმსახურების წესების კრებული.

**კონდიციონირება ჰაერისა** — КОНДИЦИОНИРОВАНИЕ ВОЗДУХА — სპეციალური დანადგარებით სათანადო შემადგენლობის, ტემპერატურისა და ტენიანობის პაერის მიღება ბიბლიოთეკის შენობაში (უშთავრესად წიგნსაცემში), რაც უზრუნველყოფს ბეჭდვით ნაწარმოებთა კარ-

გად დაცვას და მომსახურე პერსონალის ნორმალურ მუშაობას.

**კონვოლუტი** — КОНВОЛЮТ — ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი გამოცემა, წიგნის ერთ ბლოკად შეკრული და საერთო ყდაში ჩასმული კერძო მფლობელის მიერ. სინ. ხელთკვნი კრებულები.

**კონიექტურა** — КОНЪЕКТУРА — დაზიანებული ან გადაწყვერის მიერ შეცვლილი და დამახინჯებული ტექსტის აღდგენა-გასწორება ვარაუდით, მიხედვით.

**კონკორდანსი** — КОНКОРДАЦИЯ — რაიმე ტექსტში ნახშირი სიტყვებისა და გამოთქმების ანბანური სია განმარტებებითა და ადგილმდებარეობის მითითებით.

**კონსპექტი** — КОНСПЕКТ — თხზულების, ლექციის ან ლექციების კურსის შეკუმშული გადმოცემა თვით ავტორის ან სხვა პირის მიერ.

**კონტაქტური ბეჭდვა** — КОНТАКТНАЯ ПЕЧАТЬ — ბეჭდვის ნაირსახეობა, რომლის დროსაც საბეჭდო ფორმა ეხება ქალაქს ან სხვა მასალას, რომელზეც გადააქვთ გამოსახულება.

**კონტრაფაქცია** — КОНТРАФАКЦИЯ — თხზულების გადაბეჭდვა ავტორის ან მისი მემკვიდრისა თუ ნების აღმსრულებლის ნებართვის გარეშე. სინ. ნებადართული გადაბეჭდვა, უკანონო გადაბეჭდვა.

**კონტრტიული** — КОНТРИТУЛ — გაშლილი თავფურცლის მარცხენა მხარე. წარმოადგენს ზოგად თავფურცელს ან დამატებითი თავფურცლის რომელიმე სახეობას. სინ. თანათავფურცელი.

**კონტურული რუკა** — КОНТУРНАЯ КАРТА — რუკა, რომელზეც მხოლოდ მონახულია გეოგრაფიული ან პოლიტიკური საზღვრები დედამიწის ნაწილების, ქვეყნების და სხვა გეოგრაფიულ-პოლიტიკური ერთეულებისა.

კონფესიუბული გამოცემა — **конфискованное издание** — იხ. აღკვეთილი გამოცემა.

კორექტირება — **корректирование** — იხ. კორექტურა (1).

კორექტორი — **корректор** — 1) პირი, ვინც ასწორებს სტამბურ ანაბეჭდებს, კორექტურას უკეთებს მათ. 2) სტამბის, გამომცემლობის ან რედაქციის მუშაკი, რომლის მოვალეობას შეადგენს კორექტურის მართვა.

კორექტურა — **корректурა** — 1) სტამბური ანაბეჭდის წაიხიბვა ავტორის ან სხვა პირის მიერ აწყობის დროს დაშვებული შეცდომების გამოვლენის მიზნით და მათი აღნიშვნა სპეციალური საკორექტურო ნიშნებით, რომელთა მიხედვითაც ასოთამწყობი ასწორებს შეცდომებს. სინ. კორექტირება. 2) სტამბური ანაბეჭდი, განკუთვნილი კორექტირებასათვის. სინ. საკორექტურა ან ანაბეჭდი.

კორიგენდა — **корригенда** (**corrigen-da**) — შეცდომების გასწორება.

კორპორაციული ავტორი — **корпоративный автор** — იხ. კოლექტიური ავტორი.

კორპუსი — **корпус** — 1) შრიფტი, რომლის კეგელი 10 პუნქტს უდრის. ამ შრიფტით იწერება წიგნური პროდუქციის უდიდესი ნაწილი. 2) სრული კრებულის ერთი სახის ტექსტებისა.

კრებისთი აღწერილობა — **сводное описание** — 1) საერთო, გამაერთიანებელი აღწერილობა პერიოდული, მრავალტომიანი, სერიული ან გრძელვადილი გამოცემის შემადგენელი ტომებისა (ნომრების, ნაკვეთებისა). 2) რამდენიმე ბეჭდვითი ნაწარმოების ასახვა ერთ აღწერილობაში.

კრებისთი ბარათი — **сводная карточка** — 1) კრებისთი აღწერილობის შემცველი ბარათი. 2) კრებისთი კატალოგის ბარათი იმ ბიბლიოთეკების აღნიშვნით, სადაც არის დატული აღწერილი ბეჭდვითი ნაწარმოები.

კრებისთი კატალოგი — **сводный каталог** — კატალოგი, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე ბიბლიოთეკაში დატული ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობები თითოეული ნაწარმოების ადგილსამყოფელის აღნიშვნით. სინ. ნაკრები კატალოგი, შეერთებული კატალოგი.

კრებული — **сборник** — 1) ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნი, რომელშიც თემის, ფორმის ან სხვა რაიმე საერთო ნიშნის მიხედვით თავმოყრილია ერთი ან რამდენიმე ავტორის ცალკეული თხზულებები. 2) გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ნებისმიერი სახის ერთგვაროვანი ბეჭდური მასალა (ანდაზები, ამოცანები, ინსტრუქციები და სხვ.). 3) ზოგიერთი პერიოდული და გრძელვადილი გამოცემის სახელწოდება.

კრიპტოგრაფია — **криптограмма** — საიდუმლო ნიშნებით ნაწერი ტექსტი.

კრიპტოგრაფია — **криптография** — საიდუმლო დამწერლობა, საიდუმლო ნიშნებით წერა.

კრიპტონიმი — **криптоним** — ფსევდონიმის ნაირსახეობა, რომელიც წარმოადგენს ავტორის ინიციალებს ან გვარსახელის (ზოგჯერ ფსევდონიმის) სხვადასხვაგვარ შემოკლება-დაქარაგმებას. მაგ., პ. უ. (პეტრე უმიკაშვილი), სალა (სანდალა = შაქარია ჭიჭინაძე), დონი (დ. ე. = დავით ერისთავი).

კრიტიკა — **критика** — 1) ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა, მისი ღირსება-ნაკლოვანების აღნიშვნა, დაფასება. 2) ლიტერატურისმცოდნეობის დარგი, რომელიც მიზნად ისახავს მხატვრული ლიტერატურის განხილვა-დაფასებას. 3) საერთოდ, ვისიმე ან რისიმე განქიქება, ნაკლოვანების მხილება.

კრიტიკოსი — **критик** — 1) კრიტიკული სტატიის ავტორი. 2) მწერალი, რომელიც კრიტიკულ სტატიებს წერს.

კრიტიკული ანოტაცია — **критическая аннотация** — ანოტაცია, რომელიც

ბეჭდვითი ნაწარმოების კრიტიკას შეიცავს, მიუთითებს მის ნაკლოვანებაზე.

კრიტიკული ბიბლიოგრაფია — критическая библиография — ბიბლიოგრაფია, რომელიც შეიცავს ბეჭდვითი ნაწარმოებების განხილვას, მათი ღირსება-ნაკლოვანებების აღნუსხვას, საერთო შეფასებას. წარმოდგენილია კრიტიკული წერილების, რეცენზიების, მიმოხილვებისა და შენიშვნების სახით კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებში ან სხვა სახის პერიოდულ და გრძელდებად გამოცემათა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებებში.

კრიტიკული გამოცემა — критическое издание — გამოცემა, რომელიც შეიცავს თხზულების კრიტიკულად დადგენილ ტექსტს.

კუთხური ბრჭყალები — елочки — ბრჭყალების ნაირსახეობა: « ». სინ. ფრანგული ბრჭყალები.

კუთხური ფრჩხილები — угловые скобки — ფრჩხილების ნაირსახეობა: < > . სინ. ტეხილი ფრჩხილები.

კუმულაციური ბიბლიოგრაფია — кумулятивная библиография — ბიბლიოგრაფია, რომელიც გამოდის ნაწილ-ნაწილ დროებით ნაკვეთებად, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი გამოიცემა მთლიანი, გაერთიანებული სახით.

კუმულაციური მაჩვენებელი — куму-

лятивный указатель — 1) დროდადრო განმეორებით გამოძვარი მაჩვენებელი, რომლის ყოველი მომდევნო გამოცემა წარმოდგენს წინა გამოცემის ტექსტს, შევსებულს ახალი მასალით — საშუალოდ პერიოდში გამოსული ლიტერატურით. 2) მაჩვენებელი, რომელიც აერთიანებს დროის გარკვეულ პერიოდში გამოსულ მაჩვენებლებს.

კურთხევანი — треник — სხვადასხვა საეკლესიო რიტუალის (ნათვლა, ქორწინება, მიცვალებულისათვის წესის აგება) შესრულებისას წარმოსათქმელი ლოცვების კრებული.

კურსივი, კურსივული შრიფტი — курсив, курсивный шрифт — მოხაზულობით ხელნაწერის მსგავსი ნაბეჭდი შრიფტი, რომლის ძირითადი ხაზები გადახრილია მარჯვნივ, იშვიათად მარცხნივ. იხმარება ტექსტში ხაზგასმული და გამოყოფილი ადგილების (ციტატების, საკუთარი სხელების, სათაურების...) ასაწყობად.

კუსტოდი — кустод — გვერდის საწყისი სიტყვა ან სიტყვის ნაკვეთი, რომელიც წინა გვერდის ქვემო კიდებზე დაბეჭდილი ან დაწერილი ძველნაბეჭდ წიგნებსა და ხელნაწერებში. უზრუნველყოფდა ფურცელთა სწორ დალაგებას და გვერდიდან გვერდზე გადატანილი სიტყვის ან წინადადების კითხვისას დაყოვნების თავიდან აცილებას.

## ლ

ლავისი — лавис — 1) ღრმა ბეჭდვის წესი, რომლის დროსაც საბეჭდი ფორმა ასე მზადდება: ლითონის ფირფიტაზე გამოსახულება გრავიორს გადააქვს მკვათი დასველებული ფუნჯით, რის გამოც საბეჭდი ელემენტების ამოქმა ფირფიტაზე გამოსახულების გადატანის პროცესშივე წარმოებს. 2) გრაფიკული გამოსახულება, გადაბეჭდილი ამგვარად მომზადებული საბეჭდი ფორმიდან.

ლაგენი — лаген — წიგნის შემადგენელი რვეული, მიღებული ქალაქის ფურცლის დაკეცვის შედეგად.

ლათინიზებული სახელი (გვარი) — латинизированное имя — ძველ რომულ ყაიდაზე გადაკეთებული გვარ-სახელი საშუალო საუკუნეების ევროპელი ავტორებისა, რომლებიც, როგორც წესი, ლათინურად წერდნენ შრომებს.

ლაკუნა — лакуна — 1) გამოტოვე-

ბული, ნაკლული ადგილი ტექსტში. 2) ხარვეზები ბიბლიოთეკის ფონდში.

ლასე — ласе — გვერდების სანიშნო ზონარი, დამზადებული ფერადი ქსოვილისაგან. მისი ერთი ბოლო ზემო კატალთან ერთად დამაგრებულია წიგნის ბლოკის ყუაზე, მეორე ბოლო კი რამდენიმე სანტიმეტრითაა გამოჩრილი წიგნის ქვედა შემონაპკრიდან.

ლეგენდა — легенда — 1) ხალხური თქმულება ამა თუ იმ ისტორიული თუ მოგონილი პიროვნების ან რაიმე შემთხვევის შესახებ. 2) წარწერა მედალზე ან მონეტაზე. 3) განმარტებითი ტექსტი გრაფიკულსა და კარტოგრაფიულ გამოცემაში. 4) კარტოგრაფიულ გამოცემაში ნახმარი პირობითი ნიშნების განმარტება. 5) გეოგრაფიული ადგილების აღმნიშვნელი წარწერები რუკაზე.

ლედერი — ледерн — ხელოვნური ტყავი. წარმოადგენს სპეციალური ლაქით გაყვნილი ქსოვილის. იხმარება ყდის გადასაკრავად.

ლექსიკოგრაფია — лексикография — 1) ენათმეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს და ამუშავებს ლექსიკონების შედგენის წესებს, ხერხებს. 2) ლექსიკონების შედგენა. 3) ლექსიკონების ერთობლიობა.

ლექსიკოგრაფი — лексикограф — ლექსიკონის შემდგენი, ლექსიკოგრაფიის სპეციალისტი.

ლექსიკოლოგი — лексиколог — ლექსიკოლოგიის სპეციალისტი.

ლექსიკოლოგია — лексикология — ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენის ლექსიკურ შედგენილობას, ენაში არსებულ სიტყვათა ერთობლიობას.

ლექსიკონი — словарь — 1) წიგნი, რომელშიც ანბანის ან თემატიკის მიხედვით დალაგებულია ერთი ენის სიტყვები, რომელთაც მიწერილი აქვს ახსნა-განმარტებანი იმავე ენაზე ანდა შესატყვისი ლექსიკური ერთეულები ერთ ან რამდენიმე სხვა ენაზე. 2) წიგნის ნაწი-

ლი, რომელიც დაერთვის ძირითად ტექსტს და შეიცავს მასში ნახმარი გაუგებარი სიტყვა-გამოთქმების განმარტებას ან თარგმნას.

ლექსიკონური კატალოგი — словарь-индекс каталог — ბიბლიოთეკური კატალოგი, რომელიც მიღებულია ანბანური, საგნობრივი და სათაურთა კატალოგების გაერთიანებით. მასში ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობანი განლაგებულია ავტორების, სათაურებისა და საგნობრივი რუბრიკების ანბანის რიგზე. სინ. დიქსიონერული კატალოგი, ჯვარედინი კატალოგი.

ლიბრეტისტი — либреттист — 1) ლიბრეტოს ავტორი. 2) მწერალი, რომელიც ლიბრეტოებს წერს.

ლიბრეტო — либретто — 1) მუსიკალურ-სცენური ნაწარმოების (ოპერის, ოპერეტის) სიტყვიერი ტექსტი. 2) ბალეტის, პანტომიმის სიუჟეტის დაწერილობითი გადმოცემა, 3) ოპერის, ბალეტის, დრამის, კინოფილმის მოკლე შინაარსი, დაბეჭდილი თეატრალურ პროგრამაში ან ცალკე წიგნაკად.

ლიგატურა — лигатура — 1) ორი ან რამდენიმე ასო, შეერთებული ერთ ნიშნად; 2) ორი ან სამი ასო, ჩამოსხმული ერთ ლიტერად. სინ. ტყუპი ასო. 3) მუსიკალური ნიშანი — რკალი, რომელიც აერთებს ერთი სიმბოლის ორ მუზიკულ ნოტას.

ლივი — лив. კალკი.

ლითოგრაფი — литограф — 1) ავტორი ლითოგრაფიული წესით დაბეჭდილი ნახატისა. 2) ოსტატი, რომელსაც საბეჭდ ფორმაზე (ლითოგრაფიულ ქვაზე, ალუმინის ან თუთიის ფირფიტაზე) ხელით გადააქვს გასამრავლებელი გამოსახულება. 3) მხატვარი, რომელსაც თვითონ გადააქვს თავისი ნახატი საბეჭდ ფორმაზე.

ლითოგრაფია — литография — 1) ბრტყელი ბეჭდვის ნაირსახეობა, რომლის დროსაც გამოსახულება და ტექსტი ფოტომექანიკური წესით ან ხელით



გადააქვთ ლითოგრაფიულ ქვაზე, ალუმინის ან თუთიის თხელ ფირფიტაზე, საიდანაც იგი უშუალოდ აღიბეჭდება ქაღალდზე. განსხვავდება ოფსეტური ბეჭდვისაგან, რომლის დროსაც გამოსახულების გადატანა საბეჭდი ფორმიდან ქაღალდზე გაშუამავლებულია რეზინის ზედაპირით. 2) აღნიშნული წესით დაბეჭდილი გამოსახულება. 3) პოლიგრაფიული დაწესებულება, რომელიც მხოლოდ ლითოგრაფიული წესით აწარმოებს ბეჭევას.

ლითოგრაფიული ბეჭედა — литографская печать — იხ. ლ ი თ ო გ რ ა ფ ი ა (1).

ლითოგრაფიული გამოცემა — литографированное издание — ლითოგრაფიის წესით დაბეჭდილი გამოცემა.

ლითოგრაფიული ქაღალდი — литографская бумага — პრიალა ზედაპირის მქონე ძლიერ გაწვებოვებული მკერძივი ქაღალდი, რომელიც კარგად იტანს ტენიანობას და თანაბრად იღებს საღებავს საბეჭდი ფორმიდან.

ლითოგრაფიული ქვა — литографский камень — ფოროვანი ზედაპირის მქონე კირქვა, რომელიც კარგად იღებს წყალსა და ცხიმს. გამოიყენება საბეჭდი ფორმის მასალად ლითოგრაფიული ბეჭდვის დროს.

ლილოპუტი — лилопут — იხ. მ ი ნ ი ა ტ უ რ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ა .

ლინგვისტური გაწყობა — лингвистическая расстановка — იხ. ე ნ ო ბ რ ი ვ ი გ ა წ ყ ო ბ ა .

ლინგვისტური მსაზღვრელი — лингвистический определитель — იხ. ე ნ ი ს მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი .

ლინოგრაფიორი — линогравёр — 1) ოსტატი, რომელიც ამზადებს კლიშეს ლინოლეუმისაგან. 2) მხატვარი, რომელიც თვითონ ამზადებს საკუთარი ნახატის გადასაღებ კლიშეს ლინოლეუმისაგან.

ლინოგრაფიურა — линогравюра — რელიეფური გრავიურა, გადაბეჭდილი

ლინოლეუმისაგან დამზადებული საბეჭდი ფორმიდან. სინ. გ რ ა ვ ი უ რ ა ლ ი ნ ო ლ ე უ მ ზ ე .

ლინოტიპი — линотип — სააბწყობო მანქანა, რომელიც აწარმოებს მთლიანი სტრიქონების ჩამოსხმას.

ლირიკა — лирика — 1) მხატვრული ლიტერატურის გვარი. აერთიანებს თხზულებებს, რომლებშიც ავტორის (ლიტერატურული გმირის) ფიქრები, გრძნობები და განცდებია გადმოცემული. 2) ამგვარი თხზულებების (ჩვეულებრივ, ლექსების) ერთობლიობა.

ლიტერატურა — литература — 1) ამა თუ იმ ხალხის, ეპოქის ან მთელი კაცობრიობის ხელნაწერი და ნაბეჭდი ნაწარმოებების ერთობლიობა. 2) მხატვრული ნაწარმოებების ერთობლიობა. 3) ერთობლიობა ნაწარმოებებისა, რომლებიც განეკუთვნება ცოდნის საკვებულ დარგს ან შეეხება ამა თუ იმ საკითხს, 4) იგივეა, რაც ბ ე ქ ე ლ ვ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი .

ლიტერატურის პარტია — партия литературы — ერთობლიობა ბეჭდვითი ნაწარმოებებისა, რომლებიც ბიბლიოთეკაში შემოსულია ერთი თანმხლები დოკუმენტით.

ლიტერატურული მისტიფიკაცია — литературная мистификация — 1) თხზულება, რომელიც მკითხველების შეცდომაში შეყვანის მიზნით სხვა პირის (ხშირად არარსებულის) ნაწარმოებადაა გამოცხადებული ავტორის მიერ. 2) ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ადრანდელი ხანისად ასაღებს ავტორი და ამიტომ ძველი ენობრივი ნორმებითაა დაწერილი.

ლიტერატურული რედაქცია — литературная редакция — ნაწარმოების შესწორება-გამართვა ენობრივ-სტილისტურად, მხატვრულობის თვალსაზრისით.

ლიტერი — литера — 1) ასო. 2) ლითონის პატარა ღერო, რომლის ერთ ბოლოზე რელიეფურად არის გამოკვეთილი ასოს, ციფრის ან სხვა სტამბური

ნიშნის შებრუნებული გამოსახულება. ჩამოსხმა წარმოებს მატრიცის (1) საშუალებით შრიფტსასხმელ ქარხნებში ან უშუალოდ ტექსტის აწყობის დროს სამსახველ-საამწყობო მანქანაში. დიდი ზომის შრიფტისათვის ლიტერი ხისა მზადდება.

ლიტერული პაგინაცია — литерная пагинация — იხ. ასოითი პაგინაცია.

ლიტერული შიფრი — литерный шифр — იხ. ასოითი შიფრი.

ლოგოგრამა — логограмма — პირობითი ნიშანი ან ასო, რომელიც ცვლის სიტყვას.

ლოგოტიპი — логотип — სიტყვა ან რამდენიმე ასო, ჩამოსხმული ერთ ლიტერად.

ლუბოკური გამოცემა — лубочное

издание — იხ. მ და ბ ი უ რ ი გ ა მ ო ც ე მ ა .

ლუბოკური ლიტერატურა — лубочная литература — იხ. მ და ბ ი უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა .

ლუბოკური სურათი — лубочная картина — იხ. მ და ბ ი უ რ ი ს უ რ ა თ ი .

ლურხმული დამწერლობა — клинопись — წინა აზიის უძველეს ქვეყნებში გავრცელებული დამწერლობა. შედგება ცალკეული მარცვლების გამომხატველი სოლისებრი ნიშნებისაგან, რომლებსაც წერდნენ თიხის ფირფიტებზე სპეციალური ჩხირებით ან კვეთდნენ ქვაზე.

ლუქსი — люкс — მაღალი გემოვნებით და მდიდრულად გამოცემული წიგნი.

## მ

მაგარი ყდა — жесткий переплет — მაგარი, არადრეკადი მასალისაგან (სქელი მუყაო, ხე...) დამზადებული ყდა.

მაერთი ხაზები — соединительные штрихи — ასოს პორიზონტალური და დახრილი ხაზები, რომლებიც აერთებენ ძირითად, ვერტიკალურ ხაზებს.

მაიუსკულეები — маюскулы — მთავრული ასოები ძველ ლათინურსა და ბერძნულ დამწერლობაში.

მაიუსკულური დამწერლობა — маюскульное письмо — ძველი ლათინური და ბერძნული დამწერლობის ნაირსახეობა, რომელშიც მხოლოდ მთავრული ასოებია გამოყენებული.

მაკეტი — макет — 1) წიგნის (ჩვეულებრივ, სახელმძღვანელოს) წინასწარი ნიმუში, გამოშვებული შეზღუდული ტირაჟით ფართო საზოგადოებრივი განხილვისათვის. 2) გამოსაცემი წიგნის მოდელი, დამზადებული გამომცემლობაში. წარმოადგენს ყდაში (ან კანში) ჩასმულ სუფთა ფურცლებს, რომლებზეც

ზუსტად არის მითითებული სატექსტო და საილუსტრაციო მასალის განლაგება.

მაკულატურა — макулатура — 1) ბეჭდვის დროს გაფუჭებული ფურცლები, ქაღალდის წარმოებაში გამოშვებული წუნი, გაზეთების გაუსალებელი, ვადაგასული ნომრები, ხშირი ხმარებისაგან დაძველებული, დაზიანებული წიგნები, პერიოდიკის არასრული კომპლექტები და სხვა ბეჭდური პროდუქცია, რომელიც აღარ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას და გამოიყენება როგორც ნედლეული ქაღალდის წარმოებაში ან როგორც გასახვევი მასალა და სხვ. 2) გადატ. მდარე ხარისხის ლიტერატურული თხზულება.

მანუსკრიპტი — манускрипт — ძველი ხელნაწერი.

მანქანური პერფობარათები — машинные перфокарты — პერფობარათები, რომელთა კოდირება და შერჩევა-გამოკრება წარმოებს გამომთვლელ-ანალიტიკური მანქანების საშუალებით.

მარგალიტი — перл — შრიფტი, რომლის კეგელი 5 პუნქტია. ქართული შრიფტის გარნიტურებში არ გვხვდება.

მარგინალიები — маргиналии — 1) ბექდურა ან ხელნაწერი შენიშვნები წიგნის გვერდის არეებზე. 2) მცირე ტექსტობრივ დანაყოფთა (ქვეთავების, პარაგრაფების, აბზაცების) სათაურები, მოთავსებული გვერდის შიდა ან გარე არეებზე.

მარინა — марина — ზღვის პეიზაჟი.

მარინისტი — маринист — ზღვის პეიზაჟის მხატვარი.

მარმარილოს ქალაღი — мраморная бумага — მარმარილოსებრ შეღებილი, მარმარილოს ძარღვების მსგავსი სახეების მქონე პრილა ქალაღი. იხმარება გარეკანისათვის.

მარმარილოს შემონაქერი — мраморный обрызг — წიგნის შემონაქერი, მოხატული მარმარილოს ძარღვების მსგავსი სახეებით.

მაროკენი — марокен — 1) ტვიფრული ტარსიკონი. 2) სქელი ტვიფრული ქალაღი. იხმარება ყდის დასამზადებლად.

მარტივი საგნობრივი რუბრიკა — простая предметная рубрика — საგნობრივი რუბრიკა, რომელსაც არა აქვს დართული საგნობრივი ქვერუბრიკა.

მარტივოლოგი — мартиролог — 1) ქრისტიანობისათვის წამებულ პირთა შესახებ დაწერილი პაგიოგრაფიული თხზულებების (მარტივობების) კრებული. 2) გადატ. ამა თუ იმ პირის მიერ გადატანილ ტანჯვათა ჩამოთვლა, ნუსხა.

მარხვანი — постная триодь — დიდმარხვის დროს (აღდგომის წინ) წარმოსათქმელი საგალობლების კრებული.

მასობრივი ბიბლიოგრაფია — массовая библиография — ბიბლიოგრაფია, განკუთვნილი მკითხველთა ფართო წრისათვის.

მასობრივი ბიბლიოთეკა — массовая библиотека — საყოველთაოდ მისაწვ-

დომი უნივერსალური ბიბლიოთეკა, რომელიც მომსახურებას უწევს მკითხველთა ფართო მანებას.

მასობრივი გამოცემა — массовое издание — მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის მრავალტირაჟიანი გამოცემა, რომელიც ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი და ჩვეულებრივ ყოველგვარი დახმარე სამეცნიერო აპარატის გარეშეა დაბეჭდილი ან მხოლოდ აუცილებელი, განმარტებითი შენიშვნებითაა წარმოდგენილი.

მასობრივი მკითხველი — массовый читатель — მკითხველი, რომელსაც არ გააჩნია წიგნზე მუშაობის ჩვევა და საჭიროებს ბიბლიოთეკის მუშაეთა დახმარებასა და ხელმძღვანელობას.

მასშტაბი — масштаб — ნახაზის, გეგმის ან რუკის ხაზის შეფარდება მის მიერ გამოხატულ რეალურ მანძილთან. ამ შეფარდების გამოხატვის წესის მიხედვით განარჩევენ რიცხვითსა და ხაზურ მასშტაბს.

მატერიაკი — материк — ძველი ხელნაწერი წიგნი, რომელშიც გაერთიანებულია საეკლესიო მოღვაწე ქალთა ცხოვრების ამსახველი ცალკეული ნაწარმოებები.

„მატიანე“ — „летопись“ — ზოგადი სახელწოდება საკავშირო წიგნის პალატისა და მოკავშირე რესპუბლიკათა წიგნის პალატების ორგანოებისა, რომლებიც აწარმოებენ ქვეყნის ტერიტორიაზე ამოწული მთელი ბექდური პროდუქციის ცალკეული სახეობების (წიგნების, პერიოდული გამოცემების, ჟურნალისა და გაზეთის სტატიების, ნოტების, კარტოგრაფიული გამოცემებისა და სხვ.) რეგისტრაციას.

მატიცა — матрица — 1) ლითონის (ფოლადის, სპილენძის, თითბრის...) პატარა ფირფიტა, რომელზედაც ჩატვიფრულია ან ამოჭრილია ასოს პირდაპირი გამოსახულება. წარმოადგენს ყალიბს ლიტერების ჩამოსახმელად. 2)

მუყაო, ტყეის, ცელულოზის ან ცვილის ფირფიტა, რომელზედაც გაკეთებულია ჩაღრმავებული ანაბეჭდი სტამბური ანაწყობისა. მასზე წარმოებს სტერეოტიპების ჩამოსხმა. 3) თაბაშირისა და მუყაოსაგან დამზადებული რელიეფური ფორმა ჩასატვიფრი გამოსახულებისა. შტამპთან ერთად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს კონგრუული ტვიფრვის საწარმოებლად.

**მატრიცირება — матрицирование —**  
1) მატრიცების დამზადება სტამბურ ანაწყობზე სამატრიცო მასალის ხელით ან მექანიკური წესით დაწნეხვის გზით. 2) მატრიცების დამზადება და შენახვა ამ მიზნით, რათა შემდგომ გამოყენებულ იქნას ხელახალი გამოცემის დროს.

**მატრონიმი — матроним —** დედის სახლისაგან წარმოებული ფსევდონიმი. მაგ., ევლოშვილი.

**მაქსიმა — максима —** დამრიგებლობითი ხასიათის მოკლე გამონათქვამი, სენტენცია.

**მალაზიური გაწყობა — магазинная расстановка —** წიგნების განლაგება მრავალსართულიან სტელაჟებზე.

**მალალი ბეჭდვა — высокая печать —** ბეჭდვის ყველაზე გავრცელებული სახე, რომლის დროსაც საბეჭდო ფორმაზე (სტამბურ ანაწყობსა და კლიშეზე) საბეჭდო ზედაპირი თანაბრად ამაღლებულია სახარეუზო მასალის ზედაპირთან შედარებით, რის გამოც მხოლოდ ის ეხება ქაღალდს, წინასწარ იფარება რა საღებავის თანაბარი ფენით. სინ. სტამბური ბეჭდვა.

**მალალი გრავიურა, მალალი ბეჭდვის გრავიურა — высокая гравюра, гравюра высокой печати —** იხ. რელიეფური გრავიურა.

**მაჩვენებელი — указатель —** ნაწარმოებთა აღწერილობების სია, ბიბლიოგრაფია.

**მახსოვარი — памятка —** წიგნაკი, რომელშიც მოცემულია რჩევა-დარიგე-

ბანი რაიმე საკითხზე. მაგ., მევენახის მახსოვარი.

**მბეჭდავი — печатник —** 1) პოლიგრაფიული დაწესებულების მუშაკი. 2) საბეჭდო მანქანაზე მომუშავე მუშა, ხელოსანი.

**მბობა — рассказывание —** იხ. თხრობა.

**მგზავრობა — путешествие —** ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს მოგზაურობის დროს ნანახსა და განცდილზე, შთაბეჭდილებებზე. სინ. მოგზაურობა.

**მდაბიური გამოცემა — лубочное издание —** მდაბიური სურათებით ილუსტრირებული და უგემოვნოდ გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოები. სინ. ლუბოკური გამოცემა.

**მდაბიური ლიტერატურა — лубочная литература —** მხატვრულად გაუმართავი, მდარე ხარისხის ლიტერატურა, განკუთვნილი მცირემოდუნე, დაბალი მოთხოვნილების მკითხველისათვის. იღი რაოდენობით იბეჭდებოდა რევოლუციამდე. სინ. ლუბოკური ლიტერატურა.

**მდაბიური სურათი — лубочная картина —** თვითნაწავლი მხატვრის მიერ შესრულებული მდარე ხარისხისა და გულუბრყვილო შინაარსის მქონე ილუსტრაცია ან ცალკე ფურცლად დაბეჭდილი ნახატი შესაფერისი განმარტებით ტექსტით. იღი რაოდენობით ვრცელდებოდა რევოლუციამდე. სინ. ლუბოკური სურათი.

**მეგზუარი — путеводитель —** 1) ცნობარი მოგზაურთათვის ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის (ქვეყნის, მხარის, ქალაქის) დაწერილებითი აღწერით; 2) მუზეუმის, გამოფენის, ისტორიული ძეგლისა და მისთანათა დაწერილებითი აღწერა, განკუთვნილი დამთვალიერებლებისათვის. სინ. გზამკვლევი.

**მეგობრული შარჟი — дружеский шарж —** სახუმარო პორტრეტი, რომელზეც განზრახ დამახინჯებულად, სა-

საცილოდ არის წარმოდგენილი პიროვნების გარეგნული დამახასიათებელი ნიშნები.

მეთაური, მეთაური წერილი—იხ. მოწინავე, მოწინავე წერილი.

მეთოდი — метод — 1) მეცნიერული კვლევის ხერხი. 2) რაიმე სამუშაოს შესრულების გზები და ხერხები.

მეთოდიკა — методика — 1) სწავლების ხერხები. 2) სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გზებისა და ხერხების ერთობლიობა.

მეთოდური ანოტაცია — методическая аннотация — ანოტაცია, რომელიც შეიცავს მითითებებს, თუ როგორი მკითხველისათვის და როგორ უნდა იქნას გამოყენებული ბეჭდვითი ნაწარმოები.

მეთოდური ლიტერატურა — методическая литература — ერთობლიობა შრომებისა რაიმე საგნის, დისციპლინის სწავლების ხერხებისა და გზების შესახებ.

მეთოდური მუშაობა ბიბლიოთეკისა — методическая работа библотеки — საბიბლიოთეკო მუშაობის გზებისა და ხერხების კვლევა და დადგენა.

მელოტიპია — мелотипия — ნოტების ბეჭდვა.

მემორიალური ბიბლიოთეკა — мемориальная библотека — 1) ცნობილი პიროვნების პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც ამ პირის გარდაცვალების შემდეგ შესულია საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის შემადგენლობაში. 2) ცნობილი პიროვნების ხსოვნის აღსანიშნავად დარსებული ბიბლიოთეკა.

მემორიალური გამოცემა — мемориальное издание — ცნობილი პიროვნებისადმი ან რაიმე ღირსსახსოვარი მოვლენისადმი მიძღვნილი გამოცემა.

მემორიალური ეგზემპლარი — мемориальный экземпляр — ცნობილი პიროვნების ნაქონი წიგნი.

მემუარები — мемуары — 1) ლიტერატურული ნაწარმოები, რომელ-

შიც ავტორი მოგვითხრობს თავისი ცხოვრების შესახებ, აღწერს წარსულის ამბებს, რომელთა მომსწრე და მონაწილე თვით იყო. 2) ძვ. სამეცნიერო დაწესებულების შრომათა კრებულის სახელწოდება.

მემუარი — мемуар — ძვ. სამეცნიერო შრომა, სტატია.

მემუარისტი — мемуарист — მემუარების (1) ავტორი.

მეორადი ბიბლიოგრაფია — вторичная библиография — ბიბლიოგრაფია, შედგენილი არსებული ბიბლიოგრაფიებისა და ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების საფუძველზე.

მეორადი დოკუმენტი — вторичный документ — მეორადი ინფორმაციის შემკველი დოკუმენტი. მაგ., ანოტაცია, რეფერატი, კონსპექტი.

მეორადი ინფორმაცია — вторичная информация — ინფორმაცია, მიღებული დოკუმენტის გადამუშავების, ინფორმაციული ანალიზის შედეგად.

მეორე მეთაური, მეორე მოწინავე — вторая передовая — იხ. მოწინავე.

მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფია — библиография второй степени — იხ. ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია.

მეორე სიგნატურა — вторая сигнатура — იხ. ვარსკვლავიანი სიგნატურა.

მესამე საფეხურის ბიბლიოგრაფია — библиография третьей степени — ბიბლიოგრაფია, რომელშიც აღწესხულია ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიები.

მესტამბე — типограф — 1) სტამბის მუშაი. 2) სტამბის მომწყოები ან პატრონი.

მეტრანაჟი — ментрантаж — სტამბის ეკლაფიციური მუშა, რომელიც საბეჭდო ფორმად აქცევს დაკაბადონებულ ანაწყოებს და მანქანაზე გადასაცემად აზიზადებს მას.

მექანიკური გაწყობა — механическая расстановка — ბექდვითი ნაწარმოებების განლაგება არა მათი შინაარსისა და დანიშნულების, არამედ სხვა რაიმე ფორმალური ნიშნის (ინვენტარის ნომრების, ფორმატის და მისთ.) მიხედვით. სინ. ფორმალური გაწყობა.

მეტაფრასი — метафраза — ლიტერატურული ნაწარმოების გავრცობა-შეღამაზება, მისი შინაარსის ახლებურად გადმოცემა.

მეტაფრასტი — метафраст — 1) მეტაფრასის ავტორი. 2) მეტაფრასების მწერალი.

მეტალოგრაფია — металлография — ღრმა ბექდვის სახე, რომლის დროსაც საბექდო ფორმა წარმოადგენს ლითონის ფირფიტას.

მეცნიერული ბიბლიოგრაფია — научная библиография — 1) ბიბლიოგრაფია, რომელიც შედგენილია მეცნიერული სიზუსტით. 2) ბიბლიოგრაფია, შედგენილი მეცნიერული კვლევა-ძიების დასახმარებლად.

მეცნიერული გამოცემა — научное издание — გამოცემა, რომლის ბექდვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსტის დაზუსტებასა და განმარტებას.

მეცნიერული კატალოგი — научный каталог — კატალოგი, რომელშიც ბექდვითი ნაწარმოებები აღწერილია მეცნიერული ბიბლიოგრაფიის წესების განსაკუთრებული დაცვით.

მეცნიერულ-პოპულარული გამოცემა — научно-популярное издание — გამოცემა, რომელშიც არასპეციალისტი მკითხველისათვის გასაგები ფორმით გადმოცემულია ამა თუ იმ მეცნიერების საფუძვლები ან ცალკეული საკითხი.

მეცნიერულ-სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია — научно-рекомендательная библиография — სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია კვალიფიციური მკითხველებისათვის.

მეცო-ტინტო — меццо-тинто — იხ. შავი ყაიდა.

მთავრული ასო — заглавная буква, прописная буква — დიდი ასო, სტრიქონზედა ასო.

მთარგმნელი — переводчик — 1) ერთ ენაზე დაწერილის მეორე ენაზე გადაღები. 2) ძვ. ტექსტის განმმარტებელი, კომენტატორი.

მიწნობრივი დანიშნულება (წიგნისა) — целевое назначение (книги) — ბექდვითი ნაწარმოების დანიშნულება, განსაზღვრული მისი ხასიათით (მაგ., ცნობარი, თვითმასწავლებელი, სახელმძღვანელო).

მიტი — миф — 1) უძველესი ხალხური თქმულება, რომელიც ასახავს გულუბრყვილო, პრიმიტიულ წარმოდგენას სამყაროს შექმნაზე, ბუნების მოვლენებზე, გვიამბობს ღმერთებზე და ზღაპრულ გმირებზე. 2) გადატ. ტყუილი, გამოხატონი.

მიითება — ссылка — 1) კატალოგში, ბიბლიოგრაფიაში, საძიებელში, ლექსიკონსა და საცნობო ხასიათის სხვა გამოცემებში აღწერილობის საწყისთან, რუბრიკასთან ან სიტყვა-ერთეულთან გაკეთებული წერილობითი აღნიშვნა, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს აღწერილობის იმ საწყისზე, რუბრიკასა და სიტყვა-ერთეულზე, სადაც ამავე ან მსგავსი თემატიკის ცნობებია მოცემული. მიითება შეიძლება იხს: ზოგადი, ერთი, ჯვარედინი. 2) იხსულების ტექსტში გაკეთებული წერილობითი აღნიშვნა, რომელიც შეიცავს ციტირებული ან დამოწმებული ლიტერატურის დასახელებას და ადგილმდებარეობას.

მიითებითი ბარათი — ссылочная карточка — მიითების (1) შემცველი საკატალოგო ბარათი.

მითოლოგია — мифология — 1) მითების (1) ერთობლიობა. მაგ., ბერძნული მითოლოგია. 2) მითების (1) შემსწავლელი მეცნიერება.

**მიკროასლი** — микрокопия — ასლი, მიღებული მიკროკოპირების წესით.

**მიკრობარათი** — микрокарточка — ბარათი, რომელიც ნაბეჭდი ან ხელნაწერი ტექსტის მიკროფოტოასლს შეიცავს.

**მიკროგამოსახულება** — микроизображение — ტექსტის, ილუსტრაციის ან, საერთოდ, რაიმე საგნის ძლიერ შემცირებული გამოსახულება, რომლის აღქმა მხოლოდ გამაღიდებელი მოწყობილობით შეიძლება.

**მიკროგრაფია** — микрография — მიკროგამოსახულების მიღება.

**მიკროკატალოგი** — микрокаталог — 1) მიკრობარათებისაგან შედგენილი კატალოგი. 2) მიკროფილმი, რომელზეც კატალოგია გადაღებული.

**მიკროკოპირება** — микрокопирование — დოკუმენტის ძლიერ შემცირებული ასლის გადაღება.

**მიკროსკოპული წიგნი** — микрокопийная книга — ძლიერ მცირე ზომის წიგნი. სიმაღლით 4 სანტიმეტრამდე.

**მიკროტიპია** — микротипия — მიკროფოტოასლების გამრავლება სტამბური წესით.

**მიკროფილმების საკითხავი აპარატი** — аппарат для чтения микрофильмов — ოპტიკური ხელსაწყო, რომლის ეკრანზე გადიდებული სახით ჩანს მიკროფილმის კადრები.

**მიკროფილმი** — микрофильм — ხელნაწერის ან ბეჭდვითი ნაწარმოების ასლი, მიკროფოტოგრაფიის წესით გადაღებული კინოფირზე, რომლის კადრებზე ძლიერ შემცირებული სახით თანმიმდევრულადაა აღბეჭდილი წიგნის თითო ან ორ-ორი მოსაზღვრე კვერდი. ტექსტის წაკითხვა მხოლოდ სპეციალური აპარატებით არის შესაძლებელი.

**მიკროფილმირება** — микрофильмирование — მიკროფილმების დამზადება.

**მიკროფილმოგრაფია** — микрофильмография — მიკროფილმების ბიბლიოგრაფია.

**მიკროფილმოთეკა** — микрофильмотека — მიკროფილმების სისტემატიზებული კრებული.

**მიკროფოტი** — микрофот — მიკროფილმების საკითხავი აპარატის ნაირსახეობა.

**მიკროფოტოკოპია** — микрофотокопия — ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტის ან გამოსახულების ძლიერ შემცირებული ასლი, გადაღებული მიკროფოტოგრაფიის წესით.

**მიკროფოტოგრაფია** — микрофотография — 1) უმცირესი ზომის საგანთა და ორგანიზმთა გადაღება მიკროსკოპის საშუალებით. 2) გადაღება ფოტოასლებისა, რომლებიც ისე შემცირებული სახით წარმოვადგენს ორიგინალს (ტექსტს, ილუსტრაციას), რომ მხოლოდ სპეციალური გამაღიდებელი მოწყობილობით არის შესაძლებელი მათი გარჩევა.

**მიკროწიგნი** — микрокнига — მიკროფილმზე გადაღებული წიგნი.

**მიმართების მსაზღვრელი** — определитель отношения — ზოგადი მსაზღვრელი, რომელიც ასახავს ცოდნის მოცემული დარგის კავშირს სხვა დარგთან. საშუალებას იძლევა დავანაწევროთ ესა თუ ის ინდექსი სხვა ინდექსის საშუალებით.

**მიმდინარე ბიბლიოგრაფია** — текущая библиография — რეგულარულად წარმოებული ბიბლიოგრაფია ახალგამოსული ბეჭდური პროდუქციისა.

**მიმოწერა** — переписка — ორი ან რამდენიმე პირის მიერ ერთმანეთისადმი მიწერილი წერილების კრებული.

**მინაბეჭდი** — припечатка — დამოუკიდებელი ნაწარმოები, დაბეჭდილი წიგნის ბოლოს საკუთარი თავფურცლის ან პაგინაციით, თვით წიგნის თავფურცელსა და ყდაზე (კანზე) მის შესახებ ყოველგვარი ცნობის გარეშე. სინ. თ ა ნ ბ ე ქ დ ი ლ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ა .

მინაგრაფია — стеклография — ტექსტის ან გამოსახულების გადაღება მინაზე მისი შემდგომი ბეჭდვის მიზნით.

მინიატურა — миниатюра — 1) ფერადი სურათი ძველ ხელნაწერებში. 2) მცირე ზომის ფერადი სურათი (უმთავრესად პორტრეტი), შესრულებული განსაკუთრებით ფაქიზი ხერხებით. 3) მცირე ფორმის ლიტერატურული ნაწარმოები. 4) პატარა მუსიკალური ნაწარმოები.

მინიატურული გამოცემა — миниатюрное издание — მცირე ზომის წიგნი, სიმაღლით 10 სანტიმეტრამდე. სინ. ლ ი ლ ი პ უ ტ ი.

მინიონი — миньон — შრიფტი, რომლის კეგელი 7 პუნქტს უდრის. სინ. კ ო ლ ო ნ ე ლ ი.

მინუსკულები — минускулы — ნუსხური ასოები ძველ ლათინურსა და ბერძნულ დამწერლობებში.

მინუსკულური დამწერლობა — минускульное письмо — ძველი ლათინური და ბერძნული დამწერლობის ნაირსახეობა, რომელშიც მხოლოდ ნუსხური ასოებია გამოყენებული.

მისამართების წიგნი — адресная книга — იხ. ს ა მ ი ს ა მ ა რ თ ო წ ი გ ნ ი.

მიტელი — миттель — შრიფტი, რომლის კეგელი 14 პუნქტს უდრის.

მიძღვნა — посвящение — 1) ნაწარმოების ძირითადი ტექსტის წინ დაბეჭდილი წარწერა, რომელიც მიუთითებს, თუ ვის პატივსაცემად დაწერა ავტორმა თხზულება. 2) ვისმე პატივსაცემად დაწერილი ნაწარმოებისათვის წამძღვარებული მცირე ფორმის თხზულება (ჩვეულებრივ, ლექსი), რომლითაც ავტორი მიმართავს თავის ადრესატს.

მიჯაჭვული წიგნი — книга на цепях — ხელნაწერი წიგნი, რომელსაც შუა საუკუნეების სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაკარგვის შიშითა და მკითხველთა განსაზღვრული წრის სარგებ-

ლობის მიზნით ჯაკვით აბამდნენ თაროზე.

მკაზმავი — переплетчик — ხელოსანი, რომელიც უდაში სვამს წიგნს.

„მკაფიო“ — ქართული შრიფტის გარნიტური, რომელშიც ასოთა ძირითადი და მკერთი ხაზები თანაბარი სისქე-საა.

მკვდარი კოლონიტიული — мертвым колонтитул — კოლონიტიული, რომელიც უცვლელად მეორდება წიგნის ყველა გვერდზე. როგორც წესი, ეს არის სათაური ან ავტორის გვარი, შეიძლება, ორივე ერთად. უკანასკნელ შემთხვევაში ავტორის გვარი გვერდების ერთ წყებას (ვთქვათ, კენტ ნომრებს) გასდევს, სათაური კი — მეორეს (ლუწს). სინ. მ უ ღ მ ი ვ ი კ ო ლ ო ნ ტ ი ტ უ ლ ი.

მკვდარი ლიტერატურა, მკვდარი ფონდი — мертвая литература, мертвым фонд — ბეჭდვითი ნაწარმოებები, რომელთა გაცემას ბიბლიოთეკა არ აწარმოებს მათზე მკითხველთა მოთხოვნების არარსებობის გამო.

მკითხველთა აქტივი — читательский актив, актив читателей — ბიბლიოთეკის მკითხველთა ის ნაწილი, რომელიც ქმედითად მონაწილეობს ბიბლიოთეკის ბევრ მოწყობილ მასობრივ ღონისძიებებში და, საერთოდ, ბიბლიოთეკის მთელ მუშაობაში.

მკითხველთა კატალოგი — читательский каталог — კატალოგი, რომლითაც სარგებლობენ მკითხველები, განსხვავებით სამსახურებრივი კატალოგისაგან, რომელიც მხოლოდ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაოდ არის განკუთვნილი. სინ. ს ა ჯ ა რ ო კ ა ტ ა ლ ო გ ი.

მკითხველთა კონფერენცია — читательская конференция — ბიბლიოთეკის, გამომცემლობის, ჟურნალ-გაზეთის რედაქციის ან წიგნის მაღაზიის მუშაკთა შეხვედრა მკითხველთა აქტივთან წიგნის განხილვის, პრაქტიკული მუშა-



ომის საკითხებზე მსჯელობის, მუშაობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა დასახვის მიზნით.

**მკითხველური დანიშნულება (წიგნისა)** — **ЧИТАТЕЛЬСКОЕ ПОНЯТИЕ (КНИГИ)** — ბუკვლვითი ნაწარმოების განკუთვანა მკითხველთა გარკვეული კატეგორიისადმი (ბავშვები, მოზარდები, ამა თუ იმ კვალიფიკაციის სპეციალისტები). სინ. ს ო ც ი ა ლ უ რ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა (წ ი გ ნ ის ა).

**მკითხველი** — **ЧИТАТЕЛЬ** — პირი, რომელიც სარგებლობს ბიბლიოთეკის ფონდებით, შინ მიაქვს წიგნები ან სამკითხველოში კითხულობს მათ.

**მკითხველთა მომსახურება** — **ОБСЛУЖИВАНИЕ ЧИТАТЕЛЕЙ** — იხ. ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ უ რ ი მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა.

**მკითხველის სარეგისტრაციო ბარათი** — **РЕГИСТРАЦИОННАЯ КАРТОЧКА ЧИТАТЕЛЯ** — ბარათი, რომელზეც აღინიშნება მკითხველის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, ბინისა და სამსახურის მისამართი, განათლება, პროფესია და სხვა ცნობები. ცალკეულ მკითხველთა ბარათებისაგან ადგენენ მკითხველთა საკონტროლო კარტოთეკას.

**მკითხველის ფორმულარი** — **ФОРМУЛЯР ЧИТАТЕЛЯ, ЧИТАТЕЛЬСКИЙ ФОРМУЛЯР** — თითოეულ მკითხველზე შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება მკითხველის მიერ წიგნის ყოველი წაღება-დაბრუნება.

**მკინძავი** — **БРОШИРОВЩИК** — ხელოსანი, რომელიც კერავს წიგნის ბლოკს.

**მოგზაურობა** — **ПУТЕШЕСТВИЕ** — იხ. მ გ ზ ა ე რ ო ბ ა.

**მოზაიკური აწყობა** — **МОЗАИЧНЫЙ НАБОР** — ტექსტის ან ილუსტრაციის აწყობა გეომეტრიული ფიგურების მსგავსი სტამბური საბეჭდი მასალისაგან. მიმართავენ აქციდენტური ბუკვლვის დროს.

**მოთხოვნის ბარათი** — **ТРЕБОВАТЕЛЬНЫЙ ЛИСТ** — დაწესებული ფორმის

ქალაქის ფურცელი, რომელზეც მკითხველი წერს საჭირო წიგნის სახელწოდებას, შიფრს და რომლის მიხედვითაც ხდება წიგნის მოძებნა თაროზე.

**მოთხრობა** — **РАССКАЗ, ПОВЕСТЬ** — საშუალო ფორმის ეპიური ქანრის ნაწარმოები. რომანისაგან განსხვავებით, მცირე მოცულობისაა, ახასიათებს პერსონაჟთა ნაკლები რიცხვი და სიუჟეტის შედარებითი სიმარტივე.

**მოკლე ანოტაცია** — **КРАТКАЯ АННОТАЦИЯ** — ზოგადი, სულ რამდენიმე სიტყვის შემცველი ანოტაცია.

**მოკლე აღწერილობა** — **КРАТКОЕ ОПИСАНИЕ** — იხ. შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ა.

**მოლაპარაკე წიგნი** — **ГОВОРЯЩАЯ КНИГА** — გრამოფონის ფირფიტა თხზულების ტექსტის ჩანაწერით, განკუთვნილი უსინათლოთათვის.

**მოლესკინი** — **МОЛЕСКИН** — ბამბის სქელი, ხაოიანი ქსოვილი, გამოიყენება უდის გადასაკრავად.

**მომსვლელი** — **ПОСЕТИТЕЛЬ** — პირი, რომელიც მოდის ბიბლიოთეკაში წიგნის გამოსატანად ან ზეპირი თუ წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობის მისაღებად.

**მომსვლელობა** — **ПОСЕЩАЕМОСТЬ** — მოსულთა რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

**მონოგრაფია** — **МОНОГРАФИЯ** — სამეცნიერო შრომა, რომელშიც ყოველმხრივ შესწავლილი და დამუშავებულია რაიმე სპეციალური საკითხი, პრობლემა.

**მონოდრამა** — **МОНОДРАМА** — დრამატული ნაწარმოები ერთი პერსონაჟით. სინ. მ ო ნ ო ლ ო გ ი (2).

**მონოლოგი** — **МОНОЛОГ** — 1) პერსონაჟის სიტყვა, მიმართული საკუთარი თავისადმი ან მეორე პერსონაჟისადმი, დრამატულ ნაწარმოებში — აგრეთვე მაყურებლებისადმი. 2) იგივეა, რაც მ ო ნ ო ლ რ ა მ ა.

**მონოტიპი** — МОНОТИП — საამწყობო მანქანა, რომელიც აწარმოებს ცალკეული ლიტერების ჩამოსხმას.

**მონოტიპია** — МОНОТИПИЯ — გამოსახულების ერთჯერადი ანაბეჭდის მიღება ლითონის ფირფიტიდან, რომელზეც მხატვრის მიერ ზეთის საღებავებით არის შესრულებული ნახატი.

**მონოქრომული ბეჭდვა** — МОНОХРОМНАЯ ПЕЧАТЬ — ერთფერი ბეჭდვა, ბეჭდვა ერთი ფერის საღებავით.

**მონტაჟი** — МОНТАЖ — 1) თხზულება, რომელიც შედგენილია რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწარმოებისაგან ან მათი ნაწილებისაგან. 2) დიდტანიანი ნაწარმოების მოკლე გამოცემა მისგან გამოკრეფილი ცალკეული ნაწყვეტების გაერთიანების გზით. 3) მთელის შედგენა, აწყობა ცალკეული ნაწილებისაგან.

**მორალიტე** — моралите — საშუალო საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში — ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის პიესა ალეგორიული პერსონაჟებით.

**მოსარკვლა, მოსატიინება** — глазирование, сатиширование — ქალღღისა და მუყაოს დამუშავება ჩამოსხმის შემდეგ ზედაპირის გავლუვება-გაკრიალების მიზნით სპეციალურ მოწყობილობაში — კალანდრში — გატარების გზით. მოკიქვა.

**მოსვლა** — посещение — მკითხველის მოსვლა ბიბლიოთეკაში წიგნის ან ბიბლიოგრაფიული ცნობის მისაღებად.

**მოსვლის კოეფიციენტი** — коэффициент посещаемости — ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც მიიღება მკითხველთა მოსვლის საერთო რაოდენობის გაყოფით მკითხველთა რიცხვზე.

**მოტო** — МОТО — 1) აფორიზმი, სენტენცია; სხარტი, მოსწრებელი გამოხატულება. 2) აფორიზმი, სენტენცია, რომელიც უპიჯრავად აქვს წამმდებარებელი თხზულებას ან მის ცალკეულ ნაწილს.

**მოქმედი ფონდი** — действующий

фонд — იხ. ოპერატიული ფონდი.

**მოცულობა** — იხ. წიგნის მოცულობა.

**მოდრავი ბიბლიოთეკა** — передвижная библиотека, библиотека-передвижка — ცალკეულ საწარმოში, დაწესებულებაში თუ კოლმეურნეობაში სტაციონარული ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილი პატარა ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი რეგულარულად განიცდის შეცვლა-განახლებას: წაითხული წიგნები უბრუნდება სტაციონარულ ბიბლიოთეკას, რომელიც სანაცვლოდ ლიტერატურის ახალ პარტიას გამოჰყოფს.

**მოდრავი გაწყობა** — подвижная расстановка — ბეჭდვითი ნაწარმოებების გაწყობის წესი, რომლის მიხედვითაც წიგნებს მუდმივი ადგილი კი არა აქვთ მიენილი, არამედ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ადგილგადასაცვლება თაროზე.

**მოდრავი თარო** — переставная полка — სტელაჟის თარო, რომელიც შეიძლება მოიხსნას სხვა სტელაჟზე გადატანის მიზნით.

**მოდრავი ლიტერებით ბეჭდვა** — печатание подвижными литерами — წიგნის ბეჭდვის ევროპული წესი. ანაბეჭდის მიღება ისეთი საბეჭდი ფორმიდან, რომელიც ერთ მთლიან დაფას კი არ წარმოადგენს მასზე ამოჭრილი ტექსტით (ქსილოგრაფია), არამედ ცალკეული ასო-ნიშნების შესატყვისი ლიტერებისაგან არის შედგენილი. გამოიგონა გერმანელმა იოჰან გუტენბერგმა დაახლ. 1445 წ.

**მოდრავი კოლონტიტული** — проходный колонтитул — იხ. ცოცხალი კოლონტიტული.

**მოდრავი ფონდი** — передвижной фонд — ბიბლიოთეკის წიგნების ფონდის ნაწილი, გამოყოფილი მკითხველების ადგილზე (საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ტრანსპორტზე და ა. შ.) მომსახურებისათვის.

მოწინავე, მოწინავე წერილი — передовая, передовица, передовая статья — გაზეთისა და ჟურნალის სარედაქციო სტატია, მიძღვნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხებისადმი. როგორც წესი, იბეჭდება პერიოდული გამოცემის თავეში, სხვა მასალებზე წინ. ერთ ნომერში ზოგჯერ შეიძლება ერთზე მეტი მოწინავე იყოს. ასეთ შემთხვევაში მერე მოწინავე უშუალოდ მოსდევს პირველს. სინ. მეთაური, მეთაური წერილი.

მოწონებული გამოცემა — одобренное издание — გამოცემა, რომელიც განხილული და მოწონებულია რომელიმე ავტორიტეტული დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ. სინ. აპრობირებული გამოცემა.

მოჭიჭვა — глазирование — იხ. შოლარკელი.

მრავალენოვანი ლექსიკონი — многоязычный словарь — თარგმნითი ლექსიკონი, რომელშიც ერთი ენის სიტყვებს მიწერილი აქვს შესატყვისები ორ, სამ და მეტ ენაზე. სინ. პოლიგლოტი (2).

მრავალთავი — многоглав — ძველი ხელნაწერი კრებული, რომელიც შედგენილია წმიდანებისა და მოწამეების ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ცალკეული თხზულებებისაგან.

მრავალტომეული, მრავალტომიანი გამოცემა — многотомник, многотомное издание — ბეჭდვითი ნაწარმოები, გამოცემული რამდენიმე (ორ, სამ და ა. შ.) ტომად, წიგნად ან ნაკვეთად, რომელთა რიცხვი წინასწარ არის განსაზღვრული.

მრავალტომიანი ნაწარმოები — многотомное произведение — ნაწარმოები, დაწერილი რამდენიმე (ორ, სამ და ა. შ.) ტომად, წიგნად, ნაკვეთად, რომლებიც შეიძლება ცალ-ცალკე იყოს გამოცემული ან ერთტომეულის სახით იყოს დაბეჭდილი.

მრავალფურცლიანი რუკა — многостраничная карта — რუკა, რომელიც რამდენიმე ფურცელზეა დაბეჭდილი. მისი სახეები საკრები რუკა და პლანშეტური რუკა.

მრგვალი ფრჩხილები — круглые скобки — ყველაზე გავრცელებული სახე ფრჩხილებისა: ( ). ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობაში იხმარება თავფურცელზე წარმოდგენილი ყოველგვარი ფრჩხილისა ნაცვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეცვლა გაუგებრობას გამოიწვევს (მაგ., მათემატიკურ ფორმულებში). მათში ჩაისმის აგრეთვე ზესათარული ცნობებიც. სინ. რკალური ფრჩხილები.

მრგვალი ყუა — круглый корешок — ყუა, რომელსაც, ისევე როგორც წიგნის გვერდით შემონაპერს, ოვალური ფორმა აქვს მიღებული წიგნის ბლოკის სპეციალური დამუშავების შედეგად.

მრგვლოვანი — ქართული დამწერლობის უძველესი სახე, დაღასტურებულა V საუკუნიდან. შედგება დიდი მრგვალი ასოებისაგან. სინ. ასომთავრული.

მსაზღვრელები — определители — ბიბლიოთეკური კლასიფიკაციის ცხრილებში გამოყენებული აღნიშვნები, რომლებიც აზუსტებენ კლასიფიკაციას, სხვადასხვა მხრით ახასიათებენ ბეჭდვით ნაწარმოებს და უზრუნველყოფენ სისტემატური კატალოგის დეტალიზებას. მსაზღვრელები ორი სახისაა: ზოგადი, რომლებიც შეეხებიან კლასიფიკაციის ყველა განყოფილებას, და სპეციალური ანუ ანალიტიკური, რომლებიც მხოლოდ ერთი რომელიმე განყოფილებისათვისაა განკუთვნილი. სინ. დეტერმინატები.

მსოფლიო რეპერტუარი — всемирный репертуар — მსოფლიოში გამოცემული ყველა წიგნის აღწერილობათა ერთობლივი კატალოგი.

მულღვივი კოლონტიტული — постоянный колонтитул — იხ. მკვდარი კოლონტიტი.

მუნჯი კანი — немая обложка — კანი, რომელზედაც ტექსტი არ არის დაბეჭდილი.

მუნჯი რუკა — немая карта — სასწავლო რუკა, რომელზედაც არავითარი წარწერა არ არის გაკეთებული, რათა მოსწავლეებმა დამოუკიდებლად გამოიციონ მასზე გამოხატული გეოგრაფიული აღგილები. სინ. უტყვი რუკა, უწარწერო რუკა.

მუქი შრიფტი — т. შავი შრიფტი.

მუყაო — картон — ნახევარ მილიმეტრზე მეტი სისქის მქონე ქაღალდი, რომელიც მიიღება მცენარეული ბოჭკოვანი მასის გადამუშავებით ან თხელი ქაღალდის რამდენიმე ფენის ერთმანეთზე დაწებებით. სინ. კარტონი.

მუშაობა — работа — ქსოვილი, რომლის ცალი ან ორივე პირი დაფარულა წყალგაუმტარი ფენით. გამოიყენება ყდის გადასაკრავად.

მუზეუმი — музей — დაწესებულება, რომელიც აგროებს, სწავლობს, იცავს ხელოვნების ნაწარმოებებს, ხალხის ყოფისა და ისტორიის ამსახველ მასალებს, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებულ საგნებს და დასათვალისწინებლად ფუნს მათ, ეწევა მათს პროპაგანდას.

მფრინავი ფურცელი — летучка — სახელდახელოდ შედგენილი, სასწრაფო ცნობის შემსველი ფურცელი, სტამბური წესით ან ხელით გამრავლებული.

მშრალი ნემსი — сухая игла — ღრმა ბეჭდვის გრავეურა, გადაბეჭდი-

ლი ლითონის ფირფიტიდან, რომელზეც გამოსახულება ამოკაწრულია ფოლადის ნემსით ისე, რომ განაკაწრ აღგილებში წარმოქმნილი ხიწვები მოცილებული არ არის. სინ. გრავიურა მშრალი ნემსით.

მცდარბეჭდილი — т. ბეჭდვითი უცელო მ. ა.

მცდარი პაგინაცია — ошибочная pagination — წიგნის გვერდზე ისეთი კოლონციფრის დასმა, რომელიც არ შეესაბამება ამ გვერდის ფაქტიურ ნომერს.

მწერლის ლექსიკონი — словарь писателя — გამოცემა, რომელშიც აღწუსხული და ანბანის რიგზე გაწყობილია (ზოგჯერ განმარტებულიც) ის სიტყვები, რომლებიც გვხვდება ერთი მწერლის თხზულებებში.

მხარეთმცოდნეობითი ბიბლიოგრაფია — красневедческая библиография — ერთი რომელიმე მხარის, ქალაქის და სხვ. შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

მხატვრული ლიტერატურა — художественная литература — ლიტერატურის (1) სახე, რომელიც ობიექტურ სინამდვილეს შეიცნობს და ასახავს მხატვრული სახეებით. ხელოვნების დარგი, რომელიც მხატვრული სახეების შესაქმნელად იყენებს სიტყვას.

მხედრული — თანამედროვე ქართული დამწერლობა. წარმოიშვა XI საუკუნეში ნუსხურის განვითარების შედეგად.

## 6

ნახეჭდი ბარათი — печатная карточка — საკატალოგო ბარათი ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობით, რომელსაც ადგენს და სტამბური წესით ამრავლებს სპეციალური სახელმწიფო დაწესებულება. თ. აგრ. კატალოგობაციის ცენტრალიზაცია.

ნახეჭდი კატალოგი — печатный каталог — წიგნად დაბეჭდილი კატალოგი.

ნათელი შრიფტი — светлый шрифт — შრიფტი, რომელშიც ლიტერის თვალის ძირითად ხაზებს შორის არსებული მანძილი 2—4-ჯერ აღემატება თვით

ამ ხაზების სისქეს. იხმარება ჩვეულებრივი ტექსტის ასაწყობად.

**ნაკვეთური ფრჩხილები** — **фигурные скобки** — ფრჩხილების ნაირსახეობა: { }. ჩვეულებრივ იხმარება მათემატიკურ ფორმულებში. სინ. ფიგურული ფრჩხილები, პარანთეზები.

**ნაკრები კატალოგი** — იხ. კრებისთი კატალოგი.

**ნაკრები ფურცელი** — **сборный лист** — წიგნის ნაწილი, მოთავსებული ძირითადი ტექსტის წინ. შეიცავს შემოტრეტულს, ფრონტისპისს, თავფურცელს, მიძღვნას, სარჩევს, მცდარბეჭდილთა სიას, წინასიტყვაობას, შესავალს და სხვ. როგორც წესი, აქვს საკუთარი, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული, პავინაცია.

**ნატი** — **замша** — იხ. ზამში.

**ნაცვალსათაური** — **заместительное заглавие** — ნაწარმოების მეორე სათაური, რომელიც პირველ მაიგივებელო „ანუ“ კავშირით უერთდება. მაგ., გ. ერისთავის „დავა ანუ ტრეკა და ზაპეტია“. სინ. ალტერნატიული სათაური.

**ნაციონალური ბიბლიოგრაფია** — **национальная библиография** — იხ. ეროვნული ბიბლიოგრაფია.

**ნაციონალური ბიბლიოთეკა** — **национальная библиотека** — იხ. ეროვნული ბიბლიოთეკა.

**ნაწილობრივი მითიება** — იხ. კერძო მითიება.

**ნახევარკავები** — **полускобки** — ფრჩხილები, რომლებიც ფორმით კავების ზემო ან ქვემო ნაკვეთს წარმოადგენენ: [ ], ] . ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერისას მათში ჩაისმის ის ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც თავფურცელზე არ არის, მაგრამ მითითებულია წიგნის სხვა ნაწილებში (ნაკრები ფურცელი, ძირითადი ტექსტი და ა. შ.). სინ. ნახევარფრჩხილები.

**ნახევარტყავის ყდა**, **ნახევარფრანგული ყდა** — **полужошанный переплет**,

**полуфранцузский переплет** — ყდა, რომლის ყუა და კუთხეები ტყავით არის დაფარული.

**ნახევარფრჩხილები** — იხ. ნახევარკავები.

**ნახევრად შავი შრიფტი**, **ნახევრად მუქი შრიფტი** — **полужирный шрифт** — შრიფტი, რომელშიც ლიტერის თვალის ძირითად ხაზებს შორის არსებული მანძილი ერთ-ნახევარჯერ აღემატება ან, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამოჩება თვით ამ ხაზების სისქეს. იხმარება ხაზგასმული ადგილებისა და სათაურების ასაწყობად.

**ნებადართველი გადაბეჭდვა** — **недозволенная перепечатка** — იხ. კონტრაფაქცია.

**ნეგატივი** — **негатив** — ფოტოპირზე გადაღებული ასლი, რომელზედაც ჩრდილნათელი ისე კი არ არის განაწილებული, როგორც ეს გადაღებულ ობიექტზეა სინამდვილეში, არამედ შებრუნებულად არის წარმოდგენილი: ორიგინალის ბნელ ადგილებს ნათელი ადგილები შეესაბამება, ნათელს — ბნელი.

**ნეგატიური ბეჭდვა** — **негативная печать** — ბეჭდვის ნაირსახეობა, რომლის დროსაც საბეჭდ ფორმაზე საბეჭდი და სახარკეზო ელემენტები შებრუნებულად არის განლაგებული—ლიტერისა და კლიშეს შტრიხები ჩაღრმავებულია, მათი გარემოცველი ზედაპირი კი ამობურცული, რის გამოც ქაღალდზე ასოთა მოხაზულობანი და ნახატის ხაზები ხელუხლებლადაა დარჩენილი, ფონი კი საღებავითაა დაფარული.

**ნეკროლოგი** — **некролог** — ამა თუ იმ პიროვნების გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი სტატია, რომელშიც მოკლედ დახასიათებულია განსვენებულის ცხოვრება-მოღვაწეობა.

**ნოველა** — **новелла** — 1) პატარა მოთხრობა. 2) გვიანდელი ხანის დამატება კოლექსში (კანონთა კრებულში).

ნომენკლატურული რუკა — номенклатурная карта — იხ. პლანშეტური რუკა.

ნომერი — номер — პერიოდული გამოცემის ცალკეული გამოშვება, აღნიშნული შესაბამისი რიგითი რიცხვით.

ნომინალი — номинал — წიგნის ფასი, დაბეჭდილი თვით წიგნზე (კანზე, ყდაზე, გამოშვების ცნობებში, თავფურცელზე) ან მითითებული საგამომცემლო კატალოგში. სინ. ნომინალური ფასი

ნომინალური კატალოგი — номинальный каталог — ბიბლიოთეკური კატალოგი, რომელშიც ბეჭდვითი ნაწარმოებების აღწერილობანი გაწყობილია ავტორებისა და სათაურების ანბანური რიგზე ისე, რომ ყურადღება არ ექცევა აღწერილი ნაწარმოების შინაარსსა და თემატიკას. ასეთია, მაგალითად, ანბანური კატალოგი, სათაურთა კატალოგი და სხვა.

ნომინალური ფასი — номинальная цена — იხ. ნომინალი.

ნონპარელი — нонпарель — შრიფტი, რომლის კეგელი 6 პუნქტს უდრის. ქართულ სასტამბო მეურნეობაში გამოყენებული უმცირესი ზომის შრიფტი.

ნორმა — норма — 1) მიღებული, დადგენილი წესი. მაგ., სალიტერატურო ენის ნორმა. 2) დაწესებული რაოდენობა. მაგ., მუშაობის ნორმა. 3) საშუალო, ჩვეულებრივი რაოდენობა. მაგ., ტექნიკატურის ნორმა. 4) ბეჭდვითი ნაწარმოების სათაური (რაგორც წესი, შემოკლებული), ავტორის გვარი (ზოგჯერ ორივე ერთად) ან შეკვეთის ნომერი, დაბეჭდილი ყოველი ბეჭდვითი ფურცლის პირველი გვერდის ქვეშ არეზე, ჩვეულებრივ, სიგნატურასთან ერთად. წარმოადგენს საკონტროლო საშუალებას, რომ აცილებულ იქნას სხვადასხვა გამოცემის ფურცელთა აღრევა წიგნის აკინძვისას.

ნორმალური კატალოგი — нормальный

кatalog — იხ. ტიპობრივი კატალოგი.

ნორმალური შრიფტი — нормальный шрифт — შრიფტი, რომელშიც ლიტერის განი სიმაღლის 65—90%-ს (უფრო ხშირად 75%-ს) შეადგენს.

ნოტები — ноты — 1) მუსიკალურ ბგერათა გამომხატველი გრაფიკული ნიშნები. 2) მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერი, შესრულებული ასეთი ნიშნებით. 3) ბეჭდვითი ნაწარმოები, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერს შეიცავს.

ნოტოგრაფია — нотография — 1) ნოტების აღწერა. 2) ნოტების სისტემატიზებული ნუსხა.

ნუმერატორი — нумератор — ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ბიბლიოთეკებში წიგნებზე, ბარათებსა და იარაღებზე შიფრის, ინვენტარის ნომრისა და სხვა რიცხვითი მარკენებლების დასასმელად.

ნუმისმატიკა — нумизматика — ძველი მონეტებისა და მედლების შემსწავლელი მეცნიერება.

ნუსხა I — список — 1) იგივეა, რაც სია, რეესტრი. 2) ხელნაწერი, რომელიც აღრე დაწერილი ან გადაწერილი ტექსტის მეტ-ნაკლები სიზუსტით შესრულებულ პირს წარმოადგენს; ასლი.

ნუსხა II — скорпись — გაკრული ხელით ნაწერი.

ნუსხახუცური, ნუსხური — ძველი ქართული დამწერლობა. შედგება კუთხოვანი მოხაზულობის პატარა ასოები-საგან. წერილობით ძეგლებში თავს იჩენს IX საუკუნიდან. ამ საუკუნის დამდეგამდე იხმარებოდა სასულიერო ხასიათის გამოცემებში. ნუსხურისაგან განვითარდა XI საუკუნეში თანამედროვე ქართული დამწერლობა — მხედრული.

ნუსხური ასო — строчная буква — არამთავრული, პატარა ასო.

## ო

ოლა — ода — 1) სახობო ხასიათის ლირიკული ან ლირიკულ-ეპიკური ეპარის თხზულება, მიძღვნილი ამა თუ იმ პირის ან მოვლენისადმი. 2) ამა თუ იმ პირის ან მოვლენის საღიდეგო საორკესტრო-საგუნდო მუსიკალური ნაწარმოები. 3) ანტიკურ პოეზიაში — საზეიმო ხასიათის ლირიკული საგუნდო სიმღერა.

ოზმა — стопа — ქალაღის საზომი ერთეული. მეტრული ზომების შემოღებამდე უღრიდა 480 ფურცელს. მეტრული ოზმა შეადგენს 1000 ფურცელს.

ოთხთავი — четвероглав — ბიბლიის შემადგენელი წიგნი, რომელიც მითური პიროვნების — იესო ქრისტეს ცხოვრებას მოგვითხრობს. შედგება სხვადასხვა ავტორის ოთხი თხზულებიდან. სინ. ს ა ხ ა რ ე ბ ა.

ოლეოგრაფია — олеография — 1) ზეთის საღებავებით დაბატული სურათის გაღება ქრომოლითოგრაფიის წესით. 2) ამ წესით დაბეჭდილი რეპროდუქცია.

ომოგრაფები — омографы — სიტყვები, რომლებიც ერთნაირად იწერება, მაგრამ განსხვავებულად გამოითქმის.

ომონიმები — омонимы — 1) სიტყვები, რომლებსაც ბგერითი შედგენილობა ერთნაირი, მნიშვნელობა კი განსხვავებული აქვთ. 2) ერთნაირი გვარსახელის მქონე ავტორები.

ონომასტიკური ლექსიკონი, ონომასტიკური ლექსიკონი — ономастический словарь, ономастический словарь — ლექსიკონი, რომელშიც აღწესებულია ამა თუ იმ ენაში გავრცელებული პირთა საკუთარი სახელები და გარკვეულია მათი წარმოშობა და მნიშვნელობა.

ოპერატიული ფონდი — оперативный фонд — ბიბლიოთეკის წიგნადი შემადგენლობის ნაწილი, რომელიც ბიბლიოთეკურად არის დამუშავებული

და ხელმისაწვდომია მკითხველისათვის. სინ. მ ო ქ მ ე დ ი ფ ო ნ დ ი .

ობისთოგრაფი, ობისთოგრაფული გამოცემა — обистограф, обистографическое издание — ორსავე გვერდზე ნაბეჭდი გამოცემა.

ოპუსი —opus — 1) ცალკეული მუსიკალური ნაწარმოები ან რამდენიმე ნაწარმოების ერთობლიობა, რომელსაც კომპოზიტორის მიერ გარკვეული რიგის ნომერი აქვს მიკუთვნებული. 2) საერთოდ, ყოველგვარი თხზულება, ნაწარმოები.

ობარათიანი სისტემა აბონემენტის — двухкарточная система абонементов — აბონემენტზე გაცემული ლიტერატურის აღრიცხვის წესი, რომლის დროსაც ბიბლიოთეკარი წიგნის გაცემის შესახებ სათანადო აღნიშვნებს აკეთებს როგორც მკითხველის, ისე წიგნის ფორმულარზედაც.

ორენოვანი ლექსიკონი — двуязычный словарь — იხ. თ ა რ გ მ ნ ი თ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი .

ორთოგრაფიული ლექსიკონი — орфографический словарь — წიგნი, რომელშიც ანბანის რიგზე გაწყობილია სწორი, დადგენილი ფორმები მოცემული ენის საღავო ან სათუო დაწერილობის მქონე სიტყვებისა.

ორთოპიული ლექსიკონი — орфоэпический словарь — წიგნი, რომელშიც ანბანის რიგზე გაწყობილია ერთი ენის სიტყვები და მითითებულია მათი სწორი, ლიტერატურული წარმოთქმა.

ორიგინალი — оригинал — იხ. დ ე დ ა ნ ი .

ორიენტალია — ориенталиа (ლათ. Orientalia) — 1) აღმოსავლურ ენებზე შექმნილი ლიტერატურა. 2) ლიტერატურა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხთა შესახებ.

ორმაგი მითითება — двойная ссылка — მითითება ერთდროულად აღწერილობის ორ საწყისზე, ორ რუბრიკა-

ზე და ა. შ. ჩუეულებრივ, ასე აღინიშნება: იხ. ... და აგრ.

ორმაგი მიტელი — двойной миттель — შრიფტი, რომლის კეგელი 28 პუნქტს უდრის.

ორმაგი ნომერი — двойной номер — პერიოდული გამოცემის მორიგი გამოშვება, რომელიც ორი გამოშვების მასალას შეიცავს და ორი რიგითი რიცხვითაა აღნიშნული.

ორმაგი პაგინაცია — двойная пагинация — იხ. პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი პ ა გ ი ნ ა ც ი ა .

ორმაგი ციცერო — двойной цизеро — შრიფტი, რომლის კეგელი 24 პუნქტს უდრის.

ორნამენტი — орнамент — ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის ფერწერული ან გრაფიკული საშუალები, რომელიც სხვადასხვა სახის ხაზებისა და ფიგურების კომბინაციას წარმოადგენს.

ორნიშნა საავტორო ტაბულები — двузначные авторские таблицы — საავტორო ტაბულები, რომლებშიც საავტორო ნიშნები ორნიშნა რიცხვებით არის გამოხატული.

ოფიციალური გამოცემა — официальное издание — გამოცემა, რომელიც შეიცავს საკანონმდებლო, ინსტრუქციული, ინფორმაციული, დოკუმენტაციური და მსგავსი ხასიათის მასალას და გამოშვებულია მთავრობის ორგანოების ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და უწყების მიერ.

ოფიციალური კატალოგი — официальный каталог — კატალოგი, რომელიც ბიბლიოთეკის მუშაკთა სამუშაოდ არის განკუთვნილი. სინ. ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი კ ა ტ ა ლ ო გ ი , ს ა მ უ შ ა ო კ ა ტ ა ლ ო გ ი .

ოფიციალიზი — официализация — პერიოდული გამოცემა, რომელიც ოფიციალურად არ წარმოადგენს ბურჟუაზიული მთავრობის ან მმართველი პარტიის ორგანოს, მაგრამ ფაქტიურად მათი თვალსაზრისის გამომხატველი და დამკვეთია.

ოფორტი — офорт — ღრმა ბეჭდვის გრაფიურა, გადაბეჭდილი საბეჭდი ფორმიდან, რომელსაც ასე ამხადებენ: სპილენძის ან თუთიის თხელ ფირფიტას ფარავენ მკვავამძლე მინარევით და შემდეგ მასზე ნემსით ამოკაწრავენ გამოსახულებას. შეავითი რამდენჯერმე დამუშავების შემდეგ გაკაწრული ადგილები (ე. ი. საბეჭდი ელემენტები) ამოიჭმება, გაუკაწრავი, მკვავამძლე ფენით დაფარული (ე. ი. სახარვეზო) ზედაპირი კი — არა.

ოფსეტი; ოფსეტური ბეჭდვა — офсет, офсетная печать — ბრტყელი ბეჭდვის სახე, რომელიც ლითოგრაფიისაგან იმით განსხვავდება, რომ საბეჭდი ფორმიდან გამოსახულება ჯერ რეზინის ზედაპირზე გადადის და შემდეგ მისი მეშვეობით — ქაღალდზე. სინ. რ ე ზ ი ნ ი თ ბ ე ჭ დ ვ ა .

ოფსეტის ქაღალდი — офсетная бумага — ტენის ამტანი, რბილი, უმტვერო ქაღალდი ოფსეტური ბეჭდვისათვის.

ოქროვარაყიანი შემონაჭერი — ил. о к р о ს შ ე მ ო ნ ა ჭ ე რ ი .

ოქროს კვეთი, ოქროს პროპორცია — золотое сечение, золотая пропорция — მონაკვეთის დაყოფა ორ არათანაბარ ნაწილად, როცა დიდი ნაწილი ისე შეეფარდება მცირეს, როგორც მთელი მონაკვეთი დიდ ნაწილს. ოქროს კვეთზეა დამყარებული არტიკული და აღორძინებას ხანის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. პოლიგრაფიაში ოქროს კვეთის წესს იყენებენ სტამბური ანაწყობის ზომისა და წიგნის ფორმატის დადგენისას.

ოქროს შემონაჭერი — золотой отрез — წიგნის შემონაჭერი, დაფარული ოქროს სიფრიფანათი. სინ. ო ქ რ ო ვ ა რ ა ყ ი ა ნ ი შ ე მ ო ნ ა ჭ ე რ ი .

ოქტავა — октава — 1) წიგნის ფორმატი, რომელიც ქაღალდის ფურცლის მერვედ ნაწილს შეადგენს. მიიღება ფურცლის სამგზის დაკეცვის, ე. ი. 16-



გვერდიან რვეულად გადაქცევის შედეგად. პირობითი აღნიშვნა: 8°. 2) რვატაეაანი სტროფი სამი რითმით. ერთმანეთს ერთობება პირველი, მესამე და

მეხუთე, მეორე, მეოთხე და მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტაეპი.

ოქციდენტალი — окцидента.ль — ხელოვნური საერთაშორისო ენა, შექმნილი 1922 წ. ესტონელი ე. ვალის მიერ.

## 3

პაგინაცია — пагинация — 1) შესაბამისი რიგითი ნომრის აღნიშვნა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის გვერდებზე ან სვეტებზე. 2) წიგნის გვერდების საერთო რაოდენობა, რომელიც მოიცავს ჩართულ ფურცლებსა და ნუმერაციის გარეშე დატოვებულ გვერდებსაც. 3) ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობის ნაწილი, სადაც მოცემულია ცნობები გვერდების საერთო რაოდენობის შესახებ.

პალეოგრაფია — палеография — 1) მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველი ხელნაწერების გარეგან მხარეს — წერის წესს, ასოების მოხაზულობას, მათს ცვალებადობას ცალკეული ეპოქებისა და ძეგლების მიხედვით, საწერ მასალას. სინ. დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა. 2) ხელნაწერის თავისებურებანი დამწერლობისა და საწერ მასალის მხრივ.

პალეოტიპები — палеотипы — 1501 — 1550 წლებში მოძრავი ლიტერებით დაბეჭდილი წიგნები.

პალიმფსესტი — палимпсест — საწერად ორგზის გამოყენებული პერგამენტი, რომელზედაც პირველნაწერი ტექსტი გადაფხეკილ-გადარეცხილია მომდევნო ხანის გამწერლების მიერ და ზედ ახალი ტექსტია დაწერილი. ტყავის სპეციალური დამუშავების შემდეგ შესაძლებელი ხდება პირველადი ტექსტის წაკითხვა.

პალიმფსესკოპი — палимпскоп — პალმფსესტების საკითხავი აპარატი.

პამფლეტი — памфлет — სატირული ხასიათის თხზულება, რომელშიც

გაიციხული და მხილებულია ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა ან ცალკეული პიროვნება (პიროვნებები).

პამფლეტისტი — памфлетист — 1) პამფლეტის ავტორი. 2) პამფლეტების მწერალი.

პანორამული კატალოგი — панорамный каталог — საბავშვო ბიბლიოთეკაში გამოყენებული კატალოგი. წარმოადგენს ბარათებს, რომლებიც წრიულად მოძრავი შეკრული ჭაჭვის სახითაა გაერთიანებული. ზოგჯერ ბარათები ილუსტრირებულია.

პაპიემაშე — папье-маше — ქალაღის მასა, რომელშიც წებო და თაბაშირია შერეული. გამოიყენება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის, სათამაშოების, აგრეთვე სტერეოტიპების დასამზადებლად.

პაპიროლოგია — папирология — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველ (უმთავრესად ეგვიპტურ) პაპირუსებს (2).

პაპირუსი — папирус — 1) ადრინდელსა და საშუალო საუკუნეებში გამოყენებული საწერი მასალა, დამზადებული ამავე სახელწოდების მცენარის ღეროვანგან; 2) აღნიშნულ მასალაზე დაწერილი ხელნაწერი. სინ. კ ი ლ ი.

პარაგონი — парагон — სხ. ტ ე ქ ს ტ (2).

პარაგრაფი — параграф — 1) მცირე ტექსტობრივი დანაყოფი სამეცნიერო-ტექნიკურ, პოლიტიკურ, პუბლიცისტურ და სასწავლო ხასიათის თხზულებაში ან ოფიციალურ დოკუმენტში, წარმოდგენილი რიგითი ნომრით, რომელსაც წინ

დასმული აქვს ნიშანი §. 2) თვით ნიშანი §.

**პარალელური გამოცემა** — параллельное издание — გამოცემა, რომელიც წარმოადგენს იმავდროულად გამოშვებული მეორე გამოცემის თარგმანს სხვა ენაზე ან შეიცავს იმავე ტექსტს, მაგრამ განსხვავებულადაა გაფორმებული.

**პარალელური თავფურცელი** — параллельный титульный лист — დამატებითი თავფურცელი, რომელიც სხვა ენაზე იმეორებს ძირითად თავფურცელზე მოთავსებულ ცნობებს.

**პარალელური ლექსიკონი** — параллельный словарь — იხ. თარგმნითი ლექსიკონი.

**პარალელური პაგინაცია** — параллельная пагинация — ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაში გვერდების დასაზღვრად ორ-ორი ციფრით, რომელთაგან ერთი მიუთითებს მოცემული ნაკვეთის, ნომრის და სხვა უმცირესი ერთეულის გვერდების სათვალავზე, მეორე კი — მთლიანად გამოცემის ან მისი მონაწილე ერთეულის (მაგ., ტომის) სათვალავზე. სინ. ორმაგი პაგინაცია.

**პარალელური ტექსტი** — параллельный текст — თხზულების ტექსტის თარგმანი სხვა ენაზე, დაბეჭდილი ძირითად ტექსტთან ერთად ერთ გამოცემაში. ზოგჯერ ძირითადთან რამდენიმე პარალელური ტექსტია წარმოდგენილი.

**პარანთეზები** — парантезы — იხ. ნაკვეთი ფიჩხილები.

**პარიტეტული წიგნაცვლა** — паритетный книгообмен — იხ. ეკვივალენტური წიგნაცვლა.

**პარტიტურა** — партитура — მრავალხმიანი საორკესტრო და საგუნდო მუსიკალური ნაწარმოების პარტიათა ერთობლიობა.

**პასკვილანტი** — пасквилянт — 1) პასკვილის ავტორი. 2) პასკვილების მწერალი.

**პასკვილი** — пасквиль — ცილისმწამებლური თხზულება, რომელშიც

არაობიექტურად გაკრიტიკებული, შეურაცხყოფილი და გამასხარავებულია ესა თუ ის პიროვნება.

**პასპარტუ** — паспарту — 1) მუყაოს ჩარჩო ან ფურცელი, რომელშიც ათავსებენ ან რომელზეც აწებებენ ფოტოსურათს, ნახატს, რეპროდუქციას. 2) ბეჭდვით ნაწარმოებში ჩართული სქელი ქაღალდის ან მუყაოს ფურცელი, რომელზეც დაწებებულია ტექსტგარეშე საილუსტრაციო მასალა — ფოტოსურათის, ნახატის, გრაფიურის რეპროდუქცია.

**პასტელი** — пастель — 1) საღებავებისა და ცარცისაგან დამზადებული რბილი ფერადი ფანქრები. 2) ასეთი ფანქრებით შესრულებული ნახატი.

**პატენტი** — патент — გამოგონებლისათვის მიცემული საბუთი, რომელიც განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს მფლობელს, თვითონ ისარგებლოს თავისი გამოგონებით.

**პატერიკი** — патерик — ძველი ხელნაწერი კრებული, რომელშიც თავმოყრილია საეკლესიო მოღვაწეების — „წმიდა მამების“ — ცხოვრების ამსახველი თხზულებები.

**პატრონიმი** — патроним — ფსევდონიმი, რომელიც მამის სახელისაგან არის წარმოებული. მაგ., გრიშაშვილი.

**პეიჯაჟი** — пейзаж — 1) ბუნების სურათი, აღწერილი მხატვრულ ნაწარმოებში. 2) სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელზეც ბუნების სურათია გამოხატული.

**პერგამენტი** — пергамент — 1) აღრეულ და შუა საუკუნეებში გამოყენებული საწერი მასალა, დამზადებული ცხოველის (ხბოს, თხის, ცხვრის, ღორის) ტყავისაგან; 2) აღნიშნულ მასალაზე დაწერილი ხელნაწერი. სინ. ეტრატო.

**პერგამენტის ქაღალდი** — пергаментная бумага — პერგამენტის მსგავსი სქელი ქაღალდი, რომელიც არ ატარებს

ცხმსა და წყალს. სინ. ეტრატის ქალაღი.

პერიოდია — периодика — 1) იგივეა, რაც პერიოდული გამოცემები. 2) პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა. სინ. პრესა.

პერიოდის სარეგისტრაციო კარტოთეკა — регистрационная картотека периодики — კარტოთეკა, შედგენილი პერიოდული და გრძელდებელი გამოცემების სარეგისტრაციო ბარათებისაგან. თითოეულ ბარათზე, რომელიც ერთ რომელიმე გამოცემისთვისაა განკუთვნილი, აღინიშნება ამ გამოცემის ყოველი ნომრის მიღება. საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ, მიღებულია თუ არა ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ გამოცემის ყველა გამოსული ნომერი.

პერიოდული გამოცემა — периодическое издание — გამოცემა, რომელიც უმეტესად თანაბარი ხანდაზმულობით, რეგულარულად გამოდის ერთი და იმავე სახელწოდებისა და გაფორმების მქონე ნომრებად, ნაკვეთებად ან ტომებად და რომლის ბოლო წინასწარ განსაზღვრული არ არის. სინ. დროგამოშვებითი გამოცემა.

პერსონალია — персоналия (personalia) — 1) გამოცემები, რომლებიც შეიცავენ ამა თუ იმ პიროვნებისადმი მიძღვნილ თხზულებებს ან მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. მათ რიცხვს ეკუთვნის, მაგ., საიუბილეო კრებულები, ბიოგრაფიები, ბიობიბლიოგრაფიები, მოგონებანი... 2) ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობა, რომლის საწყისადაც აღებულია იმ პირის დასახელება, ვისაც ეძღვნება ან შეეხება თხზულება.

პერსონალური ავტორი — персональный автор — იხ. ინდივიდუალური ავტორი.

პერსონალური აღწერილობა — персональное описание — აღწერილობა, რომლის საწყისად წარმოდგენილია ინდივიდუალური ავტორის (ავტორების)

ან წიგნის შექმნის მონაწილე სხვა რომელიმე პირის (შემდგენლის, მთარგმნელის, რედაქტორის, მხატვრის...) გვარსახელი.

პერსონალური ბიბლიოგრაფია — персональная библиография — ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს ერთი ავტორის ნაწარმოებებს ან ლიტერატურას მის შესახებ. სინ. პირადი ბიბლიოგრაფია.

პერსონალური საავტორო ნიშანი — персональный авторский знак — საავტორო ნიშანი, რომელიც მხოლოდ ერთი რომელიმე ავტორის ნაწარმოებთა აღსანიშნავად არის მიღებული.

პერსპექტივული ბიბლიოგრაფია — перспективная библиография — იხ. პროსპექტიული ბიბლიოგრაფია.

პერფორირებული — перфорация — სტანდარტული ზომისა და ფორმის ბარათი (სქელი ქაღალდის, მუყაოს, პლასტმასისა), რომელზეც გადააქეთ ინფორმაცია გარკვეული სისტემის პერფორაციით (ნაჩვრეტებითა და ქრილებით). განიჩევა პერფორირების ორი ძირითადი სახეობა: მანქანური და ხელით სხარისხებელი. სინ. პერფორირებული ბარათი.

პერფორირებული კიდეები — перфорация краевой перфорацией — პერფორირებული კიდეები — პერფორირებული კიდეების გასწვრივ აქვს ბარათის კიდეები წინასწარ დაჩვრეტებულია ერთ, ორ ან მეტ რიგად. თითოეულ ნაჩვრეტს შეესაბამება გარკვეული მნიშვნელობა. ბარათზე ინფორმაციის ჩაწერა ხდება სათანადო ნაჩვრეტის შეერთებით ბარათის კიდეებთან ან მეორე ნაჩვრეტთან შუალედური ადგილების ამოჭრის გზით. სინ. კიდეპერფორირებული ბარათი.

პერფორირებული კომპინირებული პერფორაცია — перфорация с комбинированной перфорацией — პერფორირებული კომპინირებული პერფორაცია, რომელსაც აქვს როგორც კი-

დური. ისე შიდა პერფორაცია. სინ.  
კო მ ბ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი პ ე რ ფ ო ბ ა რ ა თ ი.

პერფობარათი შიდა პერფორაციით — перфокарта с внутренней перфорацией — პერფობარათი, რომლის მთელი ფართობი გამოყენებულია კოდურ არედ.

პერფოლენტი — перфоленга — ქაღალდის, პლასტმასის ან ცელულოზის ზოლი. რომელზეც პერფორაციის საშუალებით ჩაწერილია ინფორმაცია. სინ.  
პ ე რ ფ ო რ ი რ ე ბ უ ლ ი ლ ე ნ ტ ი.

პერფორატორი — перфоратор — მანქანა ან მოწყობილობა პერფობარათისა და პერფოლენტის დასაჩურტად.

პერფორაცია — перфорация — ერთობლიობა ნაჩურტებისა პერფობარათსა და პერფოლენტზე.

პერფორირება — перфорирование — პერფობარათის ან პერფოლენტის დაჩურტება.

პერფორირებული ბარათი — перфорированная карта — იხ. პ ე რ ფ ო ბ ა რ ა თ ი.

პერფორირებული ლენტი — перфорированная лента — იხ. პ ე რ ფ ო ლ ე ნ ტ ი.

პეტიტი — петит — შრიფტი, რომლის კეველი 8 პუნქტს უდრის. ჩვეულებრივ იხმარება ლექსიკონების, ჟურნალ-გაზეთების, შენიშვნების, დანართების, მცირე ზომის წიგნების აწყობისას.

პეტრუს შრიფტი — петровский шрифт — იხ. რ უ ს უ ლ ი ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო შ რ ი ფ ტ ი.

პიესა — пьеса — 1) დრამატული ნაწარმოები, განკუთვნილი სცენაზე დასადგმელად. 2) მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები.

პირადი ბიბლიოგრაფია — личная библиография — იხ. პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.

პირადი ბიბლიოთეკა — личная библиотека — კერძო პირის კუთვნილი ბიბლიოთეკა, რომლითაც თვით მფლობელი და მისი ახლობლები სარგებლობენ.

პირველადი ბიბლიოგრაფია — первичная библиография — ბიბლიოგრაფია, რომელიც შედგენილია საბიბლიოგრაფიკული მასალის უშუალოდ გაცემობისა და დამუშავების საფუძველზე.

პირველადი დოკუმენტი — первичный документ — პირველადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი. მაგ., სამეცნიერო სტატია, განსხვავებით მისი ანოტიაციისაგან (ჩუფერატისაგან).

პირველადი ინფორმაცია — первичная информация — საკითხის უშუალოდ შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

პირველი გამოცემა — первое издание — 1) თხზულების პირველი გამოქვეყნება საკუთარი თავფურცელისა და კანის (ყლის) მქონე დამოუკიდებელი ბეჭდვითი ნაწარმოების სახით. 2) გამოცემისათვის დღევანელი ტირაჟის ზღვრული ნორმა, რომლის გადაჭრებით დაბეჭდილი ცალები განმეორებით გამოცემას წარმოადგენს.

პირველმბეჭდავები — первопечатники — 1) დასავლეთ ევროპაში მოძრავი ლიტერებით წიგნის ბეჭდვის შემომღები პირები. 2) ამა თუ იმ ენაზე პირველი წიგნის დამსტამბავი ან ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე სტამბის გამმართავი და ბეჭდვის შემომღები პირები.

პირველნაბეჭდი წიგნები — первопечатные книги — 1) პირველი წიგნები, რომლებიც მოძრავი ლიტერებით დაიბეჭდა დასავლეთ ევროპაში. 2) ამა თუ იმ ენაზე პირველად დაბეჭდილი ან ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე გახსნილი პირველი სტამბიდან გამოსული წიგნები.

პირთა საძიებელი — ищ. ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი.

პიქტოგრამა — пиктограмма — პიქტოგრაფიულ დამწერლობაში გამოყენებული ნახატი.

პიქტოგრაფია, პიქტოგრაფიული დამწერლობა — пиктография, пиктографическое письмо — დამწერლობის უძველესი სახე, რომელიც საგანთა, არსებობის, მოვლენათა და მოქმედების გამოსახატავად სურათებს იყენებს. ასეთია, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის ინდოელთა დამწერლობა.

პლაგიატი — плагиат — 1) სხვისი ნააზრევის მითვისება, თავისად გამოცხადება. 2) ნაწარმოები, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ სხვისი ნაწარმოების განმეორებას წარმოადგენს, ავტორის მიერ კი თავისადაა გამოცხადებული.

პლაგიატორი — плагиатор — სხვისი ნააზრევის მიმთვისებელი, პლაგიატის ჩამდენი.

პლაკატი — плакат — სააგიტაციო. სარეკლამო ან ინფორმაციული შინაარსის ნახატი შესაფერისი მოკლე ტექსტით, დაბეჭდილი დიდი ფორმატის ქაღალდის ფურცელზე, განუთვნილი კედელზე გასაკრავად.

პლაკატური კატალოგი — плакатный каталог — კატალოგის სახე. წარმოადგენს ლიტერატურის თემატურ სიას, დაწერილს ქაღალდის ფურცელზე, რომელსაც გამოსაჩენ ადგილას აკრავენ. სინ. კედლის კატალოგი.

პლანშეტური რუკა — планшетная карта — მრავალფურცლიანი დიდ და საშუალო მასშტაბიანი რუკა, რომლის შემადგენელი ფურცლები (მათი რიცხვი ზოგჯერ რამდენიმე ათასს აღწევს) წარმოადგენს საკუთარი ჩარჩოს მქონე დამოუკიდებელ რუკებს, რომლებზეც გამოსახულია ტერიტორიის გარკვეული ნაწილები. სინ. ნომენკლატურული რუკა.

პოემა—поэма—1) თხრობითი ეპოსის ლექსად დაწერილი ნაწარმოები. 2) ზოგჯერ ასე იწოდება პროზად დაწერილი ეპიური ეპოსის თხზულება. მაგ., ნ. გოგოლის „მკვდარი სულები“. 3) გარკვეულ სიუჟეტზე დაწერილი ვოკალური,

ვოკალურ-ინსტრუმენტული ან საორკესტრო მუსიკალური ნაწარმოები.

პოეტური ლიცენცია — поэтическая волюность (licentia poetica) — ენას გრამატიკული ნორმების დარღვევა ლექსში, გამოწვეული რითმის ან რიტმის საკვირებით.

პოზიტივი — позитив — ფოტოასლი, რომელზეც ჩრდილნათელი, ნათელი და ბნელი ადგილები ისევეა განაწილებული, როგორც ეს გადაღებულ იმეიქტზეა სინამდვილეში.

პოლემიკა — полемика — მწვავე კამათი, პაექრობა რაიმე საკითხზე.

პოლემისტი — полемист — პირი, რომელიც პოლემიკას ეწევა; მწვავე მოკამათე.

პოლიგლოტი — полиглот — 1) მრავალი ენის მცოდნე პირი. 2) იგივეა, რაც მრავალენოვანი ლექსიკონი. 3) გამოცემა, რომელშიც ერთი და იგივე ტექსტი რამდენიმე ენაზეა დაბეჭდილი.

პოლიგრაფია, პოლიგრაფიული წარმოება — полиграфия, полиграфическое производство — ტექნიკის დარგი, რომელიც აერთიანებს ბეჭდვით პროდუქციის (ეურნალ-გაზეთების, წიგნების, რუკების, ნოტების, რეპროდუქციების, ეტიკეტების, ფულის ნიშნების და ა. შ.) წარმოების ყველა სახეს და მასთან დაკავშირებულ სამუშაოებს: საბეჭდო ფორმის მომზადებას, თვით ბეჭდვის პროცესს, დაბეჭდილი პროდუქციის სათანადო გაფორმებას, მისთვის საბოლოო სახის მიცემას (კაინძვა, შემოსვა, დაკაზმვა...).

პოლიპტიკი — полиптих — ანტიკური ხანის ხელნაწერი წიგნი, შედგენილი ხის რამდენიმე (ოთხი ან მეტი) გაცვილული ფიცრისაგან.

პოლიქრომული ბეჭდვა — полихромная печать — მრავალფერი ბეჭდვა, ბეჭდვა რამდენიმე ფერის საღებავებით.

პოლონიზმი — полонизм — იხ. კოლექტიური ნაწარმოები.

**პოპულარიზაცია** — популяризация — ამა თუ იმ მეცნიერული მოძღვრების ან ცალკეული სპეციალური საკითხის გადმოცემა მკითხველთა ფართო მასისათვის გასაგები ფორმით.

**პოპულარული გამოცემა** — популярное издание — გამოცემა, რომელშიც ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის გასაგები ფორმით გადმოცემულია ესა თუ ის სპეციალური საკითხი.

**პორნოგრაფიული ლიტერატურა** — порнографическая литература — ლიტერატურა, რომელშიც უხამსადაა აღწერილი სქესობრივი ურთიერთობის სცენები.

**პორტრეტი** — портрет — 1) სურათი, რომელზეც გამოსახულია ესა თუ ის პიროვნება. 2) მოკმედი პირის გარეგნობის აღწერა მხატვრულ ნაწარმოებში. 3) ლიტერატურული თხზულება, რომელშიც აღწერილია ამა თუ იმ პიროვნების გარეგნობა, პიროვნული თვისებები, განხილულია მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის საკითხები.

**პორტულანი** — портулан — 1) ზღვისოსნობის პრაქტიკული სახელმძღვანელო, გვერცელებული საშუალო საუკუნეებში. შეიცავდა სანაპიროების, ნავსადგურების, საზღვაო გზების აღწერას. 2) ძველებური საზღვაო რუკა.

**პოსტსკრიპტუმი** — постскриптум (Post scriptum, P. S.) — 1) მინაწერი წერილის ბოლოს. 2) მცირე მოცულობის ტექსტი, დაბეჭდილი მხატვრული თუ სამეცნიერო თხზულების ბოლოს. შეიცავს გამორჩენილ ან დამატებით ცნობებს.

**პრეისკურანტი** — преискурант — ამა თუ იმ დაწესებულების, ორგანიზაციის ან ფირმის მიერ გამოშვებული ნუსხა მის განკარგულებაში მყოფი გასაყიდი საქონლის ფასებისა.

**პრენომი** — преноним — ფსევდონიმის ნაირსახეობა. წარმოადგენს ავტორის სახელს, გამოყენებულს გვაზად.

**პრესა** — пресса — იგივეა, რაც პერიოდიკა (2).

**პრესშპანი** — прессшпан — ჩამოსხმის გზით მიღებული, მოქიქული თხელი მუყაო. იყენებენ ყდების დასამზადებლად. სინ. ინგლისური მუყაო.

**პრივატული გამოცემა** — приватное издание — იხ. კერძო გამოცემა.

**პროგრამა** — программа — 1) პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სახელმწიფო მოღვაწის მოქმედების გეგმა და ამოცანები.

